

სურსათის რეგულირება
ევროკავშირში

სურსათის
ეტიპეტირება

თბილისი – 2014

ეს სტატია მეოთხეა სურსათის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის ქართულენოვანი მიმოხილვის სერიიდან, რომელიც 2013-2014 წლებში გამოიცემა ევროკავშირისა და შევდეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „საქართველოში სურსათის უვნებლობის სფეროში განხორციელებულ რეფორმებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა“. პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით. შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატია არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შევდეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მფრინავი.

სტატია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.momxmarebeli.ge

ავტორი ლია თოდუა



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი



საქართველოს
სოფრინიშვილი
კვლევებისა და
განვითარების ცენტრი



საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს.

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2014 წ.

სარჩევი

ისტორიული მიმოხილვა.....	3
ჰორიზონტალური კანონმდებლობა.....	3
ვერტიკალური კანონმდებლობა	13
ეტიკეტირების ზოგადი მოთხოვნები	17
სავალდებულო ინფორმაცია	18
სურსათის დასახელება.....	20
თანამეგობრობაში დადგენილი დასახელებები	23
კაკაო და შოკოლადი	23
შაქრები	25
თაფლი.....	26
ხილის წვენები	28
ჯემები და მარმელადები	30
ყავა და ვარდკაჭაჭა	31
ბუნებრივი წყლები.....	32
რძე და რძის პროდუქტები	34
წასასმელი ცხიმები.....	35
ფრინველის ხორცი	37
ცხოველის ხორცი.....	38
ხორცის ფარში	39
ქათმის კვერცხი.....	41
ზეითუნის ზეთი	41
ალკოჰოლური სასმელები	43
დიეტური სურსათი	43
რეგისტრირებული დასახელებები	49
ალკოჰოლური სასმელების რეგისტრირებული დასახელებები	54
სავალდებულო ინფორმაცია, რომელიც მიეთითება	
სურსათის დასახელებასთან ერთად	55
ინგრედიენტების ჩამონათვალი	59
პროდუქტის ნეტო მასა	65
ვადები.....	66
სურსათის წარმომავლობა	68

მენარმის დასახელება და მისამართი	73
სხვა სავალდებულო ინფორმაცია	73
გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათი	73
ახალი ტექნოლოგიებით მიღებული სურსათი (Novel foods)....	78
სხვა სავალდებულო მითითებები	81
ინფორმაცია კვებითი ლირებულების თაობაზე (Nutrition labelling)	87
ნებაყოფლობითი ინფორმაცია	100
მითითებები კვებითი ლირებულების განსაკუთრებულ	
მაჩვენებლებზე ან ჯანმრთელობისთვის	
სარგებლობაზე (Nutrition and health claims)	100
ბავშვთა კვება.....	105
პიოპროდუქტი	106
მთის პროდუქტი	107
სხვა ნებაყოფლობითი მითითებები	108
გამოყენებული ლიტერატურა და მასალები	112
დანართი 1: ალერგიის გამომწვევი ნივთიერებები.....	116
დანართი 2: ინგრედიენტები, რომელთა მოხსენიება	
დაიშვება კრებსითი (კატეგორიის) დასახელებით.....	118
დანართი 3: ხილის და ბოსტნეულის მარკეტინგული	
სტანდარტები.....	120
დანართი 4: დაშვებული განაცხადები სურსათის კვებითი	
ლირებულების თაობაზე და მათი გამოყენების პირობები	124
დანართი 5: რეგისტრირებული ტრადიციული და	
გეოგრაფიული დასახელებებისა და ორგანული	
წარმოების სიმბოლოები.....	გარეკანის მე-3. გვ

ეტიკეტი და სხვა ინფორმაცია, რომელიც სურსათს თან ახლავს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებლის მიერ ამ სურსათის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში. იმისთვის, რომ მომხმარებელი შეცდომაში არ შევიდეს, ინფორმცია უნდა იყოს სწორი, სანდო და საკმარისად ამომზურავი.

მნიშვნელური ინფორმაცია, რაც მომხმარებელს შესაძლო სურსათის თაობაზე სჭირდება, მოიცავს სურსათის ბუნებას, რაოდენობას, ვარგისიანობის ვადასა და შენახვის პირობებს. ვინაიდან ერთი და იმავე ბუნების სურსათი შეიძლება სხვადასხვა ინგრედიენტებისგან იყოს დამზადებული – აქტუალურია აგრეთვე შემადგენლობაც. ვინაიდან პროდუქტს შესაძლოა გააჩნდეს ნაკლი – არსებოთია პასუხისმგებელი პირის (მეწარმის) მონაცემებიც. გარდა ამისა, თანამედროვე მომხმარებელს აინტერესებს სურსათის კვებითი და ენერგეტიკული ღირებულება, წარმომავლობა, დამზადების ტექნოლოგია, ხარისხი, ეთიკური საკითხები... მეწარმისთვის კი ეტიკეტი პირველ რიგში, მარკეტინგის საშუალებაა – მისი დახმარებით იგი ცდილობს მოიზიდოს, დააინტერესოს, მიიჩნიოს მომხმარებელი. ბაზრის სხვადასხვა მოთამაშების ინტერესთა დასაბალანსებლად სახელმწიფოები ჩვეულებრივ აწესებენ ეტიკეტირების წესებს და მის დაცვაზე პასუხისმგებლობას სურსათის ოპერატორებს აკისრებენ.

ისტორიული მიმოხილვა

პორიზონტალური კანონმდებლობა

ევროკავშირის დონეზე სურსათის ეტიკეტირების, წარდგენის და რეგლამირების პორიზონტალური (ყველა ტიპის სურსათზე ორიენტირებული) პირველი ზოგადი აქტი 1978 წელს იქნა მიღებული¹. იგი ადგენდა იმ მნიშვნელურ ინფორმაციას, რომელიც მომხმარებელს სურსათის შესახებ უნდა მისწოდებოდა. ეს იყო: სურსათის დასახელება (ბუნება), შემადგენლობა, რაოდენობა, შენახვის ვადა და პირობები, პასუხისმგებელი მეწარმის რეკვიზიტები და ზოგ შემთხვევაში აგრეთვე სურსათის წარმომავლობა და გამოყენების წესები.

1 Council Directive 79/112/EEC of 18 December 1978 on the approximation of the laws of the Member States relating to the labelling, presentation and advertising of foodstuffs for sale to the ultimate consumer.

გარდა ამისა, დირექტივა ადგენდა სურსათის ეტიკეტირებისა და წარდგენის ზოგად პრინციპს: სურსათის თანმხლებ ინფორმაციას მომხმარებელი შეცდომაში არ უნდა შეეყვანა.

შემდგომში ამ დირექტივამ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნები თანდათან ფართოვდებოდა. ასე მაგალითად, 1989 წელს² დირექტივის მოთხოვნები გავრცელდა არა მხოლოდ საბოლოო მომხმარებლისთვის, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის (mass caterers)³ მისაწოდებელ სურსათზე; ვარგისიანობის ვადის⁴ გარდა, სავალდებულო გახდა პროდუქტის უსაფრთხო გამოყენების ვადის მითითება; სავალდებულო გახდა ეტიკეტზე სურსათის დასხივების თაობაზე ინფორმაციის მითითება. 1997 წელს⁵ დაუშვეს სურსათის გაყიდვა არა მარტო იმ დასახელებებით, რომელიც ჩვეულია მიმღები ქვეყნისთვის, არამედ იმ დასახელებებითაც, რომლითაც ეს სურსათი იწარმოება და იყიდება წარმოშობის ქვეყანაში (დეტალები იხ. ქვემოთ); სავალდებულო გახდა ინგრედიენტების მითითება ერთინგრედიინტიანი სურსათისთვისაც – თუკი შესაძლებელია, რომ ეს ერთადერთი ინგრედიენტი სხვადასხვა იყოს (მაგალითად, სპაგეტი შეიძლება დამზადებული იყოს მაგარი ან რბილი ხორბლისგან); გაფართოვდა ინგრედიენტების რაოდენობრივი მითითების მოთხოვნა: თუკი ადრე ინგრედიენტის რაოდენობის მითითება სავალდებულო იყო მხოლოდ იმ ინგრედიენტებისთვის, რომელთა ჭარბ ან მწირ შემცველობაზე ეტიკეტი უთითებდა, ახლა რაოდენობის მითითება აგრეთვე სავალდებულო გახდა იმ ინგრედიენტებისთვის, რომელიც სურსათის დასახელებაშია მოხსენიებული ან ნაგულისხმევი, ან, რომელიც არსებითია ამ სურსათის სხვა მსგავსი პროდუქტებისგან გასარჩევად (დეტალები იხ. ქვემოთ) და ა.შ.

2000 წლისთვის 79/112/EEC დირექტივაში უკვე იმდენი ცვლილე-

2 Council Directive 89/395/EEC of 14 June 1989 amending Directive 79/112/EEC on the approximation of the laws of the Member States relating to labelling, presentation and advertising of foodstuffs for sale to the ultimate consumer.

3 79/112/EEC დირექტივის საქმისა ვერსიით (მუხლი 1-ლი, მე-2 პუნქტი), მისი მოთხოვნები საზოგადოებრივ კვების ობიექტებზე მხოლოდ მაშინ ვრცელდებოდა, თუკი წევრი-ქვეყნის მთავრობას ეს მიზანშენონილად მიაჩნდა.

4 ე.წ. „best before“ ვადა.

5 ე.წ. „used by“ ვადა..

6 Directive 97/4/EC of the European Parliament and of the Council of 27 January 1997 amending 79/112/EEC on the approximation of the laws of the Member States relating to the labelling, presentation and advertising of foodstuffs.

ბა იყო შესული, რომ საჭირო გახდა მისი კოდიფიცირებული ვერსიის მიღება ახალი დირექტივის სახით – ეს არის დღეს მოქმედი 2000/13/EC დირექტივა⁷. პარალელურად, ეტიკეტირებასთან დაკავშირებული საკითხები მთელი რიგი სპეციალური კანონმდებლობით (დიეტური სურსათი, კვებითი დანამატები), აგრეთვე ცალკეული ტიპის სურსათის მარეგულირებელი ე.წ. ვერტიკალური კანონმდებლობითაც განისაზღვრებოდა (დეტალები იხ. ქვემოთ).

პარალელურად იზრდებოდა ევროპელი მომხმარებლის ინტერესი სურსათის ხარისხობრივი მახასიათებლებისადმი. როგორც ადრე აღვწერეთ⁸, 1990-იან წლებში ევროკავშირში აგორებულმა სურსათის სკანდალებმა 2002 წლისთვის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის ძირებული გადახალისება გამოიწვია. გარდა ამისა, ამ პერიოდში მომწიფები სასურსათო სფეროს კიდევ ერთი ძირებული რეფორმა – კანონმდებლისთვის გასაგები გახდა, რომ ევროპელი მომხმარებლებისთვის აქტუალურია არა მხოლოდ სურსათის რაოდენობა და უვნებლობა, არამედ მისი ხარისხი და მრავალფეროვნება, ასევე აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე ამ ფასეულობების სათანადო დაცვა. როგორც ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპის კომისიონერის, დავით ბირნის 2001 წლის სიტყვაშია აღნიშნული⁹, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დეკადებში ევროპის სასურსათო პოლიტიკა სასურსათო უსაფრთხოების¹⁰ უზრუნველყოფაზე იყო ორიენტირებული და შესაბამისად, მისი პრიორიტეტი იყო სურსათის წარმოების გამოსავლიანობისა და ეფექტურობის ზრდა. ამ პოლიტიკის შედეგად ევროპამ სურსათის სიჭარესა და ზედმეტობასაც კი მიაღწია. ახლა კი დადგა დრო პარადიგმის შესაცვლელად – საჭიროა არა მეტი სურსათის უზრუნველყოფა, არამედ უკეთესი ხარისხისა და მეტი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა – ასეთია მომხმარებელთა მოთხოვნა და მოლოდინიც. გარდა

7 Directive 2000/13/EC of the European Parliament and of the Council of 20 March 2000 on the approximation of the laws of the Member States relating to the labelling, presentation and advertising of foodstuffs.

8 იხ. ამ სერიის ბროშურა სურსათის რეგულირება ევროკავშირში: „სურსათის ძირითადი კანონი“, <http://momxmarebeli.ge/images/file-246141.pdf>

9 დავით ბირნის სიტყვა სურსათის ხარისხისადმი მიღვნილ მაღალი დონის მრგვალ მაგიდაზე 2001 წლის 5 მარტს: <http://ec.europa.eu/dgs/health-consumer/library/speeches/speech88-en.html>. ამ შეხვედრით გაიხსნა ერთნლიანი დებატები სურსათის ხარისხთან დაკავშირებით. სრულად დებატების შესახებ იხ. <http://ec.europa.eu/dgs/health-consumer/library/debate/index-en.html>.

10 სასურსათო უსაფრთხოება (Food security) გულისხმობს მომხმარებელთა უზრუნველყოფას საქმარისი სურსათით.

ამისა, მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალა მომხმარებლის მიერ თავად ამ „ხარისხის“ აღქმაც – მან მოიცვა არა მხოლოდ (და არა იმდენად) სურსათის გარეგნული მასსიათებლები, არამედ მისი შემადგენლობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი ასპექტებიც კი, როგორცა გარემოს დაცვა და ცხოველებისადმი ჰუმანური მოპყრობა.

პარადიგმის ასეთმა ცვლილებამ, პირველ რიგში, ცხადია, ზემოქმედება იქონია ევროკავშირის ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაზე (Common Agricultural Policy), მაგალითად გაიზარდა დახმარება ორგანული სოფლის მეურნეობისადმი, ეტაპობრივად შემცირდა დახმარების „მიბმა“ წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე და სსვა. გარდა ამისა, ახალმა პარადიგმამ მნიშვნელოვნად იმოქმედა სურსათის რეგულირებაზეც, განსაკუთრებით კი, სურსათის თაობაზე მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის თვალსაზრისით. კვლავ დავით ბირნის სიტყვები რომ მოვიმევლით: „მომხმარებელი ითხოვს მკაფიო და გასაგებ ინფორმაციას სასურსათო პროდუქტების შესახებ, რომელიც მას ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს. პოლიტიკა და კანონმდებლობა მომხმარებელთა ამ მოთხოვნის შესრულებას უნდა ემსახურებოდეს, რათა პროდუქციის ხარისხი და ფასი ერთმანეთის შესაბამისი იყოს.“ ფაქტობრივად ეს მოწოდება ნიშნავს, რომ მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ მან მისთვის სასურველი ხარისხის პროდუქტის არჩევა შეძლოს.

ამ მიზნის საპასუხოდ, 2002 წელს ევროკომისიამ შეისწავლა, თუ რამდენად ეფექტური იყო სურსათის ეტიკეტირების ევროპული კანონმდებლობა და რამდენად პასუხობდა იგი ევროპული მომხმარებლების მოთხოვნებსა და მოლოდინებს. 2003 წლის ბოლოს მომზადდა ანგარიში¹¹, რომელშიც გამოვლენილია მომხმარებელთა დაუკმაყოფილებელი ინტერესის მიმართულებები. მაგალითად, აღნიშნულია მომხმარებელთა განსაკუთრებული ინტერესი სურსათის წარმოშბისადმი. ამასთან, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფში კვლევამ გამოავლინა სურსათის „წარმოშბის“ განსხვავებული გაგება – ზოგიერთ შემთხვევაში მომხმარებელს აინტერესებდა ის ქვეყანა, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იყო მოყვანილი ან ცხოველი

11 Evaluation of the Food Labelling Legislation, Submitted by the European Evaluation Consortium (TEEC) under the Framework contract for evaluation and evaluation-related services: BUDG-02-01 L2, 18 October 2003, EC DG SANCO, <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/foodlabelling/effl-conclu.pdf>

გაზრდილი, სხვა შემთხვევაში კი მას სურსათის/კერძის მომზადების ქვეყანა/ადგილი უფრო აინტერესებდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ კვლევამ წამოსწია, ეხებოდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შეუფუთავი სურსათის თაობაზე. აქ განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაღლუქებადი შეუფუთავი სურსათის ვარგისანობის ვადები, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შეთავაზებული კერძების ენერგეტიკული ლირებულობა („კალორიულობა“) და ალერგენების შემცველობა.

აღნიშნა აგრეთვე მომხმარებელთა ინტერესი სურსათის წარმოების მეთოდებისადმი, რომელსაც ეტიკეტირების არსებული მოთხოვნები არ აქმაყოფილებდა. მაგალითად, მომხმარებლებს აინტერესებდათ, სურსათის/კერძის დამზადებისას გაყინული ხორცი იყო გამოყენებული თუ გაუყინავი, იყო თუ არა დამატებული საღებავი ცხოველის საკვებში (ხორცისთვის მიმზიდველი ფერის მისანიჭებლად), გამოყენეს თუ არა პესტიციდები მოკრეფილი ხილ-ბოსტ-ნეულის შენახვისას.

ამ წინასწარი კვლევის საფუძველზე, 2006 წელს, ევროკომისიამ წამოიჩინა დისკუსია ევროკავშირში სურსათის ეტიკეტირების გაუმჯობესების საჭიროების თაობაზე. წლის დასაწყისში გამოიცა სადისკუსიო დოკუმენტი „ეტიკეტირება: კონკურენტუნარიანობა, მომხმარებლის ინფორმირება და უკეთესი რეგულირება ევროპისთვის“¹², წლის ბოლოს კი მიღებული 175 გამოხმაურება შეჯამდა¹³. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა რესპონდენტი თვლიდა, რომ სურსათის ეტიკეტირება გასაუმჯობესებელია, თუმცა მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს გაუმჯობესება, რადიკალურად განსხვავდებოდა. ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ ეტიკეტი გადატვირთულია, მომხმარებლისთვის ძნელი გასაგებია და აუცილებელია გამარტივება, თუმცა ამ გამარტივებას ბიზნესი სავალდებულო კომპონენტების შემცირებასა და მენარმისათვის მეტი თავისუფლების მიცემაში ხედავდა, არასამთავრობო ორგანიზაციები კი, პირიქით, ეტიკეტის არასავალდებულო, მარკეტინგული შემადგენლის შემ-

12 Labelling: competitiveness, consumer information and better regulation for the EU, a DG SANCO Consultative Document, February 2006, http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/betterregulation/competitiveness_consumer_info.pdf

13 Summary of results for the consultation document on: “Labelling: competitiveness, consumer information and better regulation for the EU”, DG SANCO, December 2006, <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/betterregulation/lab-cons-summary.pdf>

ცირებასა და სავალდებულო ინფორმაციის მეტ უნიფიცირებას ითხოვდნენ. მეწარმეები ყურადღებას ამახვილებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ინტერნეტის განვითარების კვალდაკვალ ეტიკეტი აღარ არის მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიზნდების ერთადერთი საშუალება და რაციონალურია ის დეტალური ინფორმაცია, რომელიც ეტიკეტზე დიდ ადგილს იკავებს, მომხმარებელისათვის სხვა სამუალებით (მაგალითად, ინტერნეტით) იყოს ხელმისაწვდომი. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ მომხმარებელთა დამცველი არასამთავრობოები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ინფორმაცია მომხმარებელს შესყიდვისას სჭირდება და არა მანამდე ან მის მერე, ხოლო შესყიდვის ადგილას ეტიკეტი კვლავ ძირითადი ინფორმაციის წყაროა, ამიტომ მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მთელი ინფორმაცია სწორედ ეტიკეტზე უნდა იყოს განთავსებული.

ეტიკეტირების გაუმჯობესების საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეტიკეტზე სურსათის კვებითი ღირებულების მითითებისა და აღწერის საკითხს. ამ მხრივ დისკუსიაზე აშკარა გავლენა იქნია ევროკომისიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დირექტორატის მიერ 2005 წელს ინიცირებულმა პარალელურმა დისკუსიამ ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2005 წლის აგვისტოში ამ დირექტორატმა გამოაქვეყნა სადისკუსიო დოკუმენტი „ჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტივობა – ჭარბი წონის, სიმსუქნისა და ქრონიკული დაავადებების პრევენციის ევროპული განზომილება“¹⁴, სადაც მოყვანილი იყო შემაშფოთებელი მონაცემები იმის თაობაზე, რომ ევროპელი ბავშვების 30%-ს ჭარბი წონა გააჩნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელი იყო ისეთი დაავადებების/მდგომარეობების გახშირება, როგორიცაა გულსისხლძარღვთა დაავადებები, ჰიპერტონია, დიაბეტი, ინსულტები, ზოგიერთი სახის სიმსივნე, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ნაკლოვანებები და ზოგიერთი ფსიქიკური დარღვევაც კი, რაც გრძელვადიან ბერსპექტივაში გამოიწვევდა ევროპაში ცხოვრების ხარისხისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის კლებას. აუცილებელი იყო სწრაფი და კოორდინირებული ღონისძიებების დასახვა ამ არასასიამოვნო პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად. ამ დოკუმენტზე ევროკომი-

14 “Promoting healthy diets and physical activity: a European dimension for the prevention of overweight, obesity and chronic diseases”, Green Paper, COM(2005) 637 final, 08.12.2005, <http://ec.europa.eu/health/ph-determinants/life-style/nutrition/documents/nutrition-gp-en.pdf>

სიაში 287 წერილობითი გამოხმაურება შევიდა¹⁵ და ცხოველი დისკუ-
სიის საფუძველზე, 2007 წლის მაისისთვის ევროკომისიამ მოამზადა
ევროპის სტრატეგია ჯანსაღი კვების, სიმსუქნისა და ჭარბი წონის
საკითხებზე¹⁶, სადაც სიტუაციის გამოსასწორებელი მთელი რიგი
მიდგომები და ორნისძიებებია დასახული. მაგალითად: მოწოდება
მენარმებისადმი, რომ შეამცირონ ცხიმის (განსაკუთრებით ნაჯერი
ცხიმებისა და ტრანს-ცხიმების), მარილისა და შაქრის შემცველობა
პროდუქტებში; სარეკლამო სექტორის თვითრეგულირების წახალ-
ისება, რომელიც ბავშვებისთვის არაჯანსაღი სურსათის რეკლამირე-
ბას შეზღუდავს¹⁷; ბავშვების ჯანსაღი კვების ხელშეწყობა სკოლებსა
და ახალგაზრდულ დაწესებულებებში ნედლი ხილის ხელმისაწვდო-
მობის უზრუნველყოფით (და თანადაფინანსებით); საზოგადოებრივი
დასვენების ადგილების კეთილმოწყობა ფიზიკური აქტივობისთვის
მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად და სხვა. თუმცა სტრატეგიის
ცენტრალურ პარადიგმას მომხმარებელთა მეტი ინფორმირებულო-
ბისა და განათლებულობის აუცილებლობა წარმოადგენს. დოკუ-
მენტის მხედვით ადამიანი თავადა პასუხისმგებელი მისი და მისი
შვილების ცხოვრების სტილზე. თუმცა სწორი, რაციონალური
გადაწყვეტილებისა თუ არჩევანის გაკეთება მხოლოდ კარგად ინ-
ფორმირებულ მომხმარებელს ძალუძს.

ამ ფონზე გასაგებია სურსათის ეტიკეტირების განახლების თაო-
ბაზე საჯარო დისკუსიაში ყურადღების კონცენტრირება სურსათის
კვებით ღირებულებაზე, უფრო სწორედ – ამ მახასიათებლის შესახებ
დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. დაისვა საკითხი მისი
თაობაზე, სავალდებულო უნდა იყოს თუ არა პროდუქტში ნუტრიენ-
ტების შემცველობის (ანუ მისი კვებითი ღირებულების) რაოდენო-

15 იბ. Report on Contributions to Green Paper “Promoting healthy diets and physical activity: a European dimension for the prevention of overweight, obesity and chronic diseases”, RIVM, October 2006, <http://ec.europa.eu/health/ph-determinants/life-style/nutrition/green-paper/nutrition-gp-rep-en.pdf>

16 White paper on a Strategy for Europe on Nutrition, Overweight and Obesity related health issues, EC, COM(2007) 279 final, Brussels, 30.5.2007, <http://ec.europa.eu/health/ph-determinants/life-style/nutrition/documents/nutrition-wp-en.pdf>

17 ამ თემაზე იბ. ე.ნ. „მადლენის ანგარიში, <http://www.easa-alliance.org/binarydata.aspx?type=doc&sessionId=05ve5zv1o3dvuu55vl3xxjjk/DGSANCO-advertisingRT-report.pdf>, აგრეთვე ევროპის სარეკლამო სტანდარტების აღიანსის ვებ-გვერდი (<http://www.easa-alliance.org/Issues/Food/page.aspx/99>) და ე.ნ. „ტელევიზია საზღვრებს გარეშე“ დირექტივა (Council Directive 89/552/EEC of 3 October 1989 on the coordination of certain provisions laid down by Law, Regulation or Administrative Action in Member States concerning the pursuit of television broadcasting activities).

ბრივი მითითება¹⁸. მეწარმეები, ცხადია, ამის წინააღმდეგი იყვნენ და თავის პოზიციას ასაბუთებდნენ იმით, რომ ბევრ პროდუქტზე მნარმანებლები ნებაყოფლობით უთითებენ ნუტრიენტების შემცველობას, მაგრამ კვლევები ცხადყოფს, რომ მომხმარებელი დიდად არ იყენებს მათ. არასამთავრობო ორგანიზაციების კონტრარგუმენტი კი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მომხმარებლისთვის ასეთი ინფორმაცია გამოსადეგი მხოლოდ მაშინაა, თუკი ის ყველა პროდუქტზეა დატანილი და შედარების, ან თუნდაც სასურველი მახასიათებლების მქონე რაციონის შედგენის შესაძლებლობა არსებობს. გარდა ამისა, ნებაყოფლობითი სქემა არ მუშაობს, პირველ რიგში სწორედ იმ პროდუქტებისთვის, რომელსაც „უარყოფითი ატრიბუტები“ გააჩნია (ანუ შეიცავს ჭარბ ცხიმებს, შექარს ან მარილს), ვინაიდან მათი მენარმე შიშობს, რომ ასეთი დეტალური ინფორმაცია მომხმარებელს ნაკლები პროდუქტის შესყიდვისკენ უბიძგებს

გასაგებია, რომ სურსათში არსებული ნუტრიენტების სავალდებულო მითითების დაწესება ბიზნესისთვის საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. სურსათის ეტიკეტირების ახალი რეგულაციის ზემოქმედების შეფასების 2008 წლის დოკუმენტში¹⁹ აღნიშნულია, რომ, თუკი ასეთი ცვლილება გარდამავალი პერიოდის გარეშე, დაუყოვნებლივ განხორციელდება, ბიზნესის ხარჯები ძალიან დიდი იქნება (დაახლოებით 22 მილიარდი ევრო). თუმცა, თუკი დაშვებული იქნება 3-წლიანი გარდამავალი პერიოდი, ბიზნესი შეძლებს ეტიკეტის ცვლილება თავის ახალი ეტიკეტების ბეჭდვის ჩვეულ ციკლს მოარგოს და დამატებითი ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება; ეტიკეტის დიზაინის ცვლილება ჯამში, ბიზნესს დაახლოებით 1,2 მილიარდ ევრომდე დაუჯდება, კიდევ 1,4 მილიარდი ევრო დაჯდება ნუტრიენტების შემცველობის გამოინგარშება, იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი იქნება კალკულაციის კომპიუტერული პროგრამა, ან 3,7 მილიარდი ევრო – თუკი ასეთი პროგრამა არ იქნება და მეწარმეებს ნუტრიენტების შემცველობის დაფგენა თავიანთ პროდუქტებში ლაბორატორიული ანალიზის გზით მოუწევთ.

18 ამ პერიოდში ასეთი მითითებები სავალდებულო იყო მხოლოდ დეტური სურსათისთვის, კვებითი დანამატებსისთვის, მინერალური და სხვა ნებისმიერი და ისეთი სურსათისთვის, რომლის ეტიკეტი შეცავს განაცხადს კვებითი ღრებულების თაობაზე (nutritional claim). დეტალურად იხ. ქვემოთ.

19 Commission staff working document accompanying the Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on the provision of food information to consumers - Impact assessment - Report on nutrition labelling issues {COM(2008) 40 final} {SEC(2008) 92} {SEC(2008) 93} {SEC(2008) 95} /* SEC/2008/0094 final */

საბოლოოდ, ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინების მიზნით, და ამავე დროს, ჯანსაღი კვების ხელშეწყობის აუცილებლობის გათვალისწინებით, 2011 წელს ევროკავშირმა მიიღო ეტიკეტირების ახალი წესები²⁰, რომლითაც სურსათზე კვებითი ლირებულების მითითება სავალდებულო გახდა, თუმცა მნიშვნელოვანი გადავადებით – კანონის ეს ნორმა მხოლოდ 2016 წლის 12 დეკემბრიდას ამოქმედდება²¹.

დაინტერესებულ მხარეთა შორის მოსაზრებების დიდი განსხვავების გამო 2011 წლის ეტიკეტირების ახალ რეგულაციაში, გარდა ამ 5 წლით გადავადებული კვებითი ლირებულების სავალდებულო მითითებისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები თითქმის არ მომხდარა. გარდა იმ ფაქტისა, რომ მიდგომების მეტი უნიფიცირებისთვის, ეტიკეტირების წესები დარეგულირდა არა დირექტივით, რომელსაც ეროვნულ კანონმდებლობებში გადატანა სჭირდება, არამედ უშუალო მოქმედების აქტით – რეგულაციით, და აგრეთვე იმისა, რომ ახალმა რეგულაციამ ამჟამად მოქმედი ორი განსხვავებული დირექტივის სფერო მოიცვა: დირექტივა 2000/13/EC სურსათის ეტიკეტირების თაობაზე და დირექტივა 90/496/EEC სურსათის კვებითი ლირებულების მითითების თაობაზე. გარდა ამისა, ახალი რეგულაციით დადგენილი ცვლილებები ეხება საკმაოდ ტექნიკური საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად:

- დადგინდა შრიფტის მინიმალური ზომა სავალდებულო ინფორმაციის მითითებისას ეტიკეტზე;
- დადგინდა სურსათის შემადგენლობაში ალერგენების მითითებისას სქელი შრიფტის ან ხაზგასმის გამოყენების ვალდებულება;
- დადგინდა წარმოშობის მითითების ვალდებულება არა მხოლოდ საქონლის ხორცისთვის, არამედ აგრეთვე ლორის, ცხვრის, თხის და ფრინველის ხორცისთვის;

²⁰ Regulation (EU) No 1169/2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on the provision of food information to consumers, amending Regulations (EC) No 1924/2006 and (EC) No 1925/2006 of the European Parliament and of the Council, and repealing Commission Directive 87/250/EEC, Council Directive 90/496/EEC, Commission Directive 1999/10/EC, Directive 2000/13/EC of the European Parliament and of the Council, Commission Directives 2002/67/EC and 2008/5/EC and Commission Regulation (EC) No 608/2004.

²¹ რეგულაციით დადგენილი ახალი წესების დაცვა სავალდებულოა 2014 წლის 13 დეკემბრიდან იმ სურსათისთვის, რომელშიც დამატებულია ვიტამინები ან მინერალები და იმ სურსათისთვის, რომელთა ეტიკეტი შეიცავს მითითებას კვებით ლირებულებაზე (nutritional claim) ან ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე (health claim). გარდა ამისა, ნუტრიენტების მითითების განსაკუთრებული წესები მოქმედებს დიეტური სურსათის, კვებითი დანამატების (food supplements) და მინერალური ნებების შემთხვევაში. დეტალები იხ. ქვემოთ.

- ალერგენების მითითება სავალდებულო გახდა არა მხოლოდ შეუფუტული სურსათის ეტიკეტზე, არამედ შეუფუტავ სურსათის წარდგენისასაც, მათ შორის კაფე-რესტორნებში.

ზოგადად, ეტიკეტირების ახალი რეგულაციის ამოქმედების ვადაა 2014 წლის 13 დეკემბერი²². ამდენად, ამ სტატიის მომზადების მომენტისთვის (2014 წლის მაისი) ევროკავშირი გარდამავალ ჰერიოდში იმყოფება – სურსათის ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს 2000/13/EC დირექტივის მოთხოვნებს, თუმცა მენარმეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ 2014 წლის 13 დეკემბრის შემდეგ გამოშვებული (ბაზარზე გაშვებული) სურსათის ეტიკეტი უკვე 1169/2011 რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისი უნდა იყოს. მენარმეს შეუძლია უკვე ახლა გამოუშვას/გაყიდოს სურსათი, რომლის ეტიკეტი მომავალ წესებს ემორჩილება, თუმცა ეს ეტიკეტი, ამავე დროს, ძველ წესებსაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს²³.

ამ სტატიაში სურსათის ეტიკეტირების მოთხოვნები აღწერილია 2014 წლის მაისის მდგომარეობით. დამატებით მითითებულია ის ცვლილებები, რომელიც 2014 წლის 13 დეკემბრიდან შევა ძალაში. მოთხოვნები, რომელთათვისაც წყარო მითითებული არ არის, ეყრდნობა 2000/13/EC დირექტივის მოქმედ (კონსოლიდირებული) ვერსიას²⁴ და 1169/2011 რეგულაციის 2014 წლის მაისისთვის არსებულ კონსოლიდირებულ ვერსიას²⁵. ყველა იმ მოთხოვნისათვის, რომელიც სხვა წორმატიული აქტებით არის დადგენილი, წყარო ტექსტში ან სქოლიორშია მითითებული.

22 გარდა ხორცის ფარშისათვის დადგენილი წორმებისა, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან. დეტალები იხ. ქვემოთ.

23 ევროკომისის მიერ გამოცემულ განმარტებით დოკუმენტში (იხ. [21], პუნქტი 2.8.1) მითითებულია კონკრეტული მაგალითი, როდესაც ამ ორი აქტის მოთხოვნები განსხვავდება: ახალი რეგულაცია არ ითხოვს, რომ ე.წ. „Best before“ თარიღი „ედვის იმავე არქომ“ იყოს მოთავსებული, სადაც სურსათის დასახელებაა, თუმცა 2000/13/EC დირექტივი ამას ითხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით წარმოებულ სურსათზე ეს ვადა მითითებული უნდა იყოს დასახელებასთან ახლოს (ხედვის იმავე არქო), ხოლო 2014 წლის 13 დეკემბრიდან გამოშვებულ სურსათზე – იმავე ან ნებისმიერ სხვა ადგილას.

24 ხელმისაწვდომია მისამართზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02000L0013-20130701&from=EN>.

25 ხელმისაწვდომია მისამართზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:02011R1169-20140219&from=EN>

ვერტიკალური კანონმდებლობა

როგორც აღვნიშნეთ, გარდა „ჰორიზონტალური“ (ყველა ტიპის სურსათზე მიმართული) კანონმდებლობისა, სურსათის ეტიკეტირების წესები ე.ნ. „ვერტიკალური“ (ცალკეული ტიპის სურსათის მარეგულირებელი) კანონმდებლობითაც არის დადგენილი. ვერტიკალური კანონმდებლობის განვითარება ევროკავშირში 1970-ან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში ევროპული თანამეგობრობა გეგმავდა სხვადასხვა ტიპის სურსათისთვის ევროპული „სტანდარტების“²⁶ მიღებას, რომელიც დაადგენდა თუ რას წარმოადგენს (რა ნედლეულისგან/მასალებისგან შეიძლება იყოს მიღებული და რა ტექნოლოგიების გამოყენებით) ამა თუ იმ ტიპის/დასახელების პროდუქტი. თუმცა, როგორც ამ სერიის პირველ ბროშურაში აღვწერეთ²⁷, წევრი-ქვეყნების მოსახლეობის კულინარიული ჩვევებისა და გემოვნების განსხვავებულობის გამო, ეს პროცესი ძალზე მაღე „გაიჭედა“ და 1985 წელს თანამეგობრობამ მის გაგრძელებაზე უარი თქვა²⁸. სანაცვლოდ დაწესდა ეგრეთ წოდებული

26 იგულისხმება სურსათის ცალკეული ტიპის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელსაც არაფორმალურად სურსათის შემადგენლობის სტანდარტებსაც (Food composition standards) უწოდება.

27 უფრო დეტალურად იხ. პუბლიკაციაში სურსათის რგულირება ევროკავშირში „ევროპის კანონმდებლობა სურსათზე: სურსათის ძირითადი კანონი“, 2013 წ, <http://momxmarebeli.ge/images/file-246141.pdf>

28 ამ პერიოდისთვის დამტკიცდა სულ 9 ვერტიკალური დირქტივა სურსათზე:

1. Council Directive 73/241/EEC of 24 July 1973 on the approximation of the laws of the Member States relating to cocoa and chocolate products intended for human consumption.

2. Council Directive 73/437/EEC of 11 December 1973 on the approximation of the laws of the Member States concerning certain sugars intended for human consumption.

3. Council Directive 74/409/EEC of 22 July 1974 on the harmonization of the laws of the Member States relating to honey.

4. Council Directive 75/726/EEC of 17 November 1975 on the approximation of the laws of the Member States concerning fruit juices and certain similar products.

5. Council Directive 76/118/EEC of 18 December 1975 on the approximation of the laws of the Member States relating to certain partly or wholly dehydrated preserved milk for human consumption.

6. Council Directive 77/436/EEC of 27 June 1977 on the approximation of the laws of the Member States relating to coffee extracts and chicory extracts.

7. Council Directive 79/693/EEC of 24 July 1979 on the approximation of the laws of the Member States relating to fruit jams, jellies and marmalades and sweetened chestnut purée.

8. Council Directive 80/777/EEC of 15 July 1980 on the approximation of the laws of the Member States relating to the exploitation and marketing of natural mineral waters.

9. Council Directive 83/417/EEC of 25 July 1983 on the approximation of the laws of the Member States relating to certain lactoproteins (caseins and caseinates) intended for human consumption.

„ურთიერთაღიარების“ პრინციპი, რომლის მიხედვითაც ერთ ქვეყანაში კანონიერად წარმოებული პროდუქტი თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში შეფერხების გარეშე უნდა გაყიდულიყო. 90-ანი წლებისთვის ამ მიდგომის სერიოზული ნაკლოვანებები გამოჩნდა (ძირითადად, სურსათის უვნებლობის ერთიანი დონის უზრუნველყოფის მხრივ) და სურსათის სფეროს რეგულირება თანამეგობრობის ქვეყნებს შორის მოქმედი წესების დაახლოებიდან პროიზონტალური წესების სრულ უნიფიცირებაზე – თანამეგობრობის დონის აქტების დაქვემდებარებაზე გადავიდა. სურსათის ეროვნული თუ კუთხური თავისებურებების შენარჩუნებისა და დაცვისთვის კი 1992 წლიდან შემოღებულ იქნა „ტრადიციული ნაწარმის/კერძის/რეცეპტურის“ (Traditional Specialities Guaranteed, TSG) და სურსათის დასახელებებში გეოგრაფიული მითითებების გამოყენების (Protected Designations of Origin, PDO da Protected Geographical Indicators, PGI) რეგისტრაციისა და დაცვის შესაძლებლობა (დეტალურად იხ. ქვემოთ).

ამავე დროს, სურსათის ამა თუ იმ სახეობის მკაცრი განსაზღვრა (და ხარისხის რეგულირება) საჭირო იყო არა მხოლოდ მომხმარებლის სათანადო ინფორმირებულობისათვის, არამედ ამ პროდუქციის წარმოების რეგულირებისთვისაც, მათ შორის საჯარო ფინანსებიდან სხვადასხვა დახმარების გასაწევად. ამ მიზნით 1968-2006 წლებში თანამეგობრობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარეგულირებელი ბევრი აქტი იქნა მიღებული. რეგულირებამ მოიცვა სურსათის ისეთი ჯგუფები, როგორიცაა:

- საქონლის ხორცი²⁹, ღორის ხორცი³⁰, ცხვრისა და თხის ხორცი³¹, ფრინველის ხორცი³², კვერცხი³³, სხვა ხორცი³⁴;
- რძე და რძის პროდუქტები;³⁵

29 Council Regulation (EC) No 1254/1999 of 17 May 1999 on the common organisation of the market in beef and veal.

30 Council Regulation (EEC) No 2759/75 of 29 October 1975 on the common organisation of the market in pigmeat.

31 Council Regulation (EC) No 2529/2001 of 19 December 2001 on the common organisation of the market in sheepmeat and goatmeat.

32 Council Regulation (EEC) No 2777/75 of 29 October 1975 on the common organisation of the market in poultrymeat.

33 Council Regulation (EEC) No 2771/75 of 29 October 1975 on the common organisation of the market in eggs.

34 Council Regulation (EEC) No 827/68 of 28 June 1968 on the common organisation of the market in certain products listed in Annex II to the Treaty.

35 Règlement n° 13/64/CEE du Conseil, du 5 février 1964, portant établissement graduel d'une organisation commune des marchés dans le secteur du lait et des produits laitiers, მოქმედიც 1968 წლიდან ჩაანაცვლა 804/68 რეგულაციამ (Regulation (EEC) No 804/68 of the

- ნედლი ხილი და ბოსტნეული³⁶, ბანანი³⁷, გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული³⁸;
- ბრინჯი³⁹ და სხვა ბურლულეული⁴⁰;
- ღვინო⁴¹, მცენარეული წარმოშობის სპირტი⁴²;
- საჭმელი ზეითუნი და ზეითუნის ზეთი⁴³;
- შაქარი⁴⁴;
- მეფუტყრეობის პროდუქცია⁴⁵.

ამ საკანონმდებლო აქტებში, გარდა სოფლის მეურნეობისადმი ფინანსური დახმარების კონტრეტული სქემებისა, დადგენილი იყო მოთხოვნები შესაბამისი პროდუქტების ხარისხისა და შემადგენლობის, აგრეთვე მათი გასაყიდი დასახელებისა და თანმდევი სავალდებულო ინფორმაციის თაობაზე⁴⁶. ისინი, ერთი მხრივ აუცილებელი

Council of 27 June 1968 on the common organisation of the market in milk and milk products) da 1411/71 regulaciam (Regulation (EEC) No 1411/71 of the Council of 29 June 1971 laying down additional rules on the common organisation of the market in milk and milk products for products falling within tariff heading No 04.01), რომლებიც 1997 და 1999 წლიდან შეიცვალა შესაბამისად 2597/97 (Council Regulation (EC) No 2597/97 of 18 December 1997 laying down additional rules on the common organization of the market in milk and milk products for drinking milk) და 1255/1999 რეგულაციით (Council Regulation (EC) No 1255/1999 of 17 May 1999 on the common organisation of the market in milk and milk products).

36 Council Regulation (EC) No 2200/96 of 28 October 1996 on the common organisation of the market in fruit and vegetables.

37 Council Regulation (EEC) No 404/93 of 13 February 1993 on the common organisation of the market in bananas.

38 Council Regulation (EC) No 2201/96 of 28 October 1996 on the common organisation of the markets in processed fruit and vegetable products.

39 Council Regulation (EC) No 1785/2003 of 29 September 2003 on the common organisation of the market in rice.

40 Council Regulation (EC) No 1784/2003 of 29 September 2003 on the common organisation of the market in cereals.

41 Council Regulation (EC) No 1493/1999 of 17 May 1999 on the common organisation of the market in wine.

42 Council Regulation (EC) No 670/2003 of 8 April 2003 laying down specific measures concerning the market in ethyl alcohol of agricultural origin.

43 Council Regulation (EC) No 865/2004 of 29 April 2004 on the common organisation of the market in olive oil and table olives.

44 Council Regulation (EC) No 318/2006 of 20 February 2006 on the common organisation of the markets in the sugar sector.

45 Council Regulation (EC) No 797/2004 of 26 April 2004 on measures improving general conditions for the production and marketing of apiculture products.

46 ევროკომისის განმარტებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი მოიცავს როგორც პროდუქტის ფიზიკურ, ქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ორგანილებული იურ (ზომა, შესახედაობა, გემო) მახასიათებლებს, ასევე მისი მიღების მეთოდებს, მათ შორის წარმომავლობას, ცხოველთა მოვლა-მოშენების მეთოდს და სხვა. იხ.

იყო იმისთვის, რომ ფინანსური დახმარების სქემები მკაფიო და გამჭვირვალე ყოფილიყო, თუმცა, ამავე დროს მათი ფუნქცია იყო შესაბამისი ბაზრის დაცვა გაყალბებისგან, რაც, ცხადია, პროდუქტების მწარმოებელთა და მომზმარებელთა ინტერესებშიც შედიოდა.

2007 წელს ბაზრის ორგანიზების ზემოთ ჩამოთვლილი რეგულაციები ერთ ნორმატიულ აქტში ე.წ. „საერთო ბაზრის ორგანიზების ერთიან რეგულაციაში“⁴⁷ (The Single Common Market Organisation regulation) გაერთიანდა. ამ რეგულაციაში გადავიდა პროდუქციის ხარისხის/მემადგენლობისა და დასახელების/ეტიკეტირების მარეგულირებელი ნორმებიც (მათ აქ პირველად ოფიციალურად ეწოდა, „მარკეტინგული სტანდარტები“). ამავე დროს დაიწყო ამ მოთხოვნების გამარტივებაც (მაგალითად, უმეტესი ხილისა და ბოსტნეულის მარკეტინგული სტანდარტი ერთიან ზოგად მოთხოვნებად გაერთიანდა). ეს პროცესი გაგრძელდა 2013 წელს, როდესაც ახალი sCMO რეგულაციით⁴⁸, „სტანდარტების“ ზოგიერთი მოთხოვნა სავალდებულოდან ნებაყოფლობითი გახდა (მაგალითად, კვერცხის, ქათმის ხორცის, ზეითუნის ზეთის ეტიკეტირების ზოგიერთი მოთხოვნა. დეტალები იხ. ქვემოთ).

ქვემოთ, ტექსტში, შეძლებისდაგვარად ამომწურავად აღნერილია დღეს მოქმედი მარკეტინგული სტანდარტების ის მოთხოვნები, რომელსაც სურსათის ეტიკეტირებაზე აქვს გავლენა. აღნერები ძირითადად, მისადაგებულია ეტიკეტის შესაბამისი ნაწილის დახასიათებასთან (დასახელება, ინგრედიენტების მითითება, შემადგენლობის მითითება, სხვა სავალდებულო მითითებები, ნებაყოფლობითი მითითებები და ა.შ.).

Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on agricultural product quality policy, COM/2009/0234 final, პირველი სქოლით.

47 Council Regulation (EC) No 1234/2007 of 22 October 2007 establishing a common organisation of agricultural markets and on specific provisions for certain agricultural products (Single CMO Regulation).

48 Regulation (EU) No 1308/2013 of the European Parliament and of the Council of 17 December 2013 establishing a common organisation of the markets in agricultural products and repealing Council Regulations (EEC) No 922/72, (EEC) No 234/79, (EC) No 1037/2001 and (EC) No 1234/2007.

ეტიკეტირების ზოგადი მოთხოვნები

სურსათის ინფორმაციით უზრუნველყოფის მოთხოვნები ეხება ნებისმიერ სურსათს, რომელიც მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს და საზოგადოებრივი კვების ობიექტს.

ინფორმაცია სურსათის თაობაზე:

- არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, განსაკუთრებით სურსათის ისეთ მახსიათებლებთან დაკავშირებით, როგორიცაა სურსათის ბუნება, შემადგენლობა, რაოდენობა, ვარგისანობის ვადა, წარმომავლობა, წარმოების მეთოდი.
- არ უნდა ხდებოდეს სურსათისთვის ისეთი თვისებების მიწერა, რომელიც პროდუქტს არ გააჩნია, ან რამე ისეთი თვისების განსაკუთრებულობაზე მითითება, რომელიც სრულებითაც არ არის განსაკუთრებული – იგი ამ ტიპის ყველა პროდუქტს გააჩნია.
- უნდა იყოს სწორი, ერთმნიშვნელოვანი და იოლად გასაგები;
- არ მიუთითებდეს/გულისხმობდეს, რომ ამ სურსათის გამოყენებით ადამიანი შეძლებს განიკურნოს ან თავიდან აიცილოს რამე დაავადება (გარდა სპეციალური დანიშნულების სურსათისა, იხ. ქვემო).

ეს მოთხოვნები ეხება არა მხოლოდ ეტიკეტზე განთავსებულ ინფორმაციას, არამედ აგრეთვე შეფუთვის ზოგად შესახედაობას, ფორმას, შესაფუთ მასალას, აგრეთვე სურსათის წარდგენას – როგორ და სად არის სურსათი განლაგებული, და სურსათის რეკლამას.

2014 წლის 13 დეკემბრიდან ძალაში შედის დამატებითი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სურსათი, რომლის შემადგენლობა შეიცვალა, არ უნდა წააგვდეს ძველი/მომხმარებლისთვის ჩვეული შემადგენლობის სურსათს. უფრო ზუსტად: სურსათის თაობაზე მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სურსათის შესახედაობა ან წარდგენა) არ უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ სურსათი შეიცავს მომხმარებლისთვის ჩვეულ რამე ინგრედიენტს, რომელსაც ეს სურსათი ბუნებრივად შეიცავს ხოლმე, ან რომლის გამოყენებით მას ჩვეულებრივ ამზადებენ, მაშინ, როდესაც რეალურად ამ პროდუქტში ეს ინგრედიენტი წარმოდგენილი არ არის, ან ჩანაცვლებულია სხვა ინგრედიენტით⁴⁹.

49 რეგულაცია 1169/2011, მუხლი მე-7, პუნქტი 1(გ).

სავალდებულო ინფორმაცია

სავალდებულო ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სურსათის შეძენის ადგილას, სურსათის შეძენის მომენტში, ამ შეძენის რეალურად განხორციელებამდე.⁵⁰

სავალდებულო სურსათის თაობაზე მომხმარებლისთვის⁵¹ შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

- სურსათის დასახელება და, ცალკეულ შემთხვევებში – მდგომარეობა (გამომშრალი, ღრმად გაყინული, კონცენტრირებული, შებოლილი, დასხივებული);
- სურსათის ინგრედიენტების (მ.შ. ალერგენების) ჩამონათვალი⁵²;
- გარკვეული ინგრედიენტების რაოდენობრივი აღწერა;
- პროდუქტის წონა ან მოცულობა;
- ვარგისიანობისა და გამოყენების ვადები;
- შენახვისა და გამოყენების პრობები;
- პასუხისმგებელი ბიზნეს-ოპერატორი;
- სურსათის დამზადების ქვეყანა/ადგილი – თუკი ამის მიუთითებლობა მომხმარებელს შეცდომაში შეიყვანს (არის გამონაკლისები. იხ. ქვემოთ);
- გამოყენების ინსტრუქცია – თუკი მის გარეშე სურსათის სათანადო გამოყენება რთულია;
- გარკვეული წინასწარ დადგენილი ინფორმაცია სურსათის მომზადების მეთოდის, ნედლეულის ან შემადგენლობის თაობაზე (გმო, დამზადებულია გაყინული ხორცისგან, ფორმირებული ხორცი და სხვა. იხ. ქვემოთ);
- ცალკეული ტიპის სურსათისთვის – დადგენილი ნუტრიენტების შემცველობა (დეტალურად იხ. ქვემოთ). 2016 წლის 13 დეკემბრიდან კი – კვებითი ღირებულების აღწერა (კვებითი ღირებულების დეკლარაცია) ყველა სურსათისთვის, გარდა გამონაკლისებისა.

50 იუ. აგრეთვე 2013/63/EU: Commission implementing decision of 24 January 2013 adopting guidelines for the implementation of specific conditions for health claims laid down in Article 10 of Regulation (EC) No 1924/2006 of the European Parliament and of the Council, დანართი, პუნქტი 2.1(გ).

51 აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ობიექტისთვის.

52 2014 წლის 13 დეკემბრიდან სავალდებულო ხდება ალერგიის გამომწვევი ნივთიერებების შემადგენლობის განსაკუთრებული მითითება, მათ შორის იმ კომპონენტებისაც, რომელიც ფორმალურად სურსათის დანამატს არ წარმოადგენს (სურსათის მომზადების „პროცესის დამხმარე აგენტია“). იხ. დეტალურად ქვემოთ.

ეს ინფორმაცია გადმოცემული უნდა იყოს სიტყვებისა და ციფრების საშუალებით, სქემები/პიქტოგრამები და სიმბოლოები შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ დამატებით. ინფორმაცია გადმოცემული უნდა იყოს იმ ენაზე, რომელიც ესმით მომხმარებლებს ქვეყანაში, სადაც სურსათი იყიდება (ამ ქვეყანამ შეიძლება დააწესოს რამდენიმე სავალდებულო ენა სურსათის ეტიკეტისთვის).

დაფასოებული (წინასწარ შეფუთული) სურსათის შემთხვევაში სავალდებულო ინფორმაცია უნდა განთავსდეს უშუალოდ შეფუთვაზე ან მასზე მიმაგრებულ ეტიკეტზე⁵³. სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების წესებს იმ სურსათთან დაკავშირებით, რომელიც შეუფუთავი იყიდება ან მომხმარებლის მოთხოვნით იფუთება, თავიანთ ტერიტორიაზე ევროკავშირის წევრი-ქვეყნები განსაზღვრავენ. 2014 წლის 13 დეკემბრიდან, თუ ასეთი წესები დადგენილი არ არის, აუცილებელია მხოლოდ ალერგენების მითითება.

სავალდებულო ინფორმაცია უნდა იყოს იოლად შესამჩნევი, იოლად წასაკითხი და იოლად არ უნდა იშლებოდეს. ინფორმაცია არ უნდა იყოს რაიმენაირად დამალული, დაჩრდილული, ძნელად გასაარჩევი ან გადაფარული/გაწყვეტილი სხვა წარწერებით ან სურათებით. 2014 წლის 13 დეკემბრიდან ძალაში შედის შრიფტის მინიმალური ზომის მოთხოვნა სავალდებულო ინფორმაციისთვის. კერძოდ, საამისოდ გამოყენებულ შრიფტში ასო „x“-ის სიმაღლე 1,2 მილიმეტრი ან მეტი უნდა იყოს. შედარებით მცირე ზომის შეფუთვისათვის, რომლის ყველაზე დიდი ზედაპირი 80 სმ²-ს არ აღემატება, დასაშვებია გამოყენებულ იქნეს შრიფტი, რომელშიც ასო „x“-ის სიმაღლე 0,9 მილიმეტრია.

სურსათის დასახელება, რაოდენობა და ალკოჰოლის შემცელობა ხედვის ერთსა და იმავე არეში⁵⁵ უნდა იყოს განთავსებული (გამონაკლისია მრავალჯერადი გამოყენების შუშის ბოთლები და მცირე ზომის შეფუთვები⁵⁶). დამატებით, 2014 წლის 13 დეკემბრამდე

53 ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საზოგადოებრივი კვების ობიექტისათვის მისანოდებელ სურსათზე, რომელიც საბოლოო მომხმარებელს გადმუშავებული ან გადაფუთული სახით მიენოდება. ასეთ შემთხვევაში საკმარისია სავალდებულო ინფორმაცია მიცემული იყოს პროდუქტის თანმდევ დოკუმენტაციაში. პროდუქტის გარე შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს მხოლოდ პროდუქტის დასახელება, ვარგისიანობის ვადა და პიზნეს-ოპერატორის ვინაობა.

54 1,2%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველი სასმელებისთვის.

55 ხედვის არე ნიშნავს სურსათის შეფუთვის ყველა იმ ზედაპირს, რომელიც ამათუ იმ კუთხიდან ერთდოულად ჩანს.

56 შეფუთვა, რომლის ყველა ზედაპირი 10 სმ²-ზე მცირეა.

მოქმედებს მოთხოვნა, რომ ხედვის იმავე არეში იყოს განთავსებული შენახვისა და ვარგისიანობის ვადებიც. 2014 წლის 12 დეკემბრის შემდეგ ეს მოთხოვნა უქმდება.

მრავალჯერადი გამოყენებს შეშის ბოთლებში მოთავსებულ სურსათზე სავალდებულოა მხოლოდ სურსათის დასახელების, რაოდენობის, ალერგენების, ვადებისა და ალკოჰოლის შემცველების მითითება. თუკი სურსათი მოთავსებულია მცირე შეფუთვაში, რომლის არც ერთი ზედაპირი 10 Sm^2 -ზე დიდი არ არის, ეტიკეტზე/შეფუთვაზე სავალდებულოა მხოლოდ დასახელების, რაოდენობის, ალერგენებისა და ვადების მითითება. თუმცა მომხმარებლისთვის, მის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, პროდუქტის შემადგენლობაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი (თუნდაც არა ეტიკეტით, არამედ სხვა საშუალებებით).⁵⁷

2014 წლის 13 დეკემბრიდან ძალაში შედის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სავალდებულო ინფორმაცია⁵⁸ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი იყოს პროდუქტის დისტანციურად შექმნისასაც. ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასეთი პროდუქტის არა მხოლოდ მიტანისას, არამედ მის შექმნამდე⁵⁹, იმ საშუალებებით, რომლის თაობაზე მომხმარებელი ინფორმირებულია, მომხმარებლის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.

სურსათის დასახელება

ნებისმიერი სურსათი უნდა გაიყიდოს იმ დასახელებით⁶⁰, რომელიც:

- დადგენილია ამ ტიპის სურსათისთვის ევროკავშირის კანონმდებლობით, ან, თუკი ასეთი არ არსებობს;

⁵⁷ 2014 წლის 13 დეკემბრიდე ირივე შემთხვევაში (შეშის ბოთლებსა და მცირე შეფუთვაზე) საკმარისისა ეტიკეტზე მიეთითოს სურსათის დასახელება, რაოდენობა და ვადები.

⁵⁸ დაფასოებული (წინასწარ შეფუთული) სურსათისთვის – მთელი სავალდებულო ინფორმაცია, შეუფუთავისთვის – ალერგენები და სხვა ინფორმაცია, რაც წევრი-ქვეყნის მიერ არის დადგენილი.

⁵⁹ გარდა სურსათის გასაყიდი აპარატებისა (Vending machines) და ავტომატიზებული სავაჭრო პუნქტებისა.

⁶⁰ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში სურსათის დასახელების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინია ნახმარი: sales description, product designation, name under which the product is sold. ქართულად ყველა ეს ტერმინი ნათარგმნია, როგორც სურსათის „დასახელება“.

- დადგენილია ამ ტიპის სურსათისთვის იმ წევრი-ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, სადაც იყიდება პროდუქტი, ან, თუკი ასეთი არ არსებობს;
- მომხმარებლისთვის ჩვეული დასახელებით (customary name), რომლითაც ამ ქვეყანაში ასეთი ტიპის სურსათი ცნობილია, ან,
- აღნერილობითი დასახელებით (descriptive name), რომელიც უნდა იყოს ისეთი, რომ მომხმარებლებმა გაიგონ სურსათის ნამდვილი ბუნება და გაარჩიონ ეს პროდუქტი მსგავსი⁶¹ პროდუქტებისგან.

ჩანართი 1. სურსათის დასახელებები ერთ-ერთი ის თემაა, რომელზეც 1970-80-ან წლებში ხმირი იყო მიმართვიანობა ევროკავშირის სასამართლოსადმი განხარტებების თხოვნით. როგორც წესი, პრეტეზია ამ სასამართლო საქმეებში ეხებოდა თანამეგობრობის სხვადასხვა წევრ-ქვეყანაში სურსათის ერთსა და იმავე დასახელებისათვის სხვადასხვა შემძლებლობის პროდუქტის დაკანონებას. ხშირ შემთხვევაში, ქვეყნები კლილობრივი, სურსათის ესა თუ ის ზოგადი დასახელება (მაგალითად ლუდი⁶², შოკოლადი⁶³, ძმარი⁶⁴) ამ ტიპის სურსათის მხოლოდ ერთი ნარისახებისთვის, – როგორც წესი, ადგილობრივი ტექნიკური ნარმოებული პროდუქტისთვის მიეკუთხებონათ. შესაბამისად, სხვა ტექნიკური დასახელებით წარმოქმნა (როგორც წესი, იმპორტული) პროდუქტი განსხვავებული დასახელებით უნდა გაყიდულიყო. ქვეყნები ამის მიზანად, ჩვეულებრივ, თავიანთი მომხმარებლების ინტერესების დაცვას ასახელებდნენ – თთქმისდა, მათი მომხმარებელი შერჩევული იყო, რომ ამ (ზოგადი) დასახელებით სწორედ იმ კონკრეტული შემძლებელობის ან იმ კონკრეტული ტექნიკურით დამზადებული პროდუქტი იყიდებოდა. თუმცა, ევროპის სასამართლო ასეთ ქმედებებში ეროვნულ ნარისების ფარიულ პროტექციონიზმს და ქვეყნებს შორის ვაჭრობის შემაფრხვებულ ზომებს ხედავდა და ითხოვდა, რომ ქვეყნებს თავის მომხმარებელთა ინფორმირებისთვის სხვა, უფრო ადეკვატური, „საფრთხის პროპორციული“ ზომები გამოყენებინათ. სასამართლო მიჩნევდა, რომ მომხმარებელმა უპირობოდ უნდა მიიღოს მაქსიმალურად სწორი ინფორმაცია, მაგრამ საამისოდ არჩეული უნდა იყოს ისეთი მეთოდი, რომელიც ერთიანი ბაზრისთვის ნაკლებად საზიანი იქნება. ხოლო პროდუქტის დასახელების შეცვლა მომხმარებლისთვის ნაკლებად გასაგება ან ნაკლებად ჩვეული დასახელებით (მაგალითად, ღრმად გაყინული იოგურტისთვის „ფერმენტირებული რძის“ დარქევა, ან ბრინჯაოს, ან სიმინდისგან დამზადებული ლუდიებასახელება „ლუდის“ გამოყენების აკრძალვა, ან დასახელება „ქრის“ მიკეთვება მხოლოდ ყურძნის ღვინისგან დამზადებული ძმრისთვის), აგრეთვე დასახელებისთვის დამაკანებელი ზედასართავის დამატების ვალდებულება (კაკაოს ცხიმის გარდა სხვა ცხიმის შემცველი შოკოლადისათვის „შოკოლადის შეცვლელის“ დარქევა, ან დანარ-

61 იგულისხმება პროდუქტები, რომელშიც მომხმარებელს ეს პროდუქტი შეიძლება აერიოს.

62 Case 178/84, Commission vs Germany. ფორმალურად გერმანია თავის მიდგომას ასაბუთებდა საკეებდამატების აკრძალვით (ქერის გარდა სხვა ბურლულეულისგან ლუდის ნარმოებას ამ ბურლულეულისთვის ფერმენტების დამატება სჭირდება, გერმანიის კანონით კი სურსათის დანამატების გამოყენება ლუდში იკრძალებოდა).

63 Case 12/00, Commission vs Spain და Case 14/00, Commission vs Italy.

64 Case 788/79 Gilli and Anders და Case 193/80 Commission vs Italy.

ჩენი პროდუქციისთვის „სუფთა შოკოლადის“ დარქმევა) ართულებს პროდუქტის მარკეტინგს და ამდენად, შემაფერხებელია ვაჭრობისთვის. მიტომ, თუკი შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იყოს ალტერნატიული ზომები მომხმარებელთა ინფორმირებისათვის, და ამსთვის მიეთითოს ნეიტრალური აღწერითი ინფორმაცია. მაგალითად შესაძლებელია სურსათის ნარმოშობის, შემადგენლობის ან განსხვავებული ტექნოლოგიის აღწერა ეტიკეტზე. მაგალითად, ღრმად გაყინულ იოგურტზე საკმარისია მიეთითოს უძრალოდ „ღრმად გაყინულ იოგურტი“, „უცხო ცხიმების შემცველ შოკოლადზე მიეთითოს: „შეიცავს კაკაოს ცხიმსა და სხვა მცენარეულ ცხიმებს“, ვაშლისგან დამზადებულ ძმარზე – „ვაშლის ძმარი“, ბრინჯისგან დამზადებულ ლუდზე – „დამზადებულია ბრინჯისგან“ და ა.შ.⁶⁵

1997 წლიდან⁶⁶ ევროპის სასამართლოს ეს ინტერპრეტაციები აისახა სურსათის ეტიკეტირების მარგულირებელ ევროპულ კანონმდებლობაში. ამ პერიოდიდან დაშვებულია სურსათის გაყიდვა იმ დასახელებით, როთიც ის კანონიერად ინარმოება/იყიდება თავის ქვეყანაში, თუკი ეს მიმღები ქვეყნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას არ იწვეს. დამატებით კი შეიძლება დაწესდეს განმარტებითი ინფორმაციის მთითების მოთხოვნა.

პრობლემურია სიტუაცია, როდესაც ერთსა და იმავე სურსათს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ჰქვია. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი ფორმულა:

- დაშვებულია ევროკავშირის ერთ ქვეყანაში სურსათის გაყიდვა იმ დასახელებით, რომლითაც ის კანონიერად ინარმოება და იყიდება მეორე ქვეყანაში. თუმცა:
- თუკი ზემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო ინფორმაცია არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მიმღებ ქვეყანაში მომხმარებლებმა დაადგინონ ამ პროდუქტის ზუსტი ბუნება და განსხვაონ იგი სხვა მსგავსი პროდუქტებისგან – დასახელების მახლობლად უნდა განთავსდეს დამატებითი განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც მათ ამის საშუალებას მისცემს.
- გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სხვა ქვეყნაში წარმოებული სურსათი, თავისი შემადგენლობითა და მომზადების წესით, იმდენად განსხვავდება მიმღებ ქვეყანაში იმავე

65 სასამართლოს განმარტებით, ეს მიდგომა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროდუქტის არსებითი მახასიათებელი შეცვლილი არ არის. ანუ, თუკი იოგურტში, მოუხედავად მისი ღრმად გაყინვისა, იოგურტის დამახასიათებელი ბაქტერიების საკმარისი რაოდენობა (100 მილიონი კრამში) (ცოცხალია, ან, თუკი ლუდი წარმოადგენს „ბურლულებულის თხვად ექსტრაქტისა და სვის ნარევის ალგაპოლური ფერმენტაციის შედეგად მიღებულ სასმელს“, ან შოკოლადი, მიუხედვად უცხო ცხიმების შემცველიბისა, კაკაოს ცხიმისა და მშრალი ნივთიერებების შემადგენლობის დადგენილ ნორმებს აკმაყოფილებს, და ა.შ.

66 Directive 97/4/EC of the European Parliament and of the Council of 27 January 1997 amending Directive 79/112/EEC on the approximation of the laws of the Member States relating to the labelling, presentation and advertising of foodstuffs.

დასახელებით ცნობილი პროდუქტისგან, რომ არც ასეთი განმარტებებია საკმარისი მომხმარებელთა სრულფასოვანი ინფორმირებისათვის – ასეთ შემთხვევებში პროდუქტი ვერ გაიყიდება იმ დასახელებით, რომლითაც იგი წარმოშობის ქვეყანაში იწარმოება და იყიდება. დასახელება უნდა შეირჩეს ისე, რომ მომხმარებელი მიხვდეს, რა პროდუქტთან აქვს საქმე და სხვა პროდუქტში ის არ აერიოს.

დაუშვებელია სურსათის დასახელება ჩანაცვლდებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებით დაცული სახელით ან ბრენდული სახელით.

თანამეგობრობაში დადგენილი დასახელებები

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ევროკავშირში რიგი სურსათი სპეციალური ვერტიკალური ან ჰორიზონტალური კანონმდებლობით რეგულირდება. ზოგ შემთხვევაში ეს კანონმდებლობა იმ დასახელებებსაც ადგენს, რომლითაც შეიძლება ეს სურსათი გაიყიდოს. ქვემოთ ჩვენ შევეცადეთ ევროკავშირის კანონმდებლობიდან ყველა ასეთი მოთხოვნა ამოგვეკრიფა.

კაკაო და შოკოლადი

შოკოლადი და სხვა კაკაოს პროდუქტები პირველი იყო, რომელთა შემადგენლობა და დასახელებები ევროპული თანამეგობრობის დონეზე დარეგულირდა: შესაბამისი ვერტიკალური დორქეტივა⁶⁷ ევროპის თანამეგობრობამ 1973 წელს მიიღო. ამ დირქეტივით დადგინდა, მაგალითად, რომელ პროდუქტს შეიძლება დაერქვას „შოკოლადი“, ან „რძიანი შოკოლადი“. თუმცა დირქეტივამ ვერ მოაწეს-რიგა შოკოლადში კაკაოს ცხიმის გარდა სხვა ცხიმების დამატებისა დაშვება-არდაშვების საკითხი, რამაც შემდგომში მთელი რიგი სა-სამართლო გარჩევები გამოიწვია⁶⁸. საქმე იმაშია, რომ თანამეგობრობის სამ ქვეყანაში (დანია, ირლანდია და შვედეთი) შოკოლადში კაკაოს გარდა სხვა ცხიმების დამატება ტრადიციულად მიღებული და ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო. კიდევ სამ ქვეყანაში (დიდი

67 Directive 73/241/EEC of the Council relating to cocoa and chocolate products intended for human consumption.

68 ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს საქმები C-12/00, C-14/00, C-47/09.

ბრიტანეთი, ფინეთი, პორტუგალია) ეს პრაქტიკა მაინცდამაინც ფართოდ გავრცელებული არ გახლდათ, მაგრამ მაინც დაშვებული იყო. თანამეგობრობის ორ ქვეყანაში კი – იტალიასა და ესპანეთში, შოკოლადში კაკაოს გარდა სხვა ცხიმების არსებობა სრულებით იკრძალებოდა. 73/241/EEC დირექტივამ ეს საკითხი ვერ მოაგვარა და უბრალოდ აღინიშნა, რომ ზოგიერთ წევრ-ქვეყანაში შოკოლადში კაკაოს გარდა სხვა ცხიმები დაშვებულია და ამ საკითხს უფრო დეტალური შესწავლა სჭირდება. ბუნებრივია, ესპანეთსა და იტალიას თავისი კანონმდებლობა არ შეუცვლია: უცხო ცხიმების შემცველი შოკოლადის გაყიდვა ამ ქვეყნებში დაიშვებოდა მხოლოდ დასახელებით „შოკოლადის შემცვლელი“. ევროკომისიამ ეს კანონმდებლობა ერთიანი ბაზრის შემაფერხებლად მიიჩნია, ორივე ქვეყანას ევროპის სასამართლოში უჩივლა და მოუგო კიდევ. საბოლოოდ, 2000/36/EC დირექტივით⁶⁹ დადგინდა წესი, რომლის მიხედვით ამჟამად შოკოლადში 5%-მდე სხვა ცხიმების⁷⁰ (კონკრეტული ჩამონათვალის) დამატება დაშვებულია, თუმცა მხოლოდ კაკაოს ცხიმის დადგენილ რაოდენობაზე დამატებით და არა მის მაგივრად.

ამდენად, დღეს ევროკავშირში ამ სფეროში მოქმედი წესები შემდეგია:

დასახელებით „კაკაო“ ან „კაკაოს ფხვნილი“ შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ მოხალული კაკაოს ნაყოფის დაფექტის შედეგად მიღებული პროდუქტი, რომელიც შეიცავს არა უმეტეს 9% ნივალს და რომლის მშრალი ნივთიერების სულ ცოტა 20% კაკაოს ცხიმია. თუ ცხიმის რაოდენობა ნაკლებია, პროდუქტი უნდა გაიყიდოს დასახელებით „დაბალცხიმიანი კაკაო“ (fat reduced cocoa). „შოკოლადის ფხვნილი“ ნიშნავს კაკაოსა და შაქრების ფხვნილების ნარევს, რომელშიც კაკაოს ფხვნილი სულ ცოტა 32% შეადგენს; თუ კაკაოს შემადგენლობა ამ ნარევში ნაკლებია (25%-მდე), იგი შეიძლება გაიყიდოს დასახელებით „სასმელი შოკოლადი“ (drinking chocolate) ან „ტკბილი

69 Directive 2000/36/EC of the European Parliament and of the Council of 23 June 2000 relating to cocoa and chocolate products intended for human consumption.

70 დაშვებულია მხოლოდ შემდეგი ცხიმების დამატება:

1. Shorea სახეობის მცენარეების ოესლის ზეთი (Illipe, Borneo tallow, Tengkawang)
2. პალმის ზეთი;
3. სალის (Sal, Shorea robusta) ზეთი;
4. შის (Shea, Butyrospermum parkii) ზეთი;
5. ინდური გარცინიის (Garcinia indica) ზეთი;
6. მანგოს კურკის ზეთი.

დირექტივის მიხედვით, ეს ცხიმები მდიდარია სიმეტრიული მონო-უჯერი ტრი-გლიცერიდებით და ამ მხრივ კაკაოს ცხიმის ეკვივალენტურია.

კაკაო“(sweetened cocoa).

რაც შეეხება „შოკოლადს“, ამ დასახელებით შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ პროდუქტი, რომელიც მიღებულია კაკაოს პროდუქტებისა და შაქრისგან და რომელიც შეიცავს არანაკლებ 35% კაკაოს მშრალ ნივთიერებას (მ.შ. არანაკლებ 18% კაკაოს ცხიმს) და არანაკლებ 14% სხვა მშრალ ნივთიერებას. გამონაკლისებია შოკოლადის ვერმიშელი (vermicelli), ფანტელი (flakes) და ე.წ. „თხილის შოკოლადი გიანდუჯა“ (Gianduia nut chocolate)⁷¹, რომელიც დაიშვება კაკაოს უფრო დაბალი შემცველობა (კაკაოს მშრალი ნივთიერება უნდა შეადგენდეს პროდუქტის 32%, აქედან კაკაოს ცხიმი 12-8%). მეორე მხრივ კაკაოს ცხიმის უფრო მაღალი შემცველობა (არანაკლებ 31%) სავალდებულოა ისეთ შოკოლადში, რომელიც იყიდება დასახელებით „couverture“⁷². „რძიან შოკოლადში“ ცხიმის შემცველობა უნდა იყოს სულ ცოტა 25%, აქედან სულ ცოტა 3,5%-ს რძის ცხიმი უნდა შეადგენდეს. „თეთრი შოკოლადი“ წარმოადგენს კაკაოს ცხიმისა და რძის პროდუქტებისგან მიღებულ ნაწარმს, რომელიც უნდა შეიცავდეს სულ ცოტა 20% კაკაოს ცხიმს და 14% რძის მშრალ ნივთიერებას, აქედან 3,5% რძის ცხიმს.

დაიშვება დასახელებით „შოკოლადი“ გაიყიდოს პროდუქტი, რომელსაც დამატებული აქვს (5%-მდე) ზემოთ მითითებული მცენარეული ცხიმები, ოლონდ ისე, რომ კაკაოს ცხიმის ან კაკაოს სხვა მშრალი ნივთიერების დადგენილი ნორმა შემცირებული არ იყოს. ასეთ შოკოლადზე უნდა გაკეთდეს წარწერა: „კაკაოს ცხიმის გარდა შეიცავს სხვა მცენარეულ ცხიმებს“ („contains vegetable fats in addition to cocoa butter“). ეს წარწერა უნდა განთავსდეს იმავე ხედვის არეში, სადაც პროდუქტის დასახელებაა.

შაქრები

2001/111/EC დირექტივა⁷³ განსაზღვრავს, თუ რა ფიზიო-ქიმიური მახასიათებლების⁷⁴ მქონე პროდუქტები შეიძლება გაიყიდოს

71 ამ პროდუქტის 100 გრამი უნდა შეიცავდეს 20-40 გრამ თხილის ფეხნილს. დაშვებულია სხვა თხილებულისა და რძის ან რძის ფეხნილის დამატება.

72 ამ პროდუქტი დაშვებულია კაკაოს გარდა სხვა მშრალი ნივთიერების შემცირება 2,5%-მდე.

73 Council Directive 2001/111/EC of 20 December 2001 relating to certain sugars intended for human consumption.

74 დადგენილია ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა პოლარიზაცია, შეფერილობის ტიპი, ხსნარის შეფერილობა, ელექტროგამტარობის საშუალებით დადგენილი

შემდეგი დასახელებებით:

- „შაქარი“ (იგივე „თეთრი შაქარი“), „ნახევრად-თეთრი შაქარი“, „ექსტრა-თეთრი შაქარი“;
- „შაქრის ხსნარი“, „ინვერტირებული შაქრის ხსნარი“, „ინვერტირებული შაქრის სიროფი“ (ამ პროდუქტებზე სავალდებულოა მშრალი ნივთიერებისა და ინვერტირებული შაქრის შემცველობის მითითება. აგრეთვე დამატება „კრისტალიზებული“, თუ სიროფი კრისტალებს შეიცავს);
- „გლუკოზის სიროფი“, „გლუკოზის გამომშრალი სიროფი“ – თუკი ამ პროდუქტებს მშრალ ნივთიერებაში ფრუქტოზის შემცველობა 5 პროცენტს აღემატება, დასახელება უნდა იყოს „გლუკოზა-ფრუქტოზის სიროფი“ ან „ფრუქტოზა-გლუკოზის სიროფი“, იმის მიხედვით, რომელია მეტი პროდუქტში – გლუკოზა თუ ფრუქტოზა;
- „დექსტროზა“, „დექსტროზის მონოპიდრატი“ და „უწყლო დექსტროზა“;
- „ფრუქტოზა“.

დაშვებულია ამ დასახელებების გამოყენება სხვა პროდუქტების დასახელებაში, თუკი ეს არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომა-ში შეყვანას. გარდა ამისა, დაშვება ჩამონათვალში მითითებულ პროდუქტებზე არ მიეთითოს ნეტო წონა, თუკი ისინი დაფასოებულია 20 გრამზე მცირე შეფუთვებად.

თაფლი

2001/110/EC დირექტივა⁷⁵ ადგენს თაფლის სავაჭრო დასახელებებსა და მახასიათებლებს.

- „თაფლი“ – წარმოადგენს ფუტკრების მიერ წარმოებულ ბუნებრივ ტყბილ სითხეს. ის შეიძლება იყოს ორი ტიპის:
 - „ყვავილების თაფლი“ ან „ნექტრის თაფლი“ (blossom honey ან nectar honey), – თაფლი, რომელსაც ფუტკარი ყვავილების ნექტრისგან ანარმოებს;
 - „ცვარტკბილის თაფლი“ / „მანანის თაფლი“ (honey-dew honey), – თაფლი, რომელსაც ფუტკარი ზოგი-

ნაცრის შემცველობა, დანაკარგები გამოშრობისას, ინვერტირებული შაქრების წილი და სხვა. აქ ეს მახასიათებლები დეტალურად არ მოგვყავს.

75 Council Directive 2001/110/EC of 20 December 2001 relating to honey. ამ დირექტივამ ჩაანაცვლა ზემოთ მოხსენიებული 74/409/EEC დირექტივა (Council Directive 74/409/EEC of 22 July 1974 on the harmonization of the laws of the Member States relating to honey).

ერთი მცენარის წვენისგან ან მცენარეზე მცხოვრები ბუგრების ტკბილი გამონაყოფისგან ამზადებს.

დირექტივით დადგენილია თაფლის ფიზიკური და ქიმიური მახა-სიათებულები და მისი დამუშავების დაშვებული ფარგლები. გავლილი დამუშავების მიხედვით თაფლი უნდა გაიყიდოს შემდეგი დასახელე-ბებით:

- „ფიჭის თაფლი“ (comb honey) – ეს არის თაფლი ფიჭაში, ყოველგვარი დამუშავების გარეშე;
- „ჩამონაურული თაფლი“ (drained honey) – ეს არის თაფლი, რო-მელიც მიღებულია ფიჭის თავის გადაჭრისა და სითხის ბუნე-ბრივი ჩამოდინების შედეგად;
- „გამონაურული თაფლი“ (extracted honey) – ეს თაფლი ფიჭიდან გამოცლილია ცენტრიფუგირების შედეგად;
- „ფიჭიანი თაფლი“ (chunk honey ან cut comb in honey) – ეს არის გამონაურული თაფლი, რომელშიც ფიჭის ნაჭრებია ჩადებული.
- „დაპრესილი თაფლი“ (pressed honey) – ეს თაფლი ფიჭიდან დამოცლილია პრესის საშუალებით. შესაძლოა გამოყენებული იყოს 45°C-მდე შეთბობა.
- „გაფილტრული თაფლი“ (filtered honey) – ეს არის რომელიმე ზემოთ აღნერილი საშუალებით მიღებული თაფლი, რომელიც გაიფილტრა. ასეთი თაფლი დაბალი ხარისხის თაფლად ითვ-ლება.
- „მცხობელის თაფლი“ (Baker's honey) – ეს არის თაფლი, რომე-ლის უშუალო მოხმარებისთვის ვარგისი აღარ არის, ვინაიდან დაინტენტებულია (დუღილი), ან განიცადა ზედმეტი (45°C-ზე მაღალი ტემპერატურით) თერმული დამუშავება, ან გააჩნია უცხო სუნი ან გემო. ასეთი თაფლის გაყიდვის შემთხვევაში ეტიკეტზე დასახელების მახლობლად, სავალდებულოა მიეთი-თოს „მხოლოდ კულინარული მიზნებისთვის“ (intended for cook- ing only).

თუკი თაფლი მთლიანად მიღებულია ერთი მცენარისგან ან წარ-მოებულია ერთ ტერიტორიაზე, დასახელებასთან ერთად დაშვებუ-ლია მიეთითოს ამ მცენარის ან ტერიტორიის დასახელება (გარდა გაფილტრული თაფლისა და მცხობელის თაფლისა).

თუკი პროდუქტი მიღებულია მცხობელის თაფლის გამოყენებით, პროდუქტის დასახელებაში დაიშვება სიტყვა „თაფლის“ გამოყენება, თუმცა ინგრედიენტების ჩამონათვალში უნდა მიეთითოს „მცხობე-ლის თაფლი“.

ხილის წვენები

ხილის წვენების შემადგენლობასა და გაყიდვის პირობებს ამჟამად 2001/112/EC დირექტივა არეგულირებს⁷⁶. დირექტივის მიხედვით წვენი არის პროდუქტი, რომელიც მიიღება საღი და მწიფე, ნედლი ან გაყიდული ხილის საჭმელად ვარგისი ნაწილებისგან⁷⁷. ამ პროდუქტების დასახელება შეიძლება იყოს:

- „[ხილის]”⁷⁸ წვენი“ – ეს არის პროდუქტი, რომელიც მიიღება ხილის მექანიკური გამოწურვის საშუალებით. დაიშვება ზოგიერთი ფერმენტის (პეტინაზები, პროტეინაზები, ამილაზები) და ქიმიურად ინერტული გამფილტრავ-გამომლექავი აგენტების გამოყენება (ბენტონიტური თიხა, პერლიტი, დიატომიტი, ცელულზა, ნახშირი და ა.შ.). აგრეთვე დაიშვება ვიტამინების – მინერალების და იმავე ხილისგან ფიზიკური გზით მიღებული არომატიზატორის, პიურეს, რბილობის (პულპის) ან უჯრედების დამატება (ეს უკანასკნელები უნდა მიეთითოს ეტიკეტზე). აგრეთვე დაიშვება სიმჟავის რეგულირების მიზნით ლიმონის ან ლამისის წვენის დამატება (3 გრამამდე ლიტრში). სხვა რამე ნივთიერების (მათ შორის შაქრების) დამატება წვენში არ დაიშვება⁷⁹.
- „კონცენტრირებული [ხილის] წვენი“ – ეს არის წვენი, რომელსაც ფიზიკური საშუალებებით მოშორებული აქვს წყალი.
- „კონცენტრატისგან დამზადებული [ხილის] წვენი“ (Fruit juice from concentrate) – ამ დასახელებით უნდა გაიყიდოს კონცენტრირებული წვენისაგან სასმელი წყლის დამატების საშუალებით საწყის მდგომარეობამდე აღდგენილი წვენი.⁸⁰

76 Council Directive 2001/112/EC of 20 December 2001 relating to fruit juices and certain similar products intended for human consumption. 2003 წლიდან ჩაანაცვლა 93/77/EEC დირექტივა (Council Directive 93/77/EEC of 21 September 1993 relating to fruit juices and certain similar products), რომელმაც თავის მხრივ 1994 წლიდან ზემოა მოხსენიებული 75/726/EEC დირექტივა (Council Directive 75/726/EEC of 17 November 1975 on the approximation of the laws of the Member States concerning fruit juices and certain similar products) შეცვალა.

77 ციტრუსების შემთხვევაში (გარდა ლამისა) წვენი კანგაცლილი ხილისგან (უფრო ზუსტად - ნაყოფის ენდოკარპისგან) მიიღება. სხვა ხილის შემთხვევაში კანის მოშორება საგალდებულო არ არის.

78 აქ და ქვემოთ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა/ფრაზა ყოველი კონკრეტული ტიპის სურსათის შემთხვევაში უნდა შეიცვალოს შესაბამისი კონკრეტული სიტყვით/ფრაზით.

79 გამონაცლისა ტომატის წვენი - მასში დამატებით დაიშვება მარილისა და სუნელების დამატება.

80 თუ პროდუქტი წარმოადგენს სხვადასხვა წვენის ნარევს, რომელთაგან ნაწილი

- „წყლით გამოწურული [ხილის] წვენი“ (Water extracted fruit juice)⁸¹ – ეს წვენი მიიღება ხილის პულპის წყალში შერევით, შემდეგ კი ზედმეტი წყლის მოშორებით. ეს მეთოდი დაიშვება მხოლოდ იმ ხილის წვენის მისაღებად, რომელიც ფიზიკური საშუალებებით ვერ გამოიწურება, ან გამომშრალი ხილისგან მზადდება.
- „[ხილის] მშრალი წვენი“ / „[ხილის] წვენის ფხვნილი“ (Dehydrated/powdered fruit juice) – მიიღება ხილის წვენის გამოშრობით.
- „[ხილის] ნექტარი“ – ეს არის წყლით განზავებული წვენი (დადგენილ ზღვრულ კონცენტრაციამდე, რომელიც სხვა-დასხვა ხილისთვის 25-დან 50 პროცენტამდე მერყეობს⁸²) ან წყლიანი ხილის პიურე. ამ პროდუქტში დაიშვება შაქრის და თაფლის დამატება (20%-მდე), ან დამატებობლების დამატება. ამ პროდუქტზე სავალდებულოა წვენისა და პიურეს რეალური შემცველობის მითითება (იმავე ხედვის არეში, სადაც დასა-ხელებაა). თუ ნექტარი დამზადებულია კონცენტრაციისგან, მის დასახელებასთან ახლოს აგრეთვე უნდა განთავსდეს მკა-ფიონ და შესამჩნევი წარწერა: „კონცენტრაციისგან“.

ამ პროდუქტების დასახელებაში მხოლოდ ერთი ხილის მითითება დაიშვება მარტო იმ შემთხვევაში, თუ წვენი/ნექტარი მხოლოდ ამ ერთი ხილისგან არის მიღებული⁸³. თუ პროდუქტი წარმოადგენს სხვადასხვა ხილისგან მიღებული წვენის ნარევს, მის დასახელებაში მოხსენიებული უნდა იყოს ყველა გამოყენებული ხილი, მათი შემადგენლობის კლების მიხედვით. სამი ან მეტი ხილისგან მიღებული პროდუქტისთვის დაიშვება ხილის დასახელებების მაგივრად, გამოყენებულ იქნეს ფრაზა „რამდენიმე ხილის“ ან „სხვადასხვა ხილის“, ან სხვა მსგავსი შინაარსის ფრაზა (მათ შორს გამოყენებული ხილის სახეობების რაოდენობაზე მითითება).⁸⁴

კონცენტრატსგან არის დამზადებული, მაშინ შეიძლება დასახელებად გამოყენებულ იქნეს „[ხილის] წვენი“, თუმცა ამ დასახელებასთან ახლოს, მკვეთრად და შესამჩნევად უნდა ეწეროს „ნაწილობრივ დამზადებულია კონცენტრატ(ები)სგან“.

81 შედარებით ახალი დასახელებაა, რომელიც დირექტივაში 2012 წლის შესწორების შედეგად შევიდა (Directive 2012/12/EU of the European Parliament and of the Council of 19 April 2012 amending Council Directive 2001/112/EC relating to fruit juices and certain similar products intended for human consumption).

82 ეს ზღვრიბი მითითებულია დირექტივის IV დანართში.

83 გამონაკლისია ლიმონის ან ლაიმის წვენის დამატება - ეს ხილი შესაძლებელია არ იყოს მოხსენიებული დასახელებაში.

84 კონკრეტული გამოყენებული ხილის სახეობები მიეთითება ინგრედიენტების ჩამონათვალში. იხ. ქვემოთ.

ვინაიდან შაქრის/თაფლის დამატება ხილის წვენში იკრძალება, ამიტომ, ბუნებრივია, ამ პროდუქტზე ვერ გაკეთდება განაცხადი იმის თაობაზე, რომ მას არ აქვს დამატებული შაქარი (No added sugar), ვინაიდან ყველა მსგავსი პროდუქტი იმავე თვისებისაა (ი. ზემოთ, ზოგადი მოთხოვნები). რაც შეეხება ნექტარს, მასზე ამ განაცხადის გაკეთება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტს დამატებული არ აქვს არანაირი მონო- ან დისაქარიდი, ან სხვა დამატებობელი. თუ ნექტარი ბუნებრივად შეიცავს შაქებს, მაშინ მასზე დამატებით უნდა განთავსდეს წარნერა „ბუნებრივად შეიცავს შაქრებს“ (contains naturally occurring sugars).

ჯემები და მარმელადები

2001/113/EC დირექტივა⁸⁵ ადგენს, თუ რომელი პროდუქტები შეიძლება გაყიდოს ჯემის, უელეს, მარმელადისა და წაბლის ტკბილი პიურეს დასახელებით და რა პირობით:

- „ჯემი“ არის ხილის⁸⁶ პიურეს ან რბილობის, წყლისა და შაქრის-გან მიღებული, უელეს კონსისტენციის პროდუქტი. 1 კგ ჯემის მისაღებად გამოყენებული უნდა იყოს სულ ცოტა 350 გრამი ხილის პიურე ან რბილობი⁸⁷, ექსტრა ჯემის მისაღებად – სულ ცოტა 450 გრამი;
- „უელე“ არის ხილის წვენის ან წყლიანი ექსტრაქტის, წყლისა და შაქრისგან მიღებული, უელეს კონსისტენციის პროდუქტი. 1 კგ უელეს მისაღებად გამოყენებული უნდა იყოს სულ ცოტა 350 გრამი ხილის წვენი ან წყლიანი ექსტრაქტი, ექსტრა ჯემის მისაღებად – სულ ცოტა 450 გრამი;
- „მარმელადი“ არის ციტრუსის პიურეს, რბილობის, კანის, წვენის ან/ და წყლიანი ექსტრაქტის, წყლისა და შაქრისგან მიღებული უელეს კონსისტენციის პროდუქტი. 1 კგ პროდუქტის მისაღებად გამოყენებული უნდა იყოს სულ ცოტა 200 გრამი;

85 Council Directive 2001/113/EC of 20 December 2001 relating to fruit jams, jellies and marmalades and sweetened chestnut purée intended for human consumption. 2003 წლიდან ამ დირექტივამ ჩაანაცვლა ადრე მოხსენიებული 79/693/EEB დირექტივა (Council Directive 79/693/EEC of 24 July 1979 on the approximation of the laws of the Member States relating to fruit jams, jellies and marmalades and chestnut purée).

86 ამ დირექტივაში ხილს მიუკუთვნება ნაწილი ბოსტნეულიც. კერძოდ: პომი-დორი, კიტრი, რევანდის ღეროები, სტაფილო, გოგრა, ნესვი, საზამთრო, ტკბილი კარტოფილი და ჯანჯაფილი.

87 აქ და ქვემოთ, რამდენიმე სახეობის ხილისთვის დაიშვება პიურეს/რბილობის ნაკლები რაოდენობის გამოყენება.

- ციტრუსის ხილი. დასახელება „მარმელადის ჟელე“ გამოიყენება მხოლოდ ისეთ პროდუქტზე, რომელიც წყალში უხსნად მასალას პრაქტიკულად არ შეიცავს;
- „წაბლის ტკბილი პიურე“ არის წაბლის პიურის, წყლისა და შაქრისგან დამზადებული პროდუქტი, რომლის 1 კგ-ის მოსამზადებლად სულ ცოტა 380 გრ წაბლის პიურე დაიხარჯა.

ისევე, როგორც წვერების შემთხვევაში, ამ პროდუქტების დასახელებაშიც სავალდებულოა მიეთითოს ყველა ის ხილი, რომლის გამოყენებითაც არის ისინი დამზადებული, მათი შემადგენლობის კლების მიხედვით. თუ გამოყენებულია სამი ან მეტი სხვადასხვა ხილი, შეიძლება დასახელებაში, ნაცვლად მათი ჩამოთვლისა, მიეთითოს „რამდენიმე ხილის“, „შერეული ხილის“ ან მსგავსი (კონკრეტული ხილი მიეთითება ინგრედიენტების ჩამონათვალში). პროდუქტზე სავალდებულოა მიეთითოს, ხილის რა რაოდენობა დაიხარჯა 100 გრამი პროდუქტის მისაღებად და რა რაოდენობა შაქარს შეიცავს პროდუქტის 100 გრამი (მაქრის საერთო შემცველობა). ეტიკეტზე ეს მითითებები უნდა გაკეთდეს ხედვის იმავე არეში, სადაც პროდუქტის დასახელებაა. გარდა ამისა, თუკი პროდუქტში გოგირდის ორჟანგის⁸⁸ შემცველობა აღემატება 10 მგ/კგ, იგი ინგრედიენტების ჩამონათვალში მითითებული უნდა იყოს, როგორც ინგრედიენტი.

ყავა და ვარდკაჭაჭა

1999/4/EC დირექტივა⁸⁹ ადგენს, თუ რა პროდუქტები შეიძლება გაიყიდოს „ყავის ექსტრაქტის“, – იმავე „ხსნადი ყავისა“ (soluble coffee, instant coffee) და „ვარდკაჭაჭას ექსტრაქტის“ (Chicory extract), – იმავე „ხსნადი ვარდკაჭაჭას“ (soluble chicory, instant chicory) დასახელებებით. თუ პროდუქტი მშრალი ან პასტისებურია, მასში იკრძალება რაიმე სხვა ნივთიერების არსებობა, გარდა შესაბამისად ყავისგან/ვარდკაჭაჭასგან⁹⁰ მიღებული ნივთიერებებისა. თხევად ექსტრაქტში დაიშვება შაქრების დამატება: 12%-მდე ყავაში და 35%-მდე ვარდ-

88 გოგირდის ორჟანგი და მისი მარილები დაშვებული საკვებდანამატებია (E220-E227). ჯერმის მომზადებისას გამოიყენება პროცესისა დაზმარე აგნტებიდ და ამიტომ, ჩვეულებრივ, ინგრედიენტთა ჩამონათვალში არ მოეთითება (იხ. ქვემოთ).

89 Directive 1999/4/EC of the European Parliament and of the Council of 22 February 1999 relating to coffee extracts and chicory extracts. 2000 წლის სექტემბრიდან ჩანაცვლა ზემოთ მოხსენიებული იმავე შენარჩის 77/436/EEC დირექტივა (Council Directive 77/436/EEC of 27 June 1977 on the approximation of the laws of the Member States relating to coffee extracts and chicory extracts).

90 ვარდკაჭაჭაში დაიშვება 1% უცხო მინარევი.

კაჭაჭაში. მშრალი ნივთიერების შემცველობა პროდუქტში უნდა შეადგენდეს 95%-ს მშრალი ექსტრაქტის შემთხვევაში, 70-85%-ს პასტისმაგვარი ექსტრაქტის შემთხვევაში და 15-55%-ს⁹¹ თხევადი ექსტრაქტის შემთხვევაში.⁹²

დადგენილია ამ პროდუქტების ეტიკეტზე დამატებითი ინფორმაციის განთავსების ვალდებულებაც. კერძოდ:

- თხევად და პასტისებურ ექსტრაქტების სახელწოდებას უნდა დაემატოს შესაბამისად „თხევადი ფორმით“ და „პასტისებური“. თუკი თხევად ექტრაქტში ყავის მშრალი ნივთიერება 25%-ზე მეტია⁹³, დაიშვება დასახელებას დაემატოს მითითება „კონცენტრირებული“.
- თუ ყავის ექსტრაქტის მშრალ ნივთიერებაში კოფეინის შემცველობა 0,3%-ზე დაბალია, პროდუქტს უნდა ჰქონდეს წარნერა „კოფეინგამოცლილი“ (decaffeinated). ეს წარნერა განთავსებული უნდა იყოს მხედველობის იმავე არეში, სადაც დასახელებაა.
- შაქრიანი ექსტრაქტის დასახელებაში მითითებული უნდა იყოს „.... [შაქრით]“ (with [sugar]), კონკრეტული შაქრის მითითებით.
- პასტისმაგვარ და თხევად ექსტრაქტებზე მითითებული უნდა იყოს შესაბამისად ყავის/ვარდყაჭაჭას მშრალი ნივთიერების შემცველობა პროდუქტში.

ბუნებრივი წყლები

ბუნებრივი მინერალური⁹⁴ და წყაროს წყლების ეტიკეტირების დამატებითი მოთხოვნები ამჟამად 2009/54/EC დირექტივით⁹⁵ არის დადგენილი. დირექტივის მიხედვით, დასახელებები „ბუნებრივი

91 25-55% ვარდყაჭაჭასთვის.

92 იგულისხმება მზოლოდ ყავის/ვარდყაჭაჭასგან წარმომავალი მყარი ნივთიერება, შაქრების გარეშე.

93 ვარდყაჭაჭასთვის - 45%-ზე მეტია.

94 ევროკავშირში აღიარებული მინერალური წყლების ოეგულარულად განახლებად ჩამონათვალი ხელმისაწვდომია მისაბართზე <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/water/mw-eulist-en.pdf>

95 Directive 2009/54/EC of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the exploitation and marketing of natural mineral waters (Recast). წარმოადგენს 1980 წლის 80/777/EEC დირექტივის (Council Directive 80/777/EEC of 15 July 1980 on the approximation of the laws of the Member States relating to the exploitation and marketing of natural mineral waters) 2009 წლის კოდიფიცირებას.

მინერალური წყალი⁹⁶ და „წყაროს წყალი“ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ იმ წყლებისთვის, რომელიც წარმოადგენს მინისქვეშა წყლებს, რომელიც ბუნებრივი სისუფთავით ხასიათდება და რომელიც მოპოვების შემდგომ არ გადის არავითარ დამუშავებას, გარდა: ფილტრაციის, დეკანტაციის, ოზონით გამდიდრებული აირით დამუშავების (რეჟინის, მანგანუმის, გოგიგრდის ან დარიშხანის მოსაშორებლად), ნახშირორჟანგის აირის მოშორების ან დამატებისა. განსხვავება ამ წყლებში მდგომარეობს მათ შემადგენლობაში – ბუნებრივი მინერალური წყალი ხასიათდება განსაკუთრებული მინერალური შემადგენლობით (მინერალების დაშვებული შემადგენლობა ბუნებრივ მინერალურ წყლებში დადგენილია 2003/40/EC დირექტივით⁹⁷), წყაროს წყალი კი მინერალური შემადგენლობის მიხედვით ჩვეულებრივი სასმელი წყალია (მინერალების დაშვებული შემადგენლობა განისაზღვრება სასმელი წყლის შემადგენლობის დამდგენი 98/83/EC დირექტივით⁹⁸).

2009/54/EC დირექტივის მიხედვით ბუნებრივი მინერალური წყლების დასახელება უნდა იყოს „ნატურალური მინერალური წყალი“. თუკი პროდუქტი შეიცავს ნახშირორჟანგს, რომელიც წყაროს ბუნებრივად მოპოვება, მაშინ დასახელება უნდა იყოს „ბუნებრივად გაზირებული მინერალური წყალი“ (Naturally carbonated mineral water)⁹⁹; თუკი ბუნებრივი ნახშირორჟანგი წყაროს ნაწილობრივ ან სრულად მოშორებული აქვს, დასახელებას უნდა დაემატოს შესაბამისი მითითება („ნახშირორჟანგი ნაწილობრივ გამოცლილი აქვს“ (Partly decarbonated) ან „ნახშირორჟანგი სრულად მოშორებული აქვს“ (Fully decarbonated); თუკი ნახშირორჟანგი წყაროს არ გააჩნია და ის პროდუქტში ჩამოსხმისას არის დამატებული, წყლის დასახელება უნდა იყოს „გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი“ (Carbonated natural mineral water)¹⁰⁰.

96 2009/54/EC დირექტივა აგრეთვე კრძალავს დასახელება „მინერალური წყლის“ გამოყენებას სასმელ წყალზე.

97 Commission Directive 2003/40/EC of 16 May 2003 establishing the list, concentration limits and labelling requirements for the constituents of natural mineral waters and the conditions for using ozone-enriched air for the treatment of natural mineral waters and spring waters.

98 Council Directive 98/83/EC of 3 November 1998 on the quality of water intended for human consumption.

99 თუ წყალს მისივე აირები ცალკე ემატება, დასახელება უნდა იყოს „ბუნებრივი მინერალური წყალი, ფორტიფიცირებული/გაზირებული წყაროს აირებით“ (natural mineral water fortified with gas from the spring)

100 2009/54/EC დირექტივა, მუხლი მე-7, პუნქტი 1-ლი.

რძე და რძის პროდუქტები

ევროკავშირში კანონმდებლობა¹⁰¹ ადგენს, თუ რა პროდუქტებზე შეიძლება რძისა და რძის პროდუქტების დასახელების გამოყენება. კერძოდ, სიტყვა „რძე“ გამოიყენება მხოლოდ ძუძუმწოვართა სარძევი ჯირკვლის გამონაყოფის აღსანიშნავად, რაიმეს დამატების ან მოშორების გარეშე. თუ ცხოველი მითითებული არ არის, იგულისხმება ძროხის რძე. თუ რძე სხვა ცხოველისგან არის მიღებული, მისი მითითება სავალდებულოა.

რძის პროდუქტი ნიშნავს პროდუქტს, რომელიც უშუალოდ რძისგან მიიღება, ამისთვის აუცილებელი ნივთიერებების დამატებით, ოლონდ ისე, რომ არც ერთი ეს ნივთიერება არ არის გამიზნული რძის რომელიმე კომპონენტის ჩასანაცვლებლად. შემდეგი დასახელებები გამოიყენება მხოლოდ რძის პროდუქტების აღსანიშნავად: შრატი (whey), ნალები (cream), კარაჟი (butter), დო (buttermilk), ერბო (butteroil), კაზეინები (caseins), რძის ცხიმი უნგლო (anhydrous milk-fat, AMF), ყველი (cheese), იოგურტი (yogurt), კეფირი (kephir), კუმისი (koumiss), ვიილი (vili), არაჟანი (სმეტანა), ფილი (fil), რიაჟენკა (rjaženka) და სხვა დასახელებები, რომლითაც წევრ-ქვეყნებში რძის პროდუქტები აღნიშნება. სხვა პროდუქტებისთვის ამ დასახელებების გამოყენება იკრძალება. გამონაცლისია ისეთი დასახელებები, რომელთა ზუსტი მნიშვნელობა და რძესა და რძის პროდუქტებთან კავშირის არარსებობა მომხმარებლისთვის აშკარაა. ასეთი დასახელებების სრულ ჩამონათვალს შეიცავს ევროკომისიის 2010/791/EU გადაწყვეტილება. აქ არის ისეთი დასახელებები, როგორიცაა ქოქოსის რძე, ნუშის რძე, ჩიტის რძე, კაკაოს ცხიმი (რამდენიმე ენაზე დასახელება შეიცავს სიტყვა „კარაჟს“: Cocoa butter, Kakaobutter, Beurre de cacao, Kakaové maslo, Manteiga de cacau და ა.შ.), ნაყინი (ინგლისური დასახელება მოიხსენიებს ნალებს: ice-cream) და ა.შ

დაიშვება სიტყვის „რძე“ და რძის პროდუქტების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენება ისეთი შედგენილი პროდუქტების დასახელებაში, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს (რაოდენობრივი ან თვისებრივი თვალსაზრისით) წარმოადგენს რძე ან რძის პროდუქტი და არც ერთი სხვა დამატებული კომპონენტი არ არის გამიზნული რძის რომელიმე კომპონენტის ჩასანაცვლებლად (მაგალითად, იოგურტი მარწყვით). თუ ეს პირობები დაცული არ არის, ანუ თუ პროდუქტში

101 დღეის მდგომარეობით ამ საკითხის რეგულირება ზემოთ მოხსენიებული 1308/2013 რეგულაციით ხორციელდება.

რძის შემადგენელი კომპონენტები რაიმე სხვა კომპონენტით არის ჩანაცვლებული, სიტყვა „რძე“ ან რძის პროდუქტის დასახელება შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ ინგრედიენტების ჩამონათვალში. ასეთი პროდუქტის დასახელებაში, აღწერაში ან ეტიკეტზე განთავსებულ სხვა განაცხადებში რძისა და რძის პროდუქტების დასახელებათა გამოყენება იკრძალება.

დადგენილია აგრეთვე, თუ რა პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს, როგორც სასმელი რძე. ის შეიძლება იყოს ორი ტიპის: ნედლი და თერმულად დამუშავებული. ნედლი რძე არის ფაქტობრივად ახალმოწველილი აუდულარი რძე¹⁰². მასზე აუცილებლად უნდა იყოს წარწერა „ნედლი რძე“. თერმულად დამუშავებული სასმელი რძე შეიძლება იყოს სხვადასხვა ცხიმიანობის: მოუხდელი (ცხიმის შემცველობა არაა კლებ 3,5%)¹⁰³, ნახევრად მოხდილი (1,5-1,8% ცხიმიანობის) და მოხდილი (ცხიმი არა უმეტეს 0,5%). ეს ტერმინები მიეთითება ეტიკეტზე. თუ რძის ცხიმიანობა არ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს, იგი არ შეიძლება მოხსენიებული იყოს, როგორც „მოუხდელი“ (whole), „ნახევრად მოხდილი“ (sem-skimmed) ან „მოხდილი“ (skimmed) და ასეთი რძის ეტიკეტზე აუცილებლად უნდა მიეთითოს ცხიმიანობა (პროცენტებში, 0,1% სიზუსტით).

ნასასმელი ცხიმები

ევროკავშირის კანონმდებლობა ადგენს¹⁰⁴ დასახელებებს ე.წ. წასასმელი ცხიმებისთვის (spreadable fats)¹⁰⁵. კერძოდ, თუ პროდუქტი მხოლოდ რძის პროდუქტისგან არის მიღებული და ცხიმებიდან მხოლოდ რძის ცხიმებს შეიცავს, მისი დასახელებაა:

- „კარაქი“, თუ რძის ცხიმის შემცველობა 80-90 პროცენტია, ნების შემცველობა არა უმეტეს 16% და ცხიმის გარდა სხვა მშრალი მასალა – არა უმეტეს 2%; თუ პროდუქტი მიღებულია უშუალოდ რძის ან ნაღებისგან¹⁰⁶, მას დასახელებასთან

102 ფორმალური განმარტებით, ეს არის რძე, რომელსაც არ გაუვლია 40°C-ზე მაღალი ტემპერატურის თერმული დამუშავება.

103 დადგენილია აგრეთვე 3,5% რძის მინიმალური სიმკვრივე (1028 გ/ლ, 20°C ტემპერატურზე) და ცილის მინიმალური შემცველობა (2,9%) მასში (ცილის შემცველობა იანგარიშება ჯამური აზოტის გამრავლებით 6,38-ზე).

104 1308/2013 რეგულაცია, დანართი VII, ნაწილი VII.

105 ზუსტი განმარტებით, ეს არის ნყალი-ცხიმში ტიპის მყარი, ლლობადი ემულსია, რომელშიც ცხიმის შემცველობა 90%-ს არ აღემატება.

106 „ნაღებად“ (cream) მინიმუმი რძისგან მიღებული 10% ცხიმიანობის ცხიმი-ნყალში ტიპის ეშულსია.

- აგრეთვე შეიძლება მიეთითოს „ტრადიციული“;
- „სამი-მეოთხედი ცხიმოვნობის კარაქი“ – 60-62% ცხიმოვნობის პროდუქტისთვის;
 - „ნახევარი ცხიმოვნობის კარაქი“ – 39-41% ცხიმის შემცველობის პროდუქტისთვის;
 - „რძის ნანარმის სპრედი X%“ (dairy spread) – ყველა დანარჩენი ცხიმოვნობის პროდუქტისათვის (39%-ზე ნაკლები, 41-60%, 62-80%). X-ის მაგივრად მითითებული უნდა იყოს ცხიმის რეალური შემცველობა.

თუ პროდუქტი შეიცავს ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს, და ამ ცხიმებში რძის ცხიმის შემცველობა 10-დან 80%-მდე მერყეობს, იგი უნდა გაიყიდოს შემდეგი დასახელებებით:

- „ნარევი ცხიმი“ (blend) – თუ მასში ცხიმის შემცველობა შეადგენს 80-90%;
- „სამი-მეოთხედი ცხიმოვნობის ნარევი ცხიმი“ – 60-62% ცხიმოვნობის პროდუქტი;
- „ნახევარი ცხიმოვნობის ნარევი ცხიმი“ – 39-41% ცხიმის შემცველობის პროდუქტი;
- „ნარევი ცხიმის სპრედი X%“ (blended spread) – ყველა დანარჩენი ცხიმოვნობის პროდუქტი (39%-ზე ნაკლები, 41-60%, 62-80%). X-ის მაგივრად მითითებული უნდა იყოს ცხიმის რეალური შემცველობა.

თუ პროდუქტი შეიცავს ცხოველურ და მცენარეულ ცხიმებს, და მასში რძის ცხიმის შემცველობა არ აღემატება ცხიმების 3%, მისი დასახელება უნდა იყოს:

- „მარგარინი“ – თუ მასში ცხიმის შემცველობა შეადგენს 80-90%;
- „სამი-მეოთხედი ცხიმოვნობის მარგარინი“ – 60-62% ცხიმოვნობის პროდუქტი;
- „ნახევარი ცხიმოვნობის მარგარინი“ – თუ ეს არის 39-41% ცხიმის შემცველობის პროდუქტი. ამ პროდუქტს აგრეთვე შეიძლება ეწოდოს „მინარინი“ (minarine) ან „ჰალვარინი“ (halvarine);
- „ცხიმების სპრედი X%“ (fat spread) – ყველა დანარჩენი ცხიმოვნობის პროდუქტი (39%-ზე ნაკლები, 41-60%, 62-80%). X-ის მაგივრად მითითებული უნდა იყოს ცხიმის რეალური შემცველობა.

ამ პროდუქტებზე დაიშვება დასახელებაში გამოყენებული იყოს

მითითება „მცენარეული“, თუ ცხიმებში ცხოველური ცხიმების შემცველობა არ აღემატება 2%-ს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა ჩამოთვლილ პროდუქტზე, რომელშიც ცხიმის შემცველობა 62%-ზე ნაკლებია, შეიძლება მიეთითოს „შემცირებული ცხიმიანობის“ (reduced-fat) ან „მჩატე“ (light).

ფრინველის ხორცი

ევროკავშირის კანონმდებლობა¹⁰⁷ ადგენს ზოგიერთ მოთხოვნას ფრინველის ხორცის სავაჭრო დასახელებებთან დაკავშირებით. კერძოდ, დასახელებით „ფრინველის ხორცი“ (poultrymeat) შეიძლება გაიყიდოს ფრინველის (ქათმის, ინდაურის, ციცრის, იხვის ან ბატის) მხოლოდ ისეთი ხორცი, რომელსაც არ გაუვლია არავითარი დამუშავება, გაცივების გარდა. ეს პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს გაგრილებული, გაყინული ან სწრაფად გაყინული სახით. შესაბამისად, დასახელება „ფრინველის ახალი ხორცი“ (fresh poultrymeat) ნიშნავს ხორცს, რომელიც დაკვლის შემდეგ ინახება -2° C-დან +4° C-მდე ტემპერატურაზე; „ფრინველის ხორცი გაყინული“ (frozen poultrymeat) ნიშნავს ხორცს, რომელიც დაკვლის შემდეგ შეძლების-დაგვარად სწრაფად გაყინეს და რომლის შენახვის ტემპერატურა არ აღემატებოდა -12° C; ხოლო „ფრინველის ხორცი სწრაფად გაყინული“ (quick-frozen poultrymeat) ნიშნავს ხორცს, რომელიც გაიყინა ე.წ. „სწრაფი გაყინვის მეთოდით“ და რომლის შენახვის ტემპერატურა არ აღემატება -18° C.

დამატებით მოთხოვნებს გასაყიდი ფრინველის ხორცისადმი 543/2008 რეგულაცია¹⁰⁸ ადგენს. ამ რეგულაციით დადგენილია სხვა-დასხვა სახეობის, ასაკის და კატეგორიის ფრინველის, აგრეთვე მათი ხორცის სხვადასხვა ნაჭრის დასახელებები ევროკავშირის ყველა ენაზე. ხორცის გაყიდვისას სწორედ ისინი უნდა იყოს გამოყენებული. გარდა ამისა, რეგულაცია ადგენს, რას ნიშნავს ფრინველის გამოშიგნული და ნაწილობრივ გამოშიგნული ტან-ხორცი, ან ტან-ხორცი შიგნეულობითურთ. ასე მაგალითად, „ტან-ხორცს შიგნეულობითურთ“ თან უნდა ახლდეს (წინასწარ მოშორებული) გული, კუჭი, ღვიძლი (ნაღვლის ბუშტის გარეშე) და კისერი. თუ ამ ოთხი-დან რომელიმე აკლია, ეს გარემოება შეფუთვაზე მითითებული უნდა

107 1308/2013 რეგულაცია, დანართი VII, ნაწილი V.

108 Commission Regulation (EC) No 543/2008 of 16 June 2008 laying down detailed rules for the application of Council Regulation (EC) No 1234/2007 as regards the marketing standards for poultrymeat.

იყოს. „ნაწილობრივ გამოშიგნული ტან-ხორცი“ ნიშნავს ტან-ხორცს, რომელსაც არ აქვს მოშორებული გული, კუჭი, ფილტვები, თირკ-მელები, კისერი და ჩიჩახვი¹⁰⁹. ცხადია, შეფუთულ ტან-ხორცზე მითითებული უნდა იყოს გამოშიგნულია იგი, თუ ნაწილობრივ გამოშიგნული, და თუ გამოშიგნულია – შიგნეულობა ახლავს თან თუ არა.

აღნიშნული რეგულაცია აგრეთვე ადგენს აპსორბირებული წყლის მაქსიმალურ დასაშვებ შემცველობას ახალ და გაყინულ ფრინველის ხორცში¹¹⁰ და ამ პარამეტრის გაზომვის მეთოდებს. რეგულაციის მიხედვით, თუ ხორცში ეს მარცვენებელი გადაჭარბებულია, მას უნდა გაუკეთდეს წარწერა (წითელი დიდი ასოებით), სადაც მითითებული იქნება: „წყლის შემცველობა ევროკავშირში დადგენილ ლიმიტს აღე-მატება“ (Water content exceeds EC limit).

ფრინველის ხორცზე დამატებით დაიშვება მიეთითოს ფრინველის კვებისა და მოშენების პირობები და ასაკი დაკვლისას. დეტალები იხ. განყოფილებაში „სხვა ნებაყოფლობითი მითითებები“.

ცხოველის ხორცი

ევროკავშირში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი დაკლუ-ლი ცხოველის ასაკის, სქესისა და მდგომარეობის მიხედვით შემდეგ კატეგორიებად იყოფა:¹¹¹

- V კატეგორია: 8 თვემდე ასაკის ცხოველი;
- Z კატეგორია: 8-დან 12 თვემდე ასაკის ცხოველი;
- A კატეგორია: მამრი ცხოველი, დაუკოდავი, 12-დან 24 თვემდე ასაკის;
- B კატეგორია: მამრი ცხოველი, დაუკოდავი, 24 თვეზე მეტი ასაკის;
- C კატეგორია: მამრი ცხოველი, დაკოდილი, 12 თვეზე მეტი ასაკის;
- D კატეგორია: მდედრი ცხოველი, ნამშობიარევი;
- E კატეგორია: მდედრი ცხოველი სხვა, 12 თვეზე მეტი ასაკის.

109 თუ ტან-ხორცს თავი მოშორებული არ აქვს, დაიშვება მასში ტრაქეისა და საყლაპავი მილის არსებობაც.

110 ზღვრული დაშვებული სითხის კარგვა ფრინველის ხორცის გალღობისას მისი გაყინვის ტექნოლოგიაზეა დამოკიდებული და 1,5%-დან 5,1%-მდე მერყეობს.

111 1308/2013 რეგულაციის IV და VII დანართების მიხედვით.

ეს კატეგორიები ცხოველის ტან-ხორცს სასაკლაოზე ენიჭება – შესაბამისი დამღის სახით, და ამ სახით გადაეცემა იგი გადამა-მუშავებელ ქარხნებს¹¹². თუმცა მომხმარებლისთვის, ახალი ხორცის შექენის თვალსაზრისით, ძირითადად, პირველი ორი კატეგორიაა საინტერესო. ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში ამ ორი კატეგორიის ხორცის ჩვეული დასახელებები განსხვავებულია – ზოგ ქვეყანაში ხბოს ხორცად ითვლება 8 თვემდე ცხოველის ხორცი, ზოგში კი – 12 თვემდე ცხოველის. ამიტომ, მომხმარებელთა დაბნევისა და შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, კანონმდებლობა ადგენს ამ ორი კატეგორიის ხორცის¹¹³ გასაყიდ დასახელებებს ევროკავშირის თითოეულ ენაზე. დადგენილია დასახელებები 8 თვემდე ცხოველის ხორცისათვის (ინგლისურად: veal, ფრანგულად: veau, ბულგარულად: месо от малки телета და ა.შ.) და 8-დან 12 თვემდე ცხოველის ხორცისათვის (ინგლისურად: beef, ფრანგულად: jeune bovin, ბულგარულად: Телешко месо და ა.შ.). და მიუხედავად ამ დაკანონებული დასახელებებისა, დამატებით მაინც დადგენილია ორივე ტიპის ხორცზე ცხოველის ასაკის მითითების ვალდებულება დაკვლისას, ასე: „age on slaughter: less than 8 months“, „age on slaughter: from 8 to less than 12 months“.

მსხვილფეხა რეკონსანი პირუტყვის ხორცის წარმომავლობის მითითების თაობაზე იხ. ქვემოთ.

ხორცის ფარში

ევროკავშირში გატარებული ხორცის / ხორცის ფარშის (minced meat) დასახელებით შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ჩონჩხის კუნთებისა და მიმდებარე ცხირის დაქუცმაცების შედეგად.¹¹⁴ პროდუქტის მომზადებისას იკრძალება

112 გარდა კატეგორიებისა, ხორცისთვის დადგენილია აგრეთვე ხარისხის კლასები, მუსკულატურის განვითარებისა და ცხირის მიხედვით. მსხვილფეხა რეკონსანი პირუტყვის ხორცისთვის მუსკულატურის განვითარების კლასებია, კლებადობის მიხედვით: S (Superior), E (Excellent), U (Very good), R (Good), O (Fair), P (Poor). ტან-ხორცის ცხირისნობის კლასები კი ასეთია, ცხირის მემცველობის ზრდის მიხედვით (მჭლედან – ქონით დაფარულად): 1 (low), 2 (slight), 3 (average), 4 (high), 5 (very high).

113 ამ შემთხვევაში „ხორცად“ მიზნება ადამიანის მიერ მოხმარებისთვის ვარგისი ცხოველის მთელი ტან-ხორცი და შიგნეულობა, ძვლიანი ან ძვალვაცლილი, მთლიანი ან დანაწევრული, გაყინული ან გაუყინავი, შეფუთული ან შეუფუთავი.

114 853/2004 რეგულაცია (Regulation (EC) No 853/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 laying down specific hygiene rules for food of animal origin), დანართი მე-3, სექცია მე-5, თავი მე-2.

თავ-ფეხის¹¹⁵ (გარდა სალეჭი კუნთებისა), ტყავის, შიგნეულისა და ძვლების ჩამონაფეხების, აგრეთვე ე.წ. „მექანიკურად გამოცალკევ-ებული ხორცის“¹¹⁶ გამოყენება. დაიშვება სუფრის მარილის დამატება 1%-ზე ნაკლები ოდენობით.

2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა 1169/2011 რეგულაციის დებულება, რომელიც აღენს დამატებით მოთხოვნებს. კერძოდ, იმისთვის, რომ პროდუქტი ქვემოთ ჩამოთვლილი დასახელებებით გაიყიდოს, მისი შემადგენლობა¹¹⁷ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ხორცის ფარში მჭლე დასახელება	ცხიმის შემცველობა	კოლაგენის წილი ¹¹⁸ ხორცის ცილებში (collagen/meat protein ratio)
ხორცის ფარში მჭლე (lean minced meat)	არა უმეტეს 7%	არა უმეტეს 12%
საქონლის ხორცის ფარში (minced pure beef)	არა უმეტეს 20%	არა უმეტეს 15%
ხორცის ფარში ღორის ხორცით (minced meat containing pigmeat)	არა უმეტეს 30%	არა უმეტეს 18%
[სხვა სახეობის] ხორცის ფარში (minced meat of other species)	არა უმეტეს 25%	არა უმეტეს 15%

პროდუქტზე, სხვა სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად¹¹⁹, აუცილებელია მიეთითოს ცხიმის ფაქტობრივი შემცველობა და ხორცის ცილებში კოლაგენის ფაქტობრივი წილი.

115 ვგულისხმობთ თავსა და თათს (ამ უკანასკნელში იგულისხმება ცხოველის კიდურის ბოლო, დასტალური ნაწილი - მტკვანი ან ტერფი).

116 Mechanically separated/recovered meat (MSM). ეს არის ძვლებზე დარჩენილი ხორცი, რომლის ჩამოფარვება/გამოცალკევება ძვლებიდან ხორციელდება სპეციალური მექანიკური საშუალებებით, რაც კუნთის ბოჭკვნების სტრუქტურის კარგვას ა შეცვლას ინვევს. ხორცის ნახევარფაბრიკატებისა (meat preparations) და ხორცპროდუქტების (meat products) დამზადებისას მექანიკურად გამოცალკევებული ხორცის გამოყენება დაშვებულია.

117 დღიური საშუალო მონაცემი.

118 კოლაგენის შემცველობა განისაზღვრება ამინომჟავა ჰიდროქსიპროლინის შემცველობის გამრავლებით 8-ზე.

119 ცხადია, პროდუქტზე უნდა მიეთითოს გამოყენებული ინგრედიენტების ჩამონათვალიც (იხ. ქვემოთ), ანუ, კერძოდ, რომელი ხორცისგან არის მომზადებული ფარში. ინგრედიენტების ჩამონათვალში ტერმინი „ხორცის“ გამოყენებასთან დაკავშირებით იხილეთ მე-2 დანართი.

ქათმის კვერცხი

589/2008 რეგულაცია¹²⁰ ადგენს, თუ როგორი კვერცხის გაყიდვა შეიძლება მომხმარებლისთვის: ეს უნდა იყოს ნორმალური ფორმის, სუფთა კვერცხები¹²¹, დაზიანების ან უცხო სუნის გარეშე, ჰანასახის კამერის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 6 მილიმეტრს, ჩანასახის განვითარება შესამჩნევი არ უნდა იყოს, ცილა უნდა იყოს სუფთა და გამჭვირვალე, კვერცხის გული გამჭოლ შუქზე უნდა ჩანდეს როგორც ჩრდილი, გაყოფი კონტურის გარეშე, კვერცხის დატრიალებისას იგი ორნავ უნდა მოძრაობდეს და იოლადვე ბრუნდებოდეს საწყის მდგომარეობაში. ასეთი კვერცხი მიეკუთვნება A კლასს. მისი გაყიდვისას შეფუთვაზე ან შეუფუთვავი კვერცხის გაყიდვისას – სხვა საშუალებით მითითებული უნდა იყოს ასო „A“ ან წარწერა „A კლასი“. კვერცხი, რომელიც ჩამოთვლილ მოთხოვნებს არ აკაბყოფილებს, მიეკუთვნება B კლასს. ასეთ კვერცხზე უნდა დაისვას დამღა და B. მომხმარებლისთვის ასეთი კვერცხის მიყიდვა იკრძალება.¹²²

გარდა კლასისა, კვერცხის შეფუთვაზე ან შეუფუთვავი კვერცხის გაყიდვისას – სხვა საშუალებით, აუცილებელია მიეთითოს კვერცხის ზომა, შემფუთავი/დამხარისხებელი ოპერატორის კოდი¹²³, ფრინველების მოშენების მეთოდი, და რჩევა მომხმარებლებისთვის, რომ შეძენილი კვერცხი სიგრილეში შეინახონ. დეტალები იხ. ქვემოთ, შესაბამის განყოფილებებში.

ზეითუნის ზეთი

ევროკავშირში დღეს მოქმედი რამდენიმე რეგულაცია ადგენს, თუ რა პროდუქტი შეიძლება გაიყიდოს ზეითუნის ზეთის დასახელებით.

1308/2013 რეგულაციის მიხედვით, „ხელუხლებელი ზეითუნის ზეთი“ (Virgin olive oil) არის ზეთი, რომელიც გამოწურულია ზეთისხილისგან მხოლოდ მექანიკური საშუალებების გამოყენებით

120 Commission Regulation (EC) No 589/2008 of 23 June 2008 laying down detailed rules for implementing Council Regulation (EC) No 1234/2007 as regards marketing standards for eggs.

121 კვერცხის გაწმენდა ან გარეცხვა იკრძალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას ევროკავშირის ნევრი-ქვეყნის ეროვნული მთავრობა უშვებს და აკონტროლებს.

122 1308/2013 რეგულაციის VII დანართის VI ნაწილის მიხედვით B კლასის კვერცხი შეიძლება მხოლოდ სასურსათო ან არასასურსათო წარმოებას მიეწოდოს.

123 1308/2013 რეგულაციის VII დანართის VI ნაწილის მიხედვით კვერცხის მწარმებლის ან შემფუთავის კოდი დასმული უნდა იყოს თითოეულ კვერცხზეც.

(რეცხვა, დაწურვა, დეკანტაცია, ცენტრიფუგირება, გაფილტვრა), ყოველგვარი ქიმიური ზემოქმედების (მათ შორის რაფინირების), გამსხველების ან სხვა დამხმარე ნივთიერებების გამოყენების გარეშე. მიღებული ზეთის ქიმიური მახასიათებლების მიხედვით¹²⁴ იგი შეიძლება მიეკუთვნოს „ექსტრა“ კლასს (Extra virgin olive oil).

უფრო დაბალი ხარისხის პროდუქტს წარმოადგენს ზეთისხილის კოპტონისგან (გამხსნელების გამოყენებით) მიღებული ზეთი. საცალო ვაჭრობაში იგი დაიშვება მხოლოდ რაფინირებული სახით და მხოლოდ „ხელუხლებელ ზეთუნის ზეთთან“ შერევის შემდეგ. ასევე ჩვეულებრივი (მექანიკური გამოწურვის შედეგად მიღებული) ზეთიუნის ზეთი, თუკი მან რაფინირება განიცადა, საცალო გაყიდვაში მხოლოდ „ხელუხლებელ ზეთუნის ზეთთან“ შერევის შემდეგ დაიშვება. ამ წარევის დასახელება უნდა იყოს „ზეთუნის ზეთი“ (Olive oil).

ამდენად, საცალო ვაჭრობაში დაიშვება ოთხი სახის ზეთიუნის ზეთი: „ხელუხლებელი ზეთიუნის ზეთი“ (Virgin olive oil), „ხელუხლებელი ზეთიუნის ზეთი ექსტრა“ (Extra virgin olive oil), „ზეთიუნის ზეთი“ (Olive oil) და „ზეთისხილის კოპტონის ზეთი“ (Olive-pomace oil). ბოლო ორი პროდუქტი წარმოადგენს შესაბამისი რაფინირებული ზეთების წარევს ხელუხლებელ ზეთუნის ზეთთან. დეტალური ფიზიკური მასასიათებლები, რომელსაც ეს ზეთები უნდა აკმაყოფილებდეს და მათი გაზომვის მეთოდები ევროკომისის 2568/91 რეგულაციით¹²⁵ არის დადგენილი.

დამატებით მოთხოვნებს ზეთუნის ზეთის გაყიდვისადმი ევროკომისის 29/2012 რეგულაცია¹²⁶ ადგენს. კერძოდ:

- საცალო გაყიდვაში მოხვედრილი ზეთიუნის ზეთი დაფასოებული უნდა იყოს არა უმეტეს ხუთლიტრიან ჭურჭელში¹²⁷, რომლის საცაბი/სახურავი მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ ერთხელ გახსნის შემდეგ პირველად მდგომარეობაში მისი დაბრუნება შეუძლებელი იყოს;

124 განმსაზღვრელია თავისუფალი მჟავების შემადგენლობა ზეთში. „ექსტრა“ კლასის ზეთში ეს მახასიათებელი (ოლეინის მჟავაზე გადაანგარიშებით) არ აღემატება 0,8 გრამს 100 გრამზე.

125 Commission Regulation (EEC) No 2568/91 of 11 July 1991 on the characteristics of olive oil and olive-residue oil and on the relevant methods of analysis.

126 Commission Implementing Regulation (EU) No 29/2012 of 13 January 2012 on marketing standards for olive oil. წარმოადგენს 1019/2002 რეგულაციის (Commission Regulation (EC) No 1019/2002 of 13 June 2002 on marketing standards for olive oil) კოდიფიკაციას.

127 გარდა რესტრონებში, სასაფილოებში, სავადმყოფოებსა და მსგავს კოლექტიურ დაწესებულებებში მოსახმარი ზეთისა.

- დადგენილია სავალდებულო განმარტებები, რომელიც უნდა გაკეთდეს თითოეული ტიპის ზეთის ეტიკეტზე (იხ. ქვემოთ, განყოფილებაში „სხვა სავალდებულო მითითებები“) და აგრეთვე ნებაყოფლობითი დამატებითი მითითებების ზუს-ტი ტექსტი და მათი განთავსების პირობები (იხ. ქვემოთ განყოფილებაში „სხვა ნებაყოფლობითი მითითებები“).
- სავალდებულოა ზეთის წევნის წარმომავლობის მითითება. დეტალები იხ. ქვემოთ პროდუქტის წარმომავლობის განყოფილებაში.

ალკოჰოლური სასმელები

ევროკავშირში აგრეთვე რეგულირდება ალკოჰოლური სასმელების დასახელებები. დღევანდელ კანონმდებლობაში ამ საკითხს 1234/2007 რეგულაცია¹²⁸ აწესრიგებს, რომელიც 2016 წლიდან 1308/2013 რეგულაციით¹²⁹ ჩანაცვლდება. რეგულაციის მე-11 დან-ართში დეტალურად არის განერილი, თუ რომელ სასმელს შეიძლება ეწოდოს ამა თუ იმ ტიპის ღვინო, ლიქიორი, შუშხუნა ღვინო, ყურძნის ტყბილი და ღვინის ძმარი. ამ პუბლიკაციაში ეს საკითხები დეტალურად არ განიხილება.

დიეტური სურსათი

განსაკუთრებული შემთხვევაა დიეტური სურსათი, უფრო ზუსტად კი – სპეციალური კვებითი დანიშნულების სურსათი (foodstuffs for particular nutritional uses)¹³⁰. ეს სურსათი თანამეგობრობაში 1976 წლიდან ცალკე კანონმდებლობით რეგულირდება¹³¹. დღევანდელი

128 Council Regulation (EC) No 1234/2007 of 22 October 2007 establishing a common organisation of agricultural markets and on specific provisions for certain agricultural products (Single CMO Regulation).

129 Regulation (EU) No 1308/2013 of the European Parliament and of the Council of 17 December 2013 establishing a common organisation of the markets in agricultural products and repealing Council Regulations (EEC) No 922/72, (EEC) No 234/79, (EC) No 1037/2001 and (EC) No 1234/2007.

130 დღეს მოქმედი განმარტებით, სპეციალური კვებითი დანიშნულების სურსათი - ეს არის სურსათი, რომელიც, განსაკუთრებული შემადგენლობით ან მომზადების წესით, აქარად განსხვავდება ნორმალური მოხმარებისთვის განკუთვნილი სურსათის-გან, რომელიც გამოსადევია სპეციალური კვებითი მიზნებისათვის და ეს გარემოება მითითებულია მისი გაყიდვისას (2009/39/EC დირექტივის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი).

131 იგულისხმება 77/94/EEC დირექტივა (Council Directive 77/94/EEC of 21 December 1976 on the approximation of the laws of the Member States relating to foodstuffs for

მდგომარეობით ამ სფეროს მარეგულირებელი ძირითადი დებულებები ხუთ დირექტივასა და ორ რეგულაციაშია განაწილებული. კერძოდ:

- 2009/39/EC დირექტივა არეგულირებს ზოგადად დიეტურ სურსათან დაკავშირებულ საკითხებს; დანარჩენი ოთხი დირექტივა კი ეხება კონკრეტული ტიპის დიეტურ საკვებს;
- 2006/141/EC დირექტივა¹³² ჩვილ ბავშვთა კვებას – დედის შემცვლელ პროდუქტებს¹³³;
- 2006/125/EC დირექტივა¹³⁴ კი აგრეთვე ჩვილ და მცირენლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილ ბურღულებულის ფაფებსა და სხვა საკვებს;
- 96/8/EC დირექტივა¹³⁵ ეხება წონის დასაკლები დიეტის შემადგენელ სურსათს;
- 1999/21/EC დირექტივა¹³⁶ კი სპეციალური სამკურნალო დანიშნულების სურსათს.

particular nutritional uses), რომელიც 1989 წლიდან შეიცვალა 89/398/EEC დირექტივით (Council Directive 89/398/EEC of 3 May 1989 on the approximation of the laws of the Member States relating to foodstuffs intended for particular nutritional uses), 2009 წლიდან - 2009/39/EC დირექტივით (Directive 2009/39/EC of the European Parliament and of the Council of 6 May 2009 on foodstuffs intended for particular nutritional uses), 2016 წლის 20 ივნისიდან კი 609/2013 რეგულაციით ჩანაცვლდება (Regulation (EU) No 609/2013 of the European Parliament and of the Council of 12 June 2013 on food intended for infants and young children, food for special medical purposes, and total diet replacement for weight control and repealing Council Directive 92/52/EEC, Commission Directives 96/8/EC, 1999/21/EC, 2006/125/EC and 2006/141/EC, Directive 2009/39/EC of the European Parliament and of the Council and Commission Regulations (EC) No 41/2009 and (EC) No 953/2009).

132 Commission Directive 2006/141/EC of 22 December 2006 on infant formulae and follow-on formulae and amending Directive 1999/21/EC. Caanacycla 1991 wels mirebuli analo-giuri Sinaarsis direqtiva (Commission Directive 91/321/EEC of 14 May 1991 on infant formulae and follow-on formulae).

133 საექსპორტოდ გამზიზულ ასეთ პროდუქტებს ცალკე დირექტივა არეგულირებს: Council Directive 92/52/EEC of 18 June 1992 on infant formulae and follow-on formulae intended for export to third countries.

134 Commission Directive 2006/125/EC of 5 December 2006 on processed cereal-based foods and baby foods for infants and young children. ჩანაცვლა 1996 წელს მიღებული ანალოგიურ შინაარსის დირექტივა (Commission Directive 96/5/EC, Euratom of 16 February 1996 on processed cereal-based foods and baby foods for infants and young children).

135 Commission Directive 96/8/EC of 26 February 1996 on foods intended for use in energy-restricted diets for weight reduction.

136 Commission Directive 1999/21/EC of 25 March 1999 on dietary foods for special medical purposes.

გარდა ამისა, 953/2009 რეგულაცია¹³⁷ ადგენს, თუ რომელი მინერალებისა და ვიტამინების დამატება არის დაშვებული ამ სპე-ციალური დანიშნულების სურსათში. 41/2009 რეგულაცია¹³⁸ კი ად-გენს განსაკუთრებულ წესებს ისეთი სურსათისთვის, რომელიც გლუ-ტენისადმი ალერგიული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

2016 წლის 20 ივლისიდან ყველა ჩამოთვლილი ნორმატიული აქტი გაუქმდება და ჩანაცვლდება ერთიანი 609/2013 რეგულაციით და მასზე დაფუძნებული ახალი აქტებით (რეგულაციებით), რო-მელიც 2015 წლის 20 ივლისამდე უნდა იყოს მიღებული. ერთიანი რეგულაციის ერთ-ერთ ძირითადი მიზანს თანამეგობრობის სხვა-დასხვა ქვეყანაში სპეციალური კვებითი დანიშნულების სურსათის განმარტების განსხვავებული ინტერპრეტაციების აღმოფხვრა წარ-მოადგენს, რის შედეგადაც ერთი და იგივე სურსათი ზოგ ქვეყანაში სპეციალური კვებითი დანიშნულების სურსათად მიიჩნევა, სხვებში კი – ჩვეულებრივ სურსათად, რაც, ცხადია, ამ სფეროში საერთო ბაზრის ფუნქციონირებას აფერხებს. ამიტომ ერთიანი რეგულაცია საერთოდ გააუქმდება ამ განმარტებას და კონკრეტულად ჩამოთვლის იმ სურსათს, რომელზეც მისი ნორმები ვრცელდება. მოწესრიგდება და ერთიან ლოგიკას დაექვემდებარება ცალკეული ტიპის სურსათი-სადმი მოთხოვნებიც. ვინაიდან ეს ნორმები ამჟამად მიღებული ჯერ არ არის, ქვემოთ ჩვენ მხოლოდ 2014 წლის მაისის მდგომარეობით მოქმედ წესებს შევეხებით.

ძირითადი მოთხოვნა დიეტური სურსათის ეტიკეტირებისადმი მდგომარეობს იმაში, რომ მათი განსაკუთრებული დიეტური დანი-შნულება/მახასიათებლები უშუალოდ დასახელებასთან უნდა მი-ეთითოს¹³⁹. გარდა ამისა, დეტალურად უნდა აღინიშვნოს პროდუქტის კვებითი ლირებულების პარამეტრები, აღინიშვნოს გამოყენების წესები და ზოგ შემთხვევაში გაკეთდეს დამატებითი განმარტებები (იხ. დე-ტალურად ქვემოთ, შესაბამის განყოფილებებში).

გარდა ამისა, კანონმდებლობით დადგენილია, თუ რა დასახელე-ბით უნდა გაიყიდოს ზოგიერთი დიეტური პროდუქტი. მაგალითად, დადგენილია დასახელებები (ევროკავშირის თითოეულ ენაზე) დე-

137 Commission Regulation (EC) No 953/2009 of 13 October 2009 on substances that may be added for specific nutritional purposes in foods for particular nutritional uses.

138 Commission Regulation (EC) No 41/2009 of 20 January 2009 concerning the composition and labelling of foodstuffs suitable for people intolerant to gluten.

139 დიეტური სურსათი გასაყიდად დაიშვება მხოლოდ წინასწარ შეფუთულ მდგომარეობაში და მხოლოდ შესაბამის საჯარო უწყებასთან წინასწარ შეთანხმებული ეტიკეტით (2009/39/EC დირექტივის მიხედვით).

დის რძის ჩამნაცვლებელი პროდუქტებისათვის.¹⁴⁰ ეს დასახელებები განსხვავდება 6 თვემდე ჩვილებისთვის განკუთვნილი საკვებისთვის (ინგლისურად: infant formula) და 6 თვეზე დიდი ბავშვებისათვის განკუთვნილი საკვებისთვის (ინგლისურად: follow-on formula)¹⁴¹. აგრეთვე განსაზღვრულია ამ პროდუქტების დასახელება იმ შემთხვევაში, თუ ეს პროდუქტები მთლიანად ძროხის ან თხის რძისგან არის დამზადებული (ინგლისურად: infant milk და follow-on milk).

დადგენილია აგრეთვე გარკვეულ ნივთიერებათა/კომპონენტების შემადგენლობის ზღვრები ბურლულებულის ფაფებსა და ბავშვთა კვების სხვა პროდუქტებისათვის (მაკარონის ნაწარმი, ორცხობილები, ფცვიერი ნამცხვრები, წვენები, ხილფაფები, ხორცის, თევზის, ყველის შემცველი კერძები და სხვა).¹⁴² ამ პროდუქტების ზუსტ დასახელებებს კანონმდებლობა არ ადგენს. სანაცვლოდ დადგენილია წესები, რა შემთხვევაში შეიძლება ამა თუ იმ ინგრედიენტის მოხსენიება პროდუქტის დასახელებაში. ეს წესები განსხვავდება იმის მიხედვით, პროდუქტის დასახელებაში მხოლოდ ერთი ინგრედიენტია მოხსენიებული, თუ რამდენიმე, რამდენიმეს შემთხვევაში კი სხვა-დასხვა მოთხოვნაა იმ ინგრედიენტისადმი, რომელიც პირველია მოხსენიებული და იმ ინგრედიენტისადმი, რომელიც პირველი არ არის. კერძო¹⁴³:

- ტკბილი კერძებისათვის: თუკი პროდუქტის დასახელებაში ერთადერთ ან პირველ ინგრედიენტად მოხსენიებულია რძის რომელიმე ნაწარმი, რძის ცილების შემცველობა აპ პროდუქტში არ უნდა იყოს 2,2 გ/100გკალ-ზე ნაკლები.
- სხვა (უტკბილო) კერძებისათვის:
 - თუკი პროდუქტის დასახელებაში მოხსენიებულია მხოლოდ ერთი ინგრედიენტი და ეს ინგრედიენტი ნარმოადგენს ხორცს, თევზს, შიგნეულობას ან ცილის სხვა ტრადიციულ ნყაროს, მაშინ ეს ინგრედიენტი ამ პროდუქტის სულ ცოტა 40% მაინც უნდა შეადგინდეს. ამ კომპონენტის ცილის შემცველობა

140 2006/141/EC დირექტივის მიხედვით.

141 ბავშვისა ასაკის მითითება პირობებით (თუმცა ეყრდნობა 2006/141/EC დირექტივის მე-6 მუხლს). მთავარი განსხვავება ამ ორი ტიპის საკვებში იმაში მდგრადი მარეობს, რომ infant formula ჩვილის ერთადერთი საკვებია, მაშინ როცა follow-on formula - ერთ-ერთი (ვინაიდან ამ პერიოდში ბავშვი უკვე დამატებით საკვებსაც იღებს, დედის რძის/მისი შემცვლელის გარდა).

142 2006/125/EC დირექტივის მიხედვით.

143 2006/125/EC დირექტივის II დანართის მიხედვით.

- პროდუქტში უნდა იყოს სულ ცოტა 1,7 გ/100 კვ (7 გ/100 კვალ).
- თუკი პროდუქტის დასახელებაში მოხსენიებულია რამდენიმე ინგრედიენტი და:
 - » პირველი მათგანი წარმოადგენს ხორცს, თევზს, შიგნეულობას ან ცილის სხვა ტრადიციულ წყაროს, მაშინ ეს ინგრედიენტი ამ პროდუქტის სულ ცოტა 10% მაინც უნდა შეადგენდეს. შესაბამისი ცილის შემცველობა პროდუქტში უნდა იყოს სულ ცოტა 1 გ/100 კვ (4 გ/100 კვალ);
 - » რომელიმე მათგანი (მაგრამ არა პირველი) წარმოადგენს ხორცს, თევზს, შიგნეულობას ან ცილის სხვა ტრადიციულ წყაროს, მაშინ ეს ინგრედიენტი ამ პროდუქტის სულ ცოტა 8% მაინც უნდა შეადგენდეს. ამ კომპონენტის ცილის შემცველობა პროდუქტში უნდა იყოს სულ ცოტა 0,5 გ/100 კვ (2,2 გ/100 კვალ) და ცილის ჯამური შემცველობა პროდუქტში არ უნდა იყოს 0,7 გ/100 კვ (3 გ/100 კვალ)-ზე ნაკლები;
 - » რომელიმე მათგანი წარმოადგენს ყველს, ამ კომპონენტის ცილის შემცველობა პროდუქტში უნდა იყოს სულ ცოტა 0,5 გ/100 კვ (2,2 გ/100 კვალ) და ცილის ჯამური შემცველობა პროდუქტში არ უნდა იყოს 0,7 გ/100 კვ (3 გ/100 კვალ)-ზე ნაკლები;¹⁴⁴

თუკი პროდუქტის დასახელებაში არც ერთი ინგრედიენტი მითითებული არ არის, მაგრამ პროდუქტი მოხსენიებულია, როგორც კერძი (meal) ბავშვისთვის, ცილის ჯამური შემცველობა პროდუქტში არ უნდა იყოს 0,7 გ/100 კვ (3 გ/100 კვალ)-ზე ნაკლები.

დადგენილია დასახელებები დაბალენერგეტიკული სურსათისათვისაც, რომელიც წონის დასაკლები დიეტისთვის გამოიყენება. ასე-

¹⁴⁴ იმ პროდუქტებში, რომელშიც ყველი ან ხორცი დასახელებაში მოხსენიებული ერთადერთი ან პირველი ინგრედიენტია, დაშვებულია ცხიმის შედარებით მაღალი შემცველობა: 1,4 გ/100 კვ (6 გ/100 კვალ). ყველა სხვა პროდუქტში ცხიმის შემცველობის ზღვარია 1,1 გ/100 კვ (4,5 გ/100 კვალ).

თი პროდუქტების დასახელება შეიძლება შემდეგი იყოს:¹⁴⁵

- „დიეტის სრული ჩანაცვლება წონის გასაკონტროლებლად“ (Total diet replacement for weight control) – ამ პროდუქტის დაიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა იყოს 3360 კჯ (800 კვალ)-ზე ნაკლები და 5040 კჯ (1200 კვალ)-ზე მეტი.
- „კერძის ჩანაცვლება წონის გასაკონტროლებლად“ (Meal replacement for weight control) – ამ პროდუქტის ერთი ულუფის ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა იყოს 840 კჯ (200 კვალ)-ზე ნაკლები და 1680 კჯ (400 კვალ)-ზე მეტი.

ამ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულების სულ ცოტა 25%-ს (მაგრამ არა უმცეს 50%-სა) პროდუქტში შემავალი ცილები უნდა უზრუნველყოფდეს. თუმცა, თუკი პროდუქტში შემავალ ცილებში ესენციალური (მნიშვნელოვანი) ამინომჟავები არასაკმარისად არის ნარმოდგენილი¹⁴⁶, მაშინ ცილების შემცველობა შესაძლებელია უფრო მაღალიც¹⁴⁷ იყოს. ცხიმების წილი პროდუქტის ენერგეტიკულ ღირებულებაში 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს. პროდუქტი უნდა შეიცავდეს საკარისი რაოდენობის ლინოლინის მჟავას (4,5 გრამი/დღეში) სრული ჩანაცვლების დიეტის შემთხვევაში და 1 გრამი/ულუფაში კერძის ჩანაცვლების შემთხვევაში) და მცენარეულ ბოჭკოს (10-30 გრამი დღიურ რაციონში). აგრეთვე დადგენილია ვიტამინებისა და მინერალების მინიმალური რაოდენობა, რომელსაც ასეთი კვების დღიური რაციონი უნდა შეიცავდეს (თითოეული კერძი უნდა შეიცავდეს ამ ნორმის სულ ცოტა 30%-ს¹⁴⁸):

A ვიტამინი (მკგ)	700	კალციუმი (მგ)	700
D ვიტამინი (მკგ)	5	ფოსფორი (მგ)	550
E ვიტამინი (მგ)	10	კალიუმი (მგ)	3100

145 96/8/EC დირექტივის მიხედვით.

146 96/8/EC დირექტივის II დანართი ადგენს 11 ესენციალური ამინომჟავას რეფ-ერენტულ დონეებს პროდუქტის ცილებში. იკრძალება პროდუქტში ამ ამინომჟავების შემცველობა რეფერენტულს 80%-ზე ნაკლები იყოს (ცილის კვებითი ღირებულების გასაუმჯობესებლად დაიშვება პროდუქტისთვის ესენციალური ამინომჟავების დამატება).

147 ყველა შემთხვევაში ცილის რაოდენობა დღიურ ულუფაში 125 გრამს არ უნდა აჭარბებდეს.

148 გამონაკლისია კალიუმი. მისი რაოდენობა თითოეულ კერძში/ულუფაში სულ ცოტა 500 მგ უნდა იყოს.

C ვიტამინი (მგ)	45	რკინა (მგ)	16
თიამინი (მგ)	1,1	ცინკი (მგ)	9,5
რიბოფლავინი (მგ)	1,6	1,6 სპილენდი (მგ)	1,1
ნიაცინი (მგ)	18	იოდი (მკგ)	130
ვიტამინი B ₆ (მგ)	1,5	სელენიუმი (მკგ)	55
ფოლიუმის მჟავა (მკგ)	200	ნატრიუმი (მგ)	575
ვიტამინი B ₁₂ (მგ)	1,4	მაგნიუმი (მგ)	150
ბიოტინი (მკგ)	15	მანგანუმი (მგ)	1
პანტოტენის მჟავა (მგ)	3		

კანონმდებლობა აგრეთვე ადგენს, თუ რა დასახელებით უნდა გაიყიდოს (ევროკავშირის თითოეულ ენაზე) სამკურნალო დიეტისათვის გამოსაყენებელი სპეციალური სურსათი. ეს დასახელება უნდა იყოს „სპეციალური სამკურნალო დანიშნულების სურსათი“ (ინგლისურად: Food for special medical purposes).¹⁴⁹ დამატებით უნდა მიეთითოს, კერძოდ რომელი დაავადების თუ ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის არის გამიზნული ეს დიეტური პროდუქტი (For the dietary management of...).

კანონმდებლობის მიხედვით, იმ სურსათის დასახელება, რომელიც მოიხმარება, როგორც დამატებითი ვიტამინების და მინერალების წყარო კვების ნორმალური რაციონის პირობებში უნდა იყოს „კვებითი დანამატი“ (Food supplement).¹⁵⁰

რეგისტრირებული დასახელებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სურსათის წარმოების კუთხური თუ ეროვნული თავისებურებების შენარჩუნებისა და დაცვისათვის ევროპულ თანამეგობრობაში 1992 წლიდან შემოღებულ იქნა „ტრადიციული ნაწარმის/კერძისა“ (Traditional Specialities Guaranteed, TSG) და სურსათის დასახელებებში გეოგრაფიული მითითებების¹⁵¹ გამოყენების (Protected Designations of Origin, PDO და Protected Geo-

149 1999/21/EC დირექტივის მიხედვით.

150 2002/46/EC დირექტივის მიხედვით (Directive 2002/46/EC of the European Parliament and of the Council of 10 June 2002 on the approximation of the laws of the Member States relating to food supplements).

151 ამ კატეგორიების ქვეშ შესაძლებელია აგრეთვე ისეთი დასახელებების რეგისტრაცია, რომელიც გეოგრაფიულ რეგიონს პირდაპირ არ მოიხსენიებს, თუმცა მასთან ასოცირდება. იხ. ქვემოთ „ფეტას“ რეგისტრაციის შესახებ.

graphical Indicators, PGI) რეგისტრაციის შესაძლებლობა.¹⁵² ასეთი რეგისტრირებული დასახელებების გამოყენება დაიშვება მხოლოდ მათი რეგისტრაციისას დაფიქსირებული პროცესის დაცვით. დასახელებებთან ერთად (ხედვის იმავე არეში) სავალდებულოა შესაბამისი ნიშის გამოყენება მე-5 დანართში მითითებულებიდან.

ამჟამად, განსხვავება ამ რეგისტრირებულ დასახელებათა შორის შემდეგია:

- ნარმოშობის დაცული აღნიშვნა (Protected Designation of Origin) ნიშნავს დასახელებას, რომელიც დადგნილია ისეთი პროდუქტისთვის, რომლის:
 - ნარმომავლობა დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან, რეგიონთან ან ქვეყანასთან;
 - ხარისხი ან მახასიათებლები არსებითად ან მთლიანად გამომდინარეობს კონკრეტული გეოგრაფიული გარემოსა და შესაბამისი ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორებიდან;
 - ნარმოების ყველა ეტაპი მოქცეულია ამ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში. გამონაკლისის სახით (2004 წლამდე რეგისტრირებული დასახელებებისთვის) დაიშვება, რომ ისეთი ნედლეული, როგორიცაა ცოცხალი ცხოველები, ხორცი ან რძე ნარმოებული იყოს უფრო ფართო ან საერთოდ განსხვავებულ რეგიონში, იმ პირობით, რომ მათი ნარმოების არეალი და პირობები განსაზღვრულია და კონტროლდება.
- დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა (Protected Geographical Indication) ნიშნავს დასახელებას, რომელიც დადგნილია ისეთი პროდუქტისთვის, რომლის:

152 ამ დასახელებათ რეგისტრაცია და დაცვა შემოლებულ იქნა 2081/92 (Council Regulation (EEC) No 2081/92 of 14 July 1992 on the protection of geographical indications and designations of origin for agricultural products and foodstuffs) და 2082/92 რეგულაციებით (Council Regulation (EEC) No 2082/92 of 14 July 1992 on certificates of specific character for agricultural products and foodstuffs), რომლებიც შემდგომ ჩანაცვლდა 509/2006 (Council Regulation (EC) No 509/2006 of 20 March 2006 on agricultural products and foodstuffs as traditional specialities guaranteed) და 510/2006 რეგულაციებით (Council Regulation (EC) No 510/2006 of 20 March 2006 on the protection of geographical indications and designations of origin for agricultural products and foodstuffs), 2013 წლიდან კი ისინა ჩაანაცვლა ერთიანმა 1151/2012 რეგულაციამ (Regulation (EU) No 1151/2012 of the European Parliament and of the Council of 21 November 2012 on quality schemes for agricultural products and foodstuffs). ტექსტში აღნერილი მოთხოვნები ამ ბოლო რეგულაციას შეესაბამება.

- წარმომავლობა დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან, რეგიონთან ან ქვეყანასთან;
 - ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები არსებითად გამომდინარეობს გეოგრაფიული წარმომავლობიდან;
 - წარმოების ერთი ეტაპი მაინც მოქცეულია ამ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში.
- დაცული ტრადიციული ნაწარმი (Traditional Speciality Guaranteed) წარმოადგენს ისეთი პროდუქტის დასახელებას, რომელიც ხასიათდება ტრადიციული წარმოების ან გადამუშავების მეთოდით, ან შემადგენლობით, ან ნედლეულით. ასეთი პროდუქტის დასახელება რეგისტრირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს დასახელება ტრადიციულად გამოიყენებოდა ამ ტიპის პროდუქტისთვის, ან არ გამოიყენებოდა, მაგრამ კარგად ასახავს პროდუქტის ტრადიციულ ბუნებას.

დასახელებები, რომელიც ზოგადია (general/common name), ან დროთა განმავლობაში ასეთი გახდა, რეგისტრაციას არ ექვემდებარება. დასახელებათა რეგისტრაცია ხორციელდება ევროკომისიის რეგულაციებით. სამივე ტიპის რეგისტრირებული დასახელება აისახება ოფიციალურ რეგისტრში, რომელიც მონაცემთა ბაზის სახით ხელმისაწვდომია მისამართზე <http://ec.europa.eu/agriculture/quality/door/list.html>. ამ ბაზაში ამჟამად 1230 რეგისტრირებული დასახელებაა შესული¹⁵³. რეგისტრირებული დასახელებების გამოყენების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც მათი გამოყენების პირობებს იცავს. რეგისტრირებული დასახელების პროდუქტია ექვემდებარება კონტროლს ამ დასახელებათა მოთხოვნების შესაბამისობაზე.

იკრძალება რეგისტრირებული დასახელებების კომერციული გამოყენება სხვა პროდუქტებზე, მათ შორის მითითება იმაზე, რომ პროდუქტი რეგისტრირებულის მსგავსია, ან შემცვლელია, ან იმიტაციაა და ა.შ., ან სხვა მხრივ პროდუქტის იმგვარი ეტიკეტირება ან წარდგენა, რომ მომხმარებელს იგი რეგისტრირებულ პროდუქტში აერიოს. ეს აკრძალვა ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როცა რეგისტრირებული პროდუქტი ამ სხვა პროდუქტის ინგრედიენტია.

153 რეგისტრირებულია 579 PDO, 605 PGI და 46 TSG.

ჩანართი 2: საბერძნეთის 10-წლიანი ჭიდილი ყველი ფეტას (ფეტა) რეგისტრაციისთვის.

1994 წლის 21 იანვარს საბერძნეთის მთავრობაში წამოიქცა პროცედურა ევროპულ თანამეგობრობში ყველის დასახელების „ფეტა“ რეგისტრაციისთვის დაცული წარმოშობის აღნიშვნად (Protected Designation of Origin). რეგისტრაციის განაცხადში აღნიშნული იყო, რომ ეს არის მარილნალში მოთავსებული თეთრი ფერის ყველი, რომელიც ჯერ კიდევ პირველის დროიდან ინარმოება საბერძნეთის ზოგ რეგიონში¹⁵⁴ ადგილობრივი ცხვრისა ან ცხვრისა და თხის რძის ნარევისგან, სპეციფიკური ტრადიციური მეთოდით.¹⁵⁵ დადგენილი პროცედურის მიხედვით, ევროკომისიამ ეს მოთხოვნა (სხვა მთხოვნებთან ერთად) ნარუდგინა სამეცნიერო კომიტეტს და, მას შემდეგ, რაც დადგენილი ვადის განმავლიბაში კომიტეტმა დასკვნა არ გამოისა, – თანამეგობრობის (მთნისტრთა) საბჭოს. არც ამ ორგანოს გამოყენებულს დასარეგისტრირებულ დასახელებასთან მიმართებით რაიმე მოსაზრება¹⁵⁶ და პროცედურის შესაბამისად, ევროკომისიამ 1996 წლის 12 ივნისს 1107/96 რეგულაციით საბერძნეთის მთავრობის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

ამდენად, 1996 წელს ყველის დასახელება „ფეტა“ რეგისტრირებულ იქნა, როგორც პროდუქტის წარმოშობის დაცული აღნიშვნა (PDO), რაც იმას ნიშნავდა, რომ გარდა რეგისტრაციაში მითითებული ტერიტორიებისა, სხვაგან წარმოებულ ყველზე (და სხვა რძისგან წარმოებულ ყველზე) ეს დასახელება გამოყენებული ვერ იქნებოდა. ამავე დროს, ყველი „ფეტა“ ინარმობოდა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ – დანაში, ნიდერლანდებში, გერმანიაში და საფრანგეთში¹⁵⁷, უმეტეს შემთხვევაში არა ცხვრისა ან თხის, არამედ ძროხის რძისგან¹⁵⁸. ბუნებრივია, ამ ქვეყნებშია ევროკომისიას გადაწყვეტილება გააპროტესტა: იმავე წელს თანამეგობრობის სასამართლოში შევიდა დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის სარჩელება „ფეტას“ დასახელების რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით¹⁵⁹. მოსარჩელეთა მთავარი აღგუშტნები იმპში მდგომარეობდა, რომ „ფეტა“ წარმოადგენს ყველის სახეობის ზოგად დასახელებას და კონკრეტულ რეგიონში წარმოებულ

154 განაცხადში მითითებულია საბერძნეთის რეგიონები, რომლიდანაც უნდა იყოს მოპოვებული რძე ამ ყველის მისაღებად. ესენია: მაკედონია, თრავია, თესალია, მატერიკული საბერძნეთის ცენტრალური ნაწილი, პელოპონესი და ლესბოსის პრეფექტურა.

155 როგორც გენერალური ადვოკატის ლა პერგოლას 1998 წლის 15 სექტემბრის მისაზრებისა აღნიშნული, რეალურად დასახელება „ფეტა“ იტალიური წარმოშობისაა (ნიშნავს რძისგან ნაჭრის, ნატებს) და უხსოვარი დროიდან ინარმოება არა მხოლოდ საბერძნეთში, არამედ ბლგარეთის სხვა ქვეყნებშიც: ალბანეთში, ბულგარეთში, კვიპროსში, ყოფილ იუგოსლავიასა და რუმინეთში.

156 როგორც წესი, ეს ინშნავს, რომ საბჭოსა და სამეცნიერო კომიტეტში საჭირო უმრავლესობა ვერ მოგროვდა ვერც დადებითი და ვერც უარყოფითი გადაწყვეტილების მისაღებად.

157 ევროპული თანამეგობრობის გარეთ ყველი ფეტა ინარმოება და მოიხმარება აშშ-სა და ახალ ზეალნდიაში (ძროხის რძისგან), აგრეთვე ირანსა და საუდის არაბეთში (ცხვრის/თხის რძისგან).

158 ძროხის რძისგან ფეტას წარმოებას სჭირდება პროდუქტის „გათეთრება“, ვინაიდან ძროხის რძე ბუნებრივად მოყვითალოა (შეიცავს კაროტინს), ცხვრის/თხის რძე კი თეთრია (არ შეიცავს კაროტინს).

159 Joined Cases C-289/96, C-293/96 and C-299/96.

პროდუქტზე მისი მიბმა უმართებულოა. ევროკომისიის კონტრარგუმენტი კი ის იყო, რომ 1994 წელს „ევროპარმომეტრის“¹⁶⁰ საშუალებით ჩატარებულმა მომხმარებელთა კვლევამ ცხადყო, რომ ევროპელ მომხმარებელთა უმრავლესობისთვის (გარდა დანილი მომხმარებლებისა) დასახელება „ფეტა“ ბერძნულ ყველთან ასოცირდება და ამდენად ის არ არის ყველი ზოგადი დასახელება, არამედ დაკავშირებულია კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონთან. თუმცა სასამართლომ ეს არგუმენტი საკმარისად არ მიიჩნია და დაადგინა, რომ ევროკომისიას სათანადოდ არ განუხილავს ის გარემოება, რომ აღნიშნული ყველი საბერძნეთის გარდა სხვა წევრ-ქვეყნებშიც იწარმოებოდა. ამ მიზეზით დასახელება „ფეტას“ რეგისტრაცია გაუუქმდა.¹⁶¹

ამის შემდეგ (ვინაიდნ საბერძნეთის მოთხოვნა რეგისტრაციის თაობაზე კვლავ ძალაში იყო) ევროკომისიას მოუწია ევროკავშირის ფარგლებში ყველი „ფეტას“ ნარმოების, მომხმარების და მომხმარებელთა მიერ მისი აღქმის საფუძვლიან შესწავლა. ამ გამოკვლევაში ევროკომისიამ ამჯერად თავად წევრ-ქვეყნების მთავრობებიც ჩართო – მათ დაეგზავნთ უალრესად დეტალური კითხვარება და შემდგომი ანალიზი და დასკვნები სწორედ მათგან მიღებული პასუხებისა და მომაცემების საფუძველზე გაკეთდა. საინტერესოა, რომ მომხმარებელთა მიერ ყველი „ფეტას“ აღქმის შეფასების ერთ-ერთ საშუალებად გამოყენებულ იქნა სიტყვა „ფეტას“ განმარტება სხვადასხვა ქვეყნის ლექსიკონებში და ენციკლოპედიებში (რომელიც აგრეთვე თავად წევრ-ქვეყნებს უნდა მოეძიებინათ და წარმოედგინათ). ამ მასტუაბიანი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველი „ფეტას“ არა მხოლოდ წარმოება, არამედ მომხმარებაც¹⁶², ძრითადად, კონცენტრირებულია საბერძნებში¹⁶³; ყველი, რომელიც ამ დასახელებით ინარმოება სხვა ქვეყნებში და მზადდება ძრობის რძისგან, ძრითადად გამიზნულია ევროკავშირს განვითარდებოდა საექსპორტოდ¹⁶⁴ და ევროკავშირის მომხმარებელთა გეოგრანებსა თუ აღმარტინებას არ ახდენს; თანამეგობრობის პაქტიკულად ყველა ქვეყნის განმარტებით ლიტერატურა „ფეტას“ მოიხსენიბა, როგორც ბერძნულ ცხვრის ყველს; უფრო მეტიც, გაიკვა, რომ არა-ბერძნული წარმოების „ფეტას“, რომელიც თანამეგობრობაში იყიდებოდა, თავისი ბრენდული დასახელებაში ან გაფორმებაში თითქმის ყოველთვის იყენებდა რაინე ტიპის მითითებას ბერძნულ კულტურაზე, ტრადიციაზე ან ტერიტორიაზე, ანუ, არსებითად, მათი მარკეტინგი მომხმარებლის

160 ევროკომისიის ეგიდით განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე http://ec.europa.eu/public-opinion/index_en.htm.

161 უფრო სწორად, სასამართლომ ბათილად ცნო დასახელება „ფეტას“ რეგისტრაცია, რაც შემდგომ აისახა ევროკომისიის მიერ მიღებულ რეგულაციაში, რომლითაც რეგისტრირებულ დასახელებათა ჩამონათვალს ეს დასახელება მოშორდა (Commission Regulation (EC) No 1070/1999 of 25 May 1999 amending the Annex to Regulation (EC) No 1107/96 on the registration of geographical indications and designations of origin under the procedure laid down in Article 17 of Council Regulation (EEC) No 2081/92).

162 საბერძნებში ფეტა მომხმარება საშუალოდ სულზე წელიწადში 10 კვ-ზე მეტი რაოდენობით. თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში მისი მომხმარება სულზე წელიწადში სულ (კოტა 10-ჯერ (ზოგ ქვეყნებში 100-ჯერ) უფრო მცრავა.

163 ეს იმას ნიშანს რომ ამ ყველის მომხმარებელთა უმრავლესობა ბერძნია. სასამართლო შემდგომში (იხ. ქვემოთ 2002 წლის განხილვა) გადაწყვეტილების მიღებისას სწორედ „მომხმარებელთა უმრავლესობის თვალთახედის“ არგუმენტს დაეყრდნობა.

164 ძრითადად, თანამეგობრობის მიერ ამ ტიპის ყველის ექსპორტის ფინანსური მხარდაჭერის ფონზე.

მიერ ამ ყველის საბერძნეთთან ასოცირებას ეფუძნებოდა. ამ ფონზე იმის მტკიცება, რომ „ფეტა“ ზოგადი სახელია და გეოგრაფიულ რეგიონთან არ ასოცირება, ცხადია, საფუძველს მოკლებული იყო. შესაბამისად, 2002 წელს ევროკომისიამ მოამზადა დეტალური ახსნა-განმარტება ამ საკითხზე და დასახელება „ფეტა“ ხელახლა გაატარა რეგისტრაციაში, როგორც პროდუქტის წარმოშობის დაცული აღნიშვნა (PDO).¹⁶⁵

ამავე წელს გერმანიამ და დანიამ ხელახლა იჩივლება¹⁶⁶ და მოითხოვეს რეგისტრაციის გაუქმება. მათ საფრანგეთიც შეუერთდა. ამჯერად მათი ძირითადი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ფეტას წარმოებას რაიმე განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება და ამ ყველის გემო და სხვა თვისებები არ არის განცირობებული იმ გეოგრაფიული არეალის მახასათებლებით, რომელიც საბერძნეთის მთავრობამ მისი წარმოების ტერიტორიად მიუთითა. თუმცა ეს არგუმენტები სასამართლომ არ გაითვალისწინა, ვინაიდან ჯერ კიდევ 1994 წლის განაცხადში საბერძნეთის მთავრობას დეტალურად ჰქონდა ორგერილი, რომ ამ რეგიონების განსაკუთრებული კლიმატური პირობების (თბილი ზამთარი და ძალიან ცხელი ზაფხული, მაღალი ტენიანობა) და ლანდშაფტის გამო (მთა და მთისპირი) ცხვრის საკვები ცოტაა, აუცილებელია ცხვრის ინტენსიური ძოვება და ხშირი გადარევება. შედეგად აქაური ცხვარი მცირე ზომის და გამძლეა, იკვებება მრავალფეროვანი ადგილობრივი მცენარეებით, ინველის ძალზე ცოტას (80-120 კგ წელიწადში) და მისი რეე განსაკუთრებით არომატული და სქელია. შედეგად ყველიც განსაკუთრებული გემოსი გამოდის. ამდენად, ამჯერად ევროპის სასამართლომ „ფეტას“, როგორც პროდუქტის წარმოშობის დაცული აღნიშვნის რეგისტრაცია ძალაში დატოვა და დღეს ევროკავშირში „ფეტას“ დასახელებით მხოლოდ საბერძნეთის გარკვეულ რეგიონებში ცხვრისა და თხის რძისგან ტრადიციული ტექნილოგიით წარმოშებული ყველის გაყიდვა შესაძლებელი.

ალკოჰოლური სასმელების რეგისტრირებული დასახელებები

ანალოგიურ სქემას ექვემდებარება გეოგრაფიული მითითებების გამოყენება ალკოჰოლური სასმელების დასახელებებში¹⁶⁷. თუმცა აქ მხოლოდ ორი ტიპის დასახელების რეგისტრაცია ხდება: დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების (Protected Geographical Indication, PGI) და წარმოშობის დაცული აღნიშვნების (Protected Designation of Origin, PDO). ორივე ტიპის დაცული დასახელება ითხოვს, რომ სასმელი წარმოშებული იყოს რეგისტრაციაში მითითებულ ტერიტორიაზე და მისი განსაკუთრებული თვისებები დაკავშირებული იყოს ამ ტერიტორიასთან. თუმცა PDO ითხოვს, რომ ღვინის წარმოებისთვის გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ევროპული ჯიშის ვაზი (Vitis vinif-

165 Commission Regulation (EC) No 1829/2002 of 14 October 2002 amending the Annex to Regulation (EC) No 1107/96 with regard to the name “Feta”.

166 Joined cases C-465/02 and C-466/02.

167 რეგულირდება 1308/2013 რეგულაციით (Regulation (EU) No 1308/2013 of the European Parliament and of the Council of 17 December 2013 establishing a common organisation of the markets in agricultural products and repealing Council Regulations (EEC) No 922/72, (EEC) No 234/79, (EC) No 1037/2001 and (EC) No 1234/2007).

era) და ღვინის დამზადებისთვის გამოყენებული ყურძენი მთლიანად მოყვანილ იქნეს რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. PGI კი უშვებს ღვინის ნარმოებას ევროპული ვაზის ჯიშისა და Vitis გვრის სხვა ჯიშების ნაჯვარი ყურძნისგან და ღვინის ნარმოებისათვის გამოყენებული ყურძნის 15%-ის მოყვანას რეგისტრირებული ტერიტორიის გარეთ (თუმცა იმავე ქვეყანაში).

ამ რეგისტრირებული დასახელებების რეესტრი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://ec.europa.eu/agriculture/markets/wine/e-bacchus/>. რეესტრში შესულია 18 ქართული ღვინოს დასახელებაც (რეგისტრირებულია როგორც Protected Geographical Indication, PDI): ახაშენი, ატენური, გურჯაანი, კახური, კარღენახი, ხვანჭკარა, ქინძმარაული, კოტეხი, ყვარელი, მანავი, მუკუზანი, ნაფარეული, სვირი, თელიანი, ტიბაანი, წინანდალი, ტვიში, ვაზისუბანი.

სავალდებულო ინფორმაცია, რომელიც მიეთითება სურსათის დასახელებასთან ერთად

სურსათის დასახელებასთან ერთად უნდა მიეთითოს, ან დასახელების ნაწილს უნდა შეადგენდეს გარკვეული დამატებითი ინფორმაცია. კერძოდ:

- ინფორმაცია სურსათის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, ან იმ დამუშავების შესახებ, რაც მან გაიარა (მაგალითად, გამომშრალი, დაფქული, ღრმად გაყინული, სწრაფად გაყინული, კონცენტრირებული, შებოლილი) – თუკი ასეთი მითითების გარეშე მომხმარებელი შესაძლოა შეცდომაში შევიდეს. 2014 წლის 13 დეკემბრიდან აგრეთვე სავალდებულოა ისეთ პროდუქტებზე, რომელიც გაყინული იყო, მაგრამ იყიდება გამლღვარ მდგომარეობაში, მიეთითოს „გამლღვარი“¹⁶⁸.
- „დასხვებული“ ან „დამუშავებული მაიონიზებული გამოსხივებით“ – თუ სურსათი დამუშავებულია მაიონიზებული გამოსხივებით;
- „შეიცავს დამატებობლებს“ ან „შეიცავს შაქრებსა და დამატებობლებს“ – თუ სურსათი შეიცავს დამატებობლებს ან დამ-

168 ეს მოთხოვნა არ ეხება ინგრედიენტებს, სურსათს, რომლისთვისაც გაყინვა ჩვეულებრივი ტექნოლოგიური პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და აგრეთვე სურსათს, რომლის უვნებლობასა და ხარისხზე გალლობა უარყოფითად არ მოქმედებს.

- ატებობლებსა და შაქრებს ერთდროულად¹⁶⁹;
- თუ პროდუქტს (ტებილეულს ან სასმელს) დამატებული აქვს ძირტკბილა (*Glycyrrhiza glabra*)¹⁷⁰ ისე, რომ იგი შეიცავს გლიცი-რიზინის მჟავას 4გ/კგ-ზე მეტი რაოდენობით – ტებილეულისათვის, 50 მგ/ლ მაღალი რაოდენობით – უალკოოლო სასმელებისათვის ან 300 მგ/ლ-ზე მაღალი რაოდენობით – ალკოოლიანი სასმელებისათვის, – ეტიკეტზე, პროდუქტის შემადგენლობის აღნერის შემდეგ, ან თუ შემადგენლობა მითითებული არ არის, პროდუქტის დასახელებასთან უნდა განთავსდეს წარწერა: „შეიცავს ძირტკბილას – ჰიპერტენზიის მქონე ადამიანები უნდა მოერიდონ გადაჭარბებულ მოხმარებას“ (contains liquorice – people suffering from hypertension should avoid excessive consumption). თუ გლიცირიზინის მჟავის რაოდენობა პროდუქტში უფრო დაბალია, მაგრამ აღემატება 100 მგ/კგ ან 10 მგ/ლ, საკმარისია „ძირტკბილა“ (liquorice) მოხსენიებული იყოს პროდუქტის დასახელებაში, შემადგენლობაში, ან დასახელების ახლოს დაემატოს მითითება: „შეიცავს ძირტკბილას“.
- თუკი მინერალური წყალი შეიცავს 1,5 მგ/ლ ან მეტ ფტორს, მის დასახელებასთან ახლოს, კაფიოდ და შესამჩნევად უნდა განთავსდეს წარწერა: „შეიცავს 1,5 მგ/ლ-ზე მეტ ფტორს. არ დაიშვება 7-ნტლამდე ბავშვების მიერ რეგულარული მოხმარებისთვის“¹⁷¹.
- თუ სურსათს ან მის ინგრედიენტებს დამატებული აქვს ფიტოსტეროლები ან ფიტოსანტოლები, უნდა მიეთითოს ჩამოთვლილი ინფორმაცია:¹⁷²

169 დამატებობლების სურსათის დანამატებია. დაიშვება მხოლოდ იმ დამატებობლების გამოყენება, რომელიც მითითებულია 1333/2008 რეგულაციაში (Regulation (EC) No 1333/2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on food additives) ან მთლიანი მიზანის სურსათში, რომელსაც აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დამატებობლების გამოყენება დაიშვება მხოლოდ დაბალენტერგეტიკულ სურსათში და სურსათში, რომელსაც არ აქვს დამატებული შაქრები.

170 მცენარის ინგლისური დასახელება *Liquorice*. ევროპასა და ამერიკაში ფართოდ გამოიყენება ამავე დასახელების ტებილეულის (სპეციფიური გემოს მქონე სალეჭი კანფუტების დასამზადებლად).

171 2003/40/EC დირექტივის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

172 2014 წლის 13 დეკემბრამდე ამ მოთხოვნას შეიცავს 608/2004 რეგულაცია (Commission Regulation (EC) No 608/2004 of 31 March 2004 concerning the labelling of foods and food ingredients with added phytosterols, phytosterol esters, phytostanols and/or phytostanol esters). 2014 წლის 13 დეკემბრიდან იგი გაუქმდება და ამოქმედდება 1169/2011

- პროდუქტის დასახელებასთან ახლოს (იმავე ხედვის არეში) – „მცენარეული სტეროლებით“ (with added plant sterols) ან „მცენარეული სტანოლებით“ (with added plant stanols);
- შემადგენლობაში მითითებული უნდა იყოს დამატებული ფიტოსტეროლებისა და ფიტოსანტოლების რაოდენობა 100 გრამ (100 მილილიტრ) პროდუქტზე. აგრეთვე უნდა განიმარტოს ერთი პორციის ზომა და მასში შემავალი სტეროლების/სტანოლების რაოდენობა.
- ეტიკეტზე განთავსებული უნდა იყოს მითითება იმის თაობაზე, რომ სურსათი განკუთვნილია მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომელთაც სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირება სურთ და სხვა ადამიანებისთვის ამ პროდუქტის მიღება საჭირო არ არის. აქვე უნდა მიეთითოს, რომ აუცილებელია მოვერიდოთ დღეში 3 გრამზე მეტი მცენარეული სტეროლების/სტანოლების მიღებას. აგრეთვე უნდა მიეთითოს, რომ ადამიანმა, რომელიც ქოლესტერინის დონის დამწევ წამლებს იღებს, ეს პროდუქტი მხოლოდ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ უნდა მოიხმაროს.
- პროდუქტზე უნდა იყოს მითითება იმის თაობაზე, რომ, კვებითი ლირებულების თვალსაზრისით პროდუქტი არასასურველია 5 წლამდე ბავშვებისთვის, ორსული ქალებისა და მექუძური დედებისთვის.
- სურსათზე უნდა განთავსდეს რჩევა იმის თაობაზე, რომ ეს პროდუქტი გამოყენებული უნდა იყოს დაბალანსებული და მრავალფეროვანი რაციონის ფონზე, რომელშიც საკმარისი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი ხილი და ბოსტნეული (კაროტინიდების დონის შესანარჩუნებლად).

2014 წლის 13 დეკემბრიდან ამ ჩამონათვალს დაემატება ახალი გამაფრთხოლებელი მითითება:

- სასმელებზე, რომელიც შეიცავს 150 მგ/ლ-ზე მეტ კოფეინს¹⁷³

რეგულაციის შესაბამისი ტექსტი (დანართი III).

173 თუ სამეცნიერო კონცენტრირებულია, ეს ნორმა ეხება მომხმარებლისთვის გამზადებულ, განზავებულ მდგომარეობას.

(გარდა იმ სასმელებისა, რომლის დასახელებაში მოხსენიებულია ყავა ან ჩაი), დასახელებასთან ახლოს უნდა მიეთიოს „კოფეინის მაღალი შემცველობა“. არ არის რეკომენდებული ბავშვებისთვის, ორსული ქალებისა და მეტუძური დედებისთვის“ (High caffeine content. Not recommended for children or pregnant or breast-feeding women).¹⁷⁴ ამ წარწერის შემდეგ, ფრჩხილებში, მითითებული უნდა იყოს კოფეინის რეალური შემცველობა პროდუქტში.

- თუ პროდუქტი განკუთვნილია გლუტენისადმი ალერგიული ადამიანებისთვის, მის დასახელებასთან ახლოს უნდა მიეთიოს „გლუტენის გარეშე“ ან „გლუტენის ძალზე დაბალი შემცველობა“¹⁷⁵ (ამ წარწერების დატანის პირობები იხ. მე-4 დანართში).

გარდა ამისა, 2014 წლის 13 დეკემბრიდან ძალაში შედის ახალი მოთხოვნები, რომელიც მომხმარებლებს შეცდომაში შეყვანისგან იცავს. კერძოდ, ხორცისა და თევზის პროდუქტებთან დაკავშირებით იმოქმედებს შემდეგი წესები:

- თუკი ხორცის ან თევზის პროდუქტები შეიცავს სხვა ცხოველისგან მიღებულ ცილებს, ეს გარემოება და ცილების ნარმომალობა სურსათის დასახელებასთან ერთად უნდა მიეთიოს;
- თუკი ხორცპროდუქტი ან ხორცის ნახევარფაპრიკატი გამოიყურება როგორც ხორცის ნაჭერი, სავალდებულოა დამატებული წყლის რაოდენობის მითითება, თუკი იგი 5%-ს აღემატება. იგივე წესი მოქმედებს თევზის პროდუქტთან ან ნახევარფაპრიკატთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყურება როგორც თევზის ნაჭერი, ფილე ან მთლიანი თევზი;
- ხორცპროდუქტებზე, ნახევარფაპრიკატებსა და თევზის პროდუქტებზე, რომელიც გამოიყურება, როგორც ხორცის ან თევზის ერთიანი ნაჭერი, რეალურად კი შედგება სხვა ინგრედიენტების საშუალებით შეერთებული ნაჭრებისგან, უნდა მიეთიოს „ფორმირებული ხორცი“ (formed meat) ან „ფორმირებული თევზი“ (formed fish);
- თუკი ძეხვის ან სოსისის კანი იჭმევა, ეს პროდუქტზე მითითებული უნდა იყოს.

¹⁷⁴ თუ კოფეინი დამატებულია სხვა პროდუქტში (გარდა სასმელებისა) ფიზიოლოგიური მიზნებით, მიუხედავად მისი რაოდენობისა, პროდუქტის დასახელებასთან ახლოს უნდა განთავსდეს წარწერა: „შეიცავს კოფეინს. არ არის რეკომენდებული ბავშვებისა და ორსული ქალებისთვის“.

175 41/2009 რეგულაციის მიხედვით.

ყველა ტიპის პროდუქტთან დაკავშირებით კი ამოქმედდება შემ-დეგი წესი:

- თუკი სურსათის რომელიმე ინგრედიენტი, რომლის მიმართებაში არსებობს მომხმარებელთა მოლოდინი, რომ იგი ამ სურ-სათში გამოიყენება ან ბუნებრივად არის წარმოდგენილი, ჩანაცვლებულია სხვა კომპონენტით ან ინგრედიენტით, – ეტიკეტზე, სურსათის დასახელებასთან ახლოს, ეს გარემოება მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული¹⁷⁶. ეს წარწერა შესრულებულ უნდა იქნეს შრიფტით, რომლის ასო „x“-ის სიმაღლე სურსათის დასახელებისათვის გამოყენებული შრიფტის იმავე ასოს სიმაღლის სულ ცოტა 3/4-ია და ამავე დროს, არ არის 1,2 მილიმეტრზე ნაკლები.

ინგრედიენტების ჩამონათვალი

სურსათის თაობაზე სავალდებულო ინფორმაციას მიეკუთვნება იმ პროდუქტების/მასალის ჩამონათვალი, რისგანაც დამზადდა სურ-სათი.¹⁷⁷ ჩამონათვალს უნდა ჰქონდეს სათაური, რომელშიც ფიგური-რებს სიტყვა „ინგრედიენტი“: ჩამონათვალში ინგრედიენტები უნდა დალაგდეს მასის კლებადობის მიხედვით.

ინგრედიენტების ჩამონათვალი საჭირო არ არის შემდეგი პროდუქტებისათვის:

- ნედლი ხილ-ბოსტნეული (მათ შორის კარტოფილი) – იმ შემთხვევაში, თუკი ისინი არ არის გაფცევნილი, დაჭრილი ან მსგავსად დამუშავებული;
- გაზიანი წყალი, რომლის დასახელებაში მითითებულია, რომ ის გაზიანია;
- რომელიმე ერთი პროდუქტის დუღილის შედეგად მიღებული ძმარი, რომელშიც სხვა არაფერია დამატებული;

176 იგულისხმება დამატებითი წარწერა, გარდა პროდუქტის შემადგენლობის ცვლილების უბრალო ასახვისა, ეტიკეტზე მითითებულ „შემადგენლობაში“ (რაც, ბუნებრივია, აგრეთვე სავალდებულოა. იხ. ქვემოთ).

177 ზუსტი განმარტებით, სურსათის ინგრედიენტებს მიეკუთვნება ყველა ნივთიერება, რომელიც გამოყენებულ იქნა ამ პროდუქტის დამზადებისას და რომელიც საბოლოო პროდუქტში კვლავ წარმოდგენილია, თუნდაც შეცვლილი სახით. ისეთი ნივთიერებები, რომელიც წარმოებაში გამოყენებული იყო, მაგრამ საბოლოო პროდუქტში აღარ ფიგურირებს (მაგალითად, რამე გამსხნელი, რომელიც ტექნიკოლოგიური პროცესის დროს მთლიანად აორთქდა), სურსათის ინგრედიენტებად არ მიიჩნევა.

- ყველი, კარაქი, ფერმენტირებული რძე და ნალები, რომელშიც რძის კომპონენტების, ფერმენტებისა და მიკროორგანიზმების გარდა (ყველებში – აგრეთვე მარილის) არაფერია დამატებული¹⁷⁸;
- ერთი ინგრედიენტისგან მომზადებული პროდუქტი, როცა ინგრედიენტის დასახელება პროდუქტის დასახელების იდენტურია, ან პროდუქტის ბუნებიდან აშკარა.

ინგრედიენტების ჩამონათვალში სავალდებულო არ არის შემდეგი ინგრედიენტების შეტანა:

- კომპონენტები, რომელიც მომზადების პროცესში სურსათს დროებით მოშორდა, შემდეგ კი კვლავ დაემატა (არა უმეტეს საწყისი რაოდენობისა);
- წყალი, რომელიც გამოყენებულია კონცენტრირებული ან გამომშრალი ინგრედიენტის აღსაღენად;
- წყალი, რომელიც სურსათში უბრალოდ თხევადი გარემოს როლს ასრულებს და საჭმელად არ გამოიყენება;
- წყალი, რომლის ნილი პროდუქტში 5%-ზე ნაკლებია (2014 წლის 13 დეკემბრიდან ეს გამონაკლისი აღარ დაიშვება ხორცისა და ხორცის ნახევარაფუაბრიკატებისთვის, აგრეთვე დაუმუშავებელი თევზისა და ორსაგდლულიანი მოლუსკებისთვის).
- სურსათის დანამატები და სხვა ნივთიერებები, რომელიც გამოყენებული იყო ე.წ. განმაზავებლებად (carriers) ან პროცესის დამხმარე აგრენტებად (processing aids); აგრეთვე სურსათის ის დანამატები, რომელიც საბოლოო სურსათში სხვა ინგრედიენტებიდან მოხვდა და არავითარი ფუნქცია ამ საბოლოო სურსათში არ აქვს – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნივთიერებები შეიძლება ალერგიის გამომწვევი იყოს.¹⁷⁹

როგორც წესი, გამოყენებული პროდუქტი/ინგრედიენტი მოხსენიებული უნდა იყოს იმ დასახელებით¹⁸⁰, რომლითაც იგი გაიყიდებოდა, როგორც ცალკე პროდუქტი. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო მატერიალის გამომწვევი იყოს.

¹⁷⁸ თუ ამ პროდუქტებში აღნიშნულის გარდა რაიმე სხვა კომპონენტია დამატებული, მაშინ აუცილებელია მიეთითოს „დანამატებული ინგრედიენტები“[4].

¹⁷⁹ უფრო დეტალურად ეტიკეტზე სურსათს დასამატების მითითების თაობაზე და შემთხვევები, როდესაც მთი მითითება სავალდებულო არ არის, იხ. ჩვენი პუბლიკაცია „სურსათის რეგულირება ევროკავშირში: სურსათის (არასაკვები) დანამატები“, <http://www.momxmarebeli.ge/images/file-677746.pdf>.

¹⁸⁰ ინგრედიენტის დასახელებასთან ერთად უნდა მიეთითოს ის სავალდებულო წარნერებიც, რომელიც ამ ინგრედიენტის ცალკე პროდუქტად გაყიდვის შემთხვევაში სურსათის დასახელებას უნდა ახლდეს.

ბელია უფრო ზოგადი, კრებსითი დასახელებების გამოყენება (იხ. დანართი 2). სურსათის დანამატებისათვის მითითებული უნდა იყოს როგორც მათი ფუნქციონალური კლასი, ასევე მათი დასახელება ან E-ნომერი. სურსათის არომატიზატორებისთვის დაშვებულია მიეთითოს ზოგადად „არომატიზატორი“ (flavouring), ხოლო ბოლის არომატიზატორების შემთხვევაში – „ბოლის არომატიზატორი“ (smoke flavouring)¹⁸¹, თუმცა აგრეთვე დაიშვება კონკრეტული არომატიზატორის ან/და მისი წყაროს მითითება. განსაკუთრებული წესი მოქმედებს არომატიზატორთან სიტყვა „ბუნებრივის“ (natural) გამოყენებასთან დაკავშირებით¹⁸². კერძოდ, ამ ტერმინის გამოყენება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ სურსათის არომატიზატორად გამოყენებულია ე.ნ. არომატული პრეპარატი (flavouring preparation) ან ბუნებრივი არომატული ნივთიერება, რომლებიც მიიღება ბუნებრივი მცენარეული, ცხოველური ან მიკრობული წარმოშობის მასალისგან, ფიზიკური, ფერმენტული ან მიკრობული ზემოქმედების საშუალებით. არომატის ერთი კონკრეტული წყაროს მითითება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არომატიზატორის 95% ამ წყაროდან არის მიღებული. თუ გამოყენებული რამდენიმე არომატიზატორიდან ერთის არომატი უპირატესად იგრძნობა, შეიძლება მიეთითოს ამ არომატის წყარო, თუმცა აგრეთვე უნდა მიეთითოს, რომ სხვა არომატიზატორებიც არის გამოყენებული. თუ არომატიზატორების ნაკრებში კონკრეტული არომატის იდენტიფიცირება შეუძლებელია, არომატის ნატურალური წყაროები არ მიეთითება.

ცხადია, შესაძლებელია, რომელიმე ინგრედიენტი თავად იყოს სხვა ინგრედიენტების გამოყენების/გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი. ასეთი შემთხვევებისთვის ზოგადი წესია, რომ სურსათის ინგრედიენტის ინგრედიენტი საბოლოო სურსათის ინგრედიენტად მიიჩნევა და საერთო სიაში მიეთითება. თუმცა, თუკი მენარმეს ამის სურვილი აქვს, დაიშვება ჩამონათვალში აგრეთვე მიეთითოს შედეგებითი ინგრედიენტის დასახელება, მის შემდეგ კი, ფრჩხილებში, – მისი ინგრედიენტები.¹⁸³

181 2014 წლის 13 დეკემბრიდან ეს დაშვება აღარ იმოქმედებს არომატიზატორად გამოყენებული კოფეინისა (caffeine) ან ქინინისათვის (quinine): მათი დასახელების მთითება ინგრედიენტების ჩამონათვალში სავალდებულოა სიტყვა „არომატიზატორის“ შემდეგ.

182 ეს წესები დადგენილია 1334/2008 რეგულაციის (Regulation (EC) No 1334/2008 on flavourings and certain food ingredients with flavouring properties for use in and on foods) მე-16 მუხლით.

183 დამატებითი ჩამონათვალის მითითება არ არის სავალდებულო: 1) სუნელების ან მწვანილის ნარევისა და იმ შედეგენილი ინგრედიენტებისთვის, რომელთა

როგორც ალვნიშნეთ, ინგრედიენტების ჩამონათვალში ინგრედიენტები ლაგდება მასის კლებადობის მიხედვით¹⁸⁴. ზოგი ინგრედიენტისთვის აგრეთვე სავალდებულოა ამ მასის (წილის) მითითებაც (იხ. ქვემოთ). ორივე შემთხვევაში იგულისხმება ინგრედიენტის მასა მისი გამოყენებისას, ანუ პროდუქტში დამატებისას. გამონაკლისია წყალი, რომლის მასა იანგარიშება მზა პროდუქტის მასას აკლდება ყველა გამოყენებული ინგრედიენტის მასა და სხვაობა ითვლება პროდუქტში წყლის მასად.

გარდა ამისა:

- თუ პროდუქტში გამოყენებულია ინგრედიენტი, რომელიც ჯერ დაკონცენტრირდა/გამოშრა და შემდეგ აღდგა, დაიშვება მისი საწყისი მასის მითითება;
- თუ სურსათი წარმოადგენს კონცენტრირებულ ან გამომშრალ პროდუქტს, რომელიც გამოყენებამდე უნდა განზავდეს ან აღდგეს, დაიშვება ინგრედიენტების მასის მითითება საბოლოო პროდუქტთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში ეტიკეტზე უნდა მიეთითოს „აღდგენილი პროდუქტის (ან „საჭმელად მზა პროდუქტის“) ინგრედიენტები.“

ჩამონათვალში დაშვებულია ზოგიერთი ერთგვაროვანი ინგრედიენტის დაჯგუფება კრებსითი დასახელებების ქვეშ (ხილი, ბოსტნეული, სოკო, სუნელები, მწვანილი, მცენარეული (ცხიმები), და ამ ჯგუფის საერთო მასის მითითება. ჯგუფის დასახელებას უნდა მოსდევდეს კონკრეტული გამოყენებული სახეობების ჩამონათვალი¹⁸⁵. მაგალითად, ხილი (ვაშლი, მსხალი, ატამი). თუ ნარევში ცალკეულ სახეობათა წილი ცვალებადია, დასაშვებია მიეთითოს „ცვალებადი პროპორციით“. ცხიმების შემთხვევაში სავალდებულოა მიეთითოს, თუკი ცხიმი სრულად ან ნაწილობრივ ჰიდროგენიზებულია.

იშვიათ შემთხვევაში დაიშვება აგრეთვე ინგრედიენტების

შემადგენლობა კანონმდებლობით დადგენილია - თუკი მათი შემცველობა საბოლოო პროდუქტში 2%-ს არ აღმატება; 2) იმ ინგრედიენტებისათვის, რომელიც დამოუკიდებულ პროდუქტად გაყიდვის შემთხვევაში განთავისუფლებულია ინგრედიენტების მითითების ვალდებულებისგან. ალერგიის გამომწვევ ნივთიერებებს ეს გამონაკლისა არ ეხება.

¹⁸⁴ იმ ინგრედიენტებისთვის, რომელიც პროდუქტის მასის 2%-ზე ნაკლებს შეადგენს, ზუსტ მიმდევრობას მნიშვნელობა აღარ აქვს.

¹⁸⁵ მცენარეული ცხიმებისთვის ეს მოთხოვნა ამიქმედდება 2014 წლის 13 დეკემბრიდან.

ჩამონათვალში ალტერნატიული (ერთმანეთის ჩამნაცვლებელი) ინგრედიენტების მითითება („შეიცავს ... ან/და ...“). თუმცა ეს გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ იმ ინგრედიენტებსთვის, რომელიც სურსათში 2%-ზე ნაკლებს შეადგენს (მაგრამ არა სურსათის დანამატებისთვის), რომელიც არ იწვევს ალერგიას, რომელიც ერთმანეთის მსგავსია და მათი ურთიერთჩანაცვლება არ იწვევს სურსათის ბუნების, შემადგენლობის ან ფასეულობის ცვლილებას.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში აუცილებელია პროდუქტი ამა თუ იმ ინგრედიენტის ზუსტი რაოდენობის (ე.წ. რაოდენობის დეკლარაციის¹⁸⁶) მითითება. კერძოდ, ეს მოთხოვნა მოქმედებს იმ ინგრედიენტებისადმი:

- რომლის დასახელება ფიგურირებს სურსათის დასახელებაში¹⁸⁷;
- რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება ამ სურსათთან;
- რომელიც გამოსახულია ეტიკეტზე სიტყვიერად, ნახატით, გრაფიკულად;
- რომელიც არსებითია ამ სურსათის მსგავსი (იმავე დასახელების ან შესახედაობის მქონე)¹⁸⁸ პროდუქტებისგან გამოსარჩევად.

ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ ინგრედიენტებზე, რომელიც გამოყენებულია ძალზე მცირე ოდენობით, – არომატის მისაცემად (ნიორი, მწვანილი), ან იმ სურსათზე, რომელშიც ამ ინგრედიენტის შემცველობა კანონით არის დადგენილი. იგი აგრეთვე არ ვრცელდება ზემოთ მოხსენიებული ხილის, ბოსტნეულის, სოკოების, სუნელებისა და მწვანილის ნარევების შემადგენელ კომპონენტებზე.

186 Quantitative Declaration of Ingredients, QUID.

187 გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სურსათის ჩვეულებრივი დასახელება მოიხსენიებს ინგრედიენტს, რომელსაც არ შეიცავს (მაგალითად, საყოველთოდ ცნობილია, რომ „ბადრიჯინის ხიზილალა“ არ შეიცავს ხიზილალას) და იმ შემთხვევებისა, როცა ამ ინგრედიენტის რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა მომხმარებლის მიერ სურსათის შეძენის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად (მაგალითად, ხილის რაოდენობა ხილის ლიქიორები) [2].

188 ევროკომისიის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელო დოკუმენტში [2] განმარტებულია, რომ აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც თანამეგობრობის სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იგივე დასახელება სხვადასხვა შემადგენლობის (მნიშვნელოვნად განსხვავებული) პროდუქტების აღნიშვნისთვის გამოიყენება. დოკუმენტში მითითებულია, რომ ევროკომისიისთვის სულ ორი ასეთი პროდუქტია ცნობილი: მაიონეზი და მარციპანი.

ამდენად, ინგრედიენტის რაოდენობრივი დეკლარაცია საჭიროა, მაგალითად, შეფუთული სურსათის ასეთი დასახელებით გაყიდვის შემთხვევაში¹⁸⁹:

სურსათის დასახელება:	უნდა მიეთითოს შემდეგი ინგრედიენტის რაოდენობა:
„პიცა ლორითა და სოკოთი“	<ul style="list-style-type: none"> • ლორი • სოკო
„მარწყვის იოგურტი“	<ul style="list-style-type: none"> • მარწყვი
„შოკოლადის ნაყინი“	<ul style="list-style-type: none"> • შოკოლადი
„ხილის ტორტი“	<ul style="list-style-type: none"> • ხილი
„ნამცხვარი კრემით“	<ul style="list-style-type: none"> • კრემი
„ნამცხვარი კვერცხიანი კრემით“	<ul style="list-style-type: none"> • კრემი • კვერცხი
„პური თხილით“	<ul style="list-style-type: none"> • თხილი
„სუპი გულიაში“	<ul style="list-style-type: none"> • ხორცი
„ტოლმა“	<ul style="list-style-type: none"> • ხორცი
„ჩანახი“	<ul style="list-style-type: none"> • ცხვრის ხორცი

ინგრედიენტის რაოდენობა, როგორც წესი, მიეთითება პროცენტულ გამოხატულებაში. ეს რიცხვი მიუთითებს, თუ რა პროცენტს შეადგენს ინგრედიენტის მასა (ანუ ის მასა, რაც ინგრედიენტს ამ პროდუქტში დამატების მომენტში ჰქონდა) პროდუქტის საბოლოო მასასთან მიმართებაში. მაგრამ, თუკი პროდუქტის მომზადებისას, აორთქლების გამო, პროდუქტის მასა შემცირდა იმდენად, რომ ინგრედიენტების მასების ჯამზე ნაკლები გახდა, ასე გამოანგარიშებული ინგრედიენტების რაოდენობათა ჯამი, ცხადია, 100%-ზე მეტი გამოვა და მომზმარებელს დააბნევს. ამის თავიდან ასაცილებლად, ასეთ შემთხვევებში, ინგრედიენტების რაოდენობის მითითება უნდა მოხდეს არა პროცენტებში, არამედ გრამებში¹⁹⁰. ამ შემთხვევაში მიეთითება ინგრედიენტის ის მასა, რომელიც საბოლოო სურსათის 100 გრამის მისაღებად იქნა გამოყენებული.

189 მაგალითები აღეცულია ევროკომისის სახელმძღვანელო დოკუმენტიდან [2]. ზოგი დასახელება შეცვლილია ქართული ანალოგიური დასახელებით.

190 ეს წესი ძალაში შედის 2014 წლის 13 დეკემბრიდან.

ინგრედიენტის რაოდენობა მიეთითება ან ინგრედიენტების ჩამონათვალში (შესაბამისი ინგრედიენტის დასახელების შემდეგ), ან უშუალოდ სურსათის დასახელების შემდეგ, – მენარმის სურვილის მიხედვით.

განსაკუთრებული მოთხოვნებია დაწესებული ალერგიის გამომწვევე ნივთიერებებთან/ინგრედიენტებთან დაკავშირებით (იხ. დანართი 1) – ამ ნივთიერებებზე/პროდუქტებზე არ ვრცელდება არავითარი გამონაკლისი: რა მცირე რაოდენობითაც არ უნდა იყოს ალერგიის გამომწვევი მასალა გამოყენებული, იგი აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ინგრედიენტების ჩამონათვალში და მოხსენიებული უნდა იყოს ისეთი დასახელებით, რომლითაც მისი იდენტიფიცირება იოლია (იმ დასახელებით, რაც დანართშია მითითებული). თუ სურსათზე ამა თუ იმ მიზეზის გამო ინგრედიენტების ჩამონათვალი არ მიეთითება, ალერგიის გამომწვევი მასალა მიეთითება ცალკე წარწერით: „შეიცავს ---“. ერთადერთი დაშვებული გამონაკლისი აღწერილი წესიდან არის სურსათი, რომლის დასახელება მოხსენიებს ან მკაფიოდ მიუთითებს ალერგიის გამომწვევი მასალის გამოყენებაზე (მაგალითად, წამცხვარი ნუშით – აშკარაა, რომ შეიცავს ნუშს, იოგურტი – წარმოადგენს რძის პროდუქტს) და სხვა [7]). გარდა ამისა, 2014 წლის 13 დეკემბრიდან, ალერგენების დასახელება ინგრედიენტთა ჩამონათვალში გამოყოფილი უნდა იყოს სქელი შრიფტით, ან საზღასმით, ან ფერადი ფონით, ან რაიმე სხვა საშუალებით, რათა მომხმარებელმა იგი იოლად შეამჩნიოს. გარდა ამისა, ალერგენების მითითება სავალდებულო ხდება არა მხოლოდ შეფუთულ, არამედ ყველა სხვა სახით მიწოდებულ სურსათზე (მათ შორის კაფე-რესტორნებშიც).

პროდუქტის ნეტო მასა

შეფუთული სურსათისთვის სავალდებულოა მისი ნეტო წონის (სითხეებისთვის – მოცულობის) მითითება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- თუ პროდუქტი იწონება გაყიდვისას, მომხმარებლის თვალწინ;
- თუკი სურსათი ჩვეულებრივ იყიდება თვლით და მისი რაოდენობა აშკარაა, ან ეტიკეტზე მითითებულია;
- თუ პროდუქტი შეფუთულია 5 გრამზე/მილილიტრზე მცირე

პორციებად (გარდა სუნელებისა და მწვანილისა) ¹⁹¹;

თუ შეფუთული პროდუქტი შეიცავს თანაბარი ზომის შეფუთულ ნაწილებს, ეტიკეტზე საერთო ნეტო წონის გარდა, მითითებული უნდა იყოს ამ ნაწილების რაოდენობა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გარედან კარგად ჩანს) და ნეტო წონა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს მცირე შეფუთული ნაწილები ცალკე გასაყიდ პროდუქტს არ წარმოადგენს).

თუკი სურსათი წარმოადგენს თხევად გარემოში (წყალში, მარილშიალში, ძმარში, სიროფში, წვენში) მოთავსებულ მყარ სურსათს, გარდა მთლიანი ნეტო წონისა, აგრეთვე მითითებული უნდა იყოს სურსათის წონა ამ თხევადი გარემოს გარეშე. იგივე წესი 2014 წლის 13 დეკემბრიდან ამოქმედდება „მოჭირქნული“ (ე.წ. „გლაზურით“ დაფარული) სურსათისთვისაც: ასეთ სურსათზე მითითებული უნდა იყოს საერთო ნეტო წონა და წონა მოჭირქნის გარეშე.

ქათმის კვერცხის შემთხვევაში, შეფუთვაზე (ან სხვა თანმდევ ინფორმაციაში) მიეთითება არა მათი ზუსტი წონა, არამედ წონის „კლასის“ აღმნიშვნელი ასო, ამგვარად ¹⁹²:

- XL – ძალიან დიდი, 73 გრამზე დიდი კვერცხები;
- L – დიდი: კვერცხის წონა 63-73 გრამია;
- M – საშუალო: კვერცხის წონა 53-63 გრამია;
- S – პატარა: 53 გრამზე მცირე კვერცხები.

ვადები

ეტიკეტზე სურსათის გამოშვების თარიღის მითითებას ევროკავ-შირის კანონმდებლობა არ ითხოვს. სავალდებულოა მხოლოდ ვარგი-სიანობის ვადის მითითება. ევროკავშირის კანონმდებლობა იცნობს ორი ტიპის „ვარგისიანობის ვადას“:

- ე.წ. ვარგისიანობის მინიმალური ვადა (Minimum durability date). ეს არის ვადა, რომლის გასვლამდე სურსათი ყველა თავის თვისებას ინარჩუნებს. ამ ვადის გასვლის შემდეგ პროდუქტი ავტომატურად მავნედ არ მიიჩნევა ¹⁹³;

191 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წონის მითითება აგრეთვე არ არის საჭირო შაქრებზე, თუკი ისინი 20 გრამზე მცირე პორციებადა დაფასოებული (2001/111/EC დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი).

192 589/2008 რეგულაციის მე-4 მუხლის მიხედვით.

193 თუმცა ეს არ ნაშავს, რომ პროდუქტის გაყიდვა ამ ვადის გასვლის შემდეგ ყოველთვის დაიშეება. მაგალითად, კვერცხის შემთხვევაში მისი ვარგისიანობის მინი-

- ე.წ. გამოყენების ვადას („Use by“ date), რომლის გასვლის შემდეგ პროდუქტი მიიჩნევა მავნედ და მისი გაყიდვა იკრძალება.

პროდუქტზე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ამ ვადებით რომელიმე. იმ პროდუქტებზე, რომელიც მიკრობიოლოგიურად არამდგრადია (მალფუჭებადია) და გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე გახდეს, სავალდებულო მიეთითოს გამოყენების ვადა („Use by“ date). ყველა დანარჩენ სასურსათო პროდუქტზე, გარდა რამოდენიმე გამონაკლისისა, უნდა მიეთითოს ვარგისიანობის მინიმალური ვადა (Minimum durability date). ეს ვადა აღინიშნება სიტყვებით „უმჯობესია მოიხმაროთ [თარიღი]-მდე“ (Best before)¹⁹⁴.

ვადების მითითება საჭირო არ არის შემდეგ სურსათზე:

- ნედლი ხილი და ბოსტნეული, რომელიც არ არის გათლილი, დაჭრილი ან სხვა მხრივ დამუშავებული. გალვივებულ თესლებზე ეს გამონაკლისი არ ვრცელდება;
- ღვინოები და მსგავსი პროდუქცია, აგრეთვე 10%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველი სასმელი;
- პურ-ფუნთუშეული, რომელიც ჩვეულებრივ გამოცხობიდან 24 საათის განმავლობაში მოიხმარება;
- ქმარი;
- სუფრის მარილი;
- შაქარი და მისგან დამზადებული ტკბილეული;
- სალეჭი რეზინი და მსგავსი სალეჭი პროდუქტები.

ვადა (თარიღი) შეიძლება არ მიეთითოს უშუალოდ შესაბამის წარწერასთან: Use by ან Best before, არამედ სხვა ადგილას. ამ შემთხვევაში ამ წარწერების შემდეგ მითითებული უნდა იყოს, თუ შეფუთვის რა ადგილას წერია ვადა. ვადა მიეთითება ციფრულად, მიმდევრობით დღე-თვე-წელი: DD/MM/YYYY. ვარგისიანობის ვადის მითითებისას აგრეთვე დაიშვება ვადის მითითება შემოკლებული ფორმით:

- იმ სურსათისთვის, რომელიც 3 თვეზე მეტსანს არ ინახება, – მხოლოდ დღისა და თვის მითითება;
- იმ სურსათისთვის, რომელიც 3-18 თვეს ინახება, – თვისა და

მალურ ვადად დადგენილია კვერცხის დადებიდან 28 დღე (589/2008 რეგულაციის მე-13 მუხლი), თუმცა მისი გაყიდვა საბოლოო მომხმარებლისთვის დაიშვება მხოლოდ დადებიდან 21 დღის განმავლობაში (853/2004 რეგულაციის III დანართის X სექციის მიხედვით).

194 ან „უმჯობესია მოიხმაროთ [თვე/წელი] ბოლომდე“.

- ნლის მითითება;
- იმ სურსათისთვის, რომელიც 18 თვეზე მეტხანს ინახება, – მხოლოდ წლის მითითება.

გამოყენების ვადასთან („Use by“ date) ერთად სავალდებულოა სურსათის შენახვის პირობების მითითება. მინიმალური ვარგისიანობის ვადასთან ერთად შენახვის პირობები მიეთითება საჭიროების მიხედვით.

2014 წლის 13 დეკემბრიდან სავალდებულოა სურსათის გაყინვის (რამდენჯერმე გაყინული სურსათისთვის – პირველი გაყინვის) თარიღის მითითებაც. ეს თარიღი მითითებული უნდა იყოს ციფრულად და სრულად: დღე-თვე-რიცხვი (DD/MM/YYYY).

სურსათის წარმომავლობა

ზოგადად, სურსათის ეტიკეტზე სურსათის წარმოების ქვეყნის მითითება სავალდებულო არ არის. ევროპული კანონმდებლობა სურსათის წარმომავლობის მითითებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ითხოვს, თუკი მისი მიუთითებლობა მომხმარებელს შეცდომაში შეიყვანს (იხ. ქვემოთ გამონაკლისები). არსებითი აქ ის არის, რომ, თუკი სურსათის დასახელებამ ან ალწერამ, ან ეტიკეტის გაფორმებამ (მაგალითად ქვეყნის დროშის, გერბის ან სხვა სიმბოლოების, დამახასიათებელი ორნამენტის, ცნობილი ადგილის ან პერსონაჟის გამოსახულების გამოყენება), ან სურსათზე თანდართულმა სხვა ინფორმაციამ, მთლიანობაში,¹⁹⁵ შეიძლება მომხმარებელს შეუქმნას მცდარი წარმოდგენა სურსათის წარმომავლობის შესახებ, აუცილებელია ეტიკეტზე მკაფიოდ და გასაგებად იყოს მითითებული, თუ რეალურად რომელ ქვეყანაშია არის წარმოებული სურსათი.

აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: მიუხედავად იმისა, რომ სურსათის წარმომავლობის მითითება სავალდებულო არ არის, ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით სავალდებულოა იმ მეწარმის დასახელებისა და მისამართის მითითება, ვინც

195 1169/2011 რეგულაციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სურსათის წარმომავლის ქვეყნის ან ადგილის მითითება სავალდებულოა, თუკი ამის გარეშე მომხმარებელს სურსათის წარმომავლობაზე არასწორი წარმოდგენა შეექმნება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი მითითების გარეშე სურსათზე თანდართული ინფორმაცია ან ეტიკეტი, მთლიანობაში, სურსათის განსხვავებულ ადგილწარმოშობას გულისხმობს (ნათარგმნია ავტორის მიერ).

ამ პროდუქტზე პასუხს აგებს (იხ. დეტალურად ქვემოთ). მენარმის მისამართი, ცხადია, ქვეყანასაც მოიცავს. ამდენად, რომელიმე ქვეყანა პროდუქტზე მითითებული აუცილებლად იქნება (თუნდაც მენარმის მისამართში). ზემოთ მოყვანილი განმარტებიდან გასაგებია, რომ თუკი ეს ქვეყანა პროდუქტის წარმოშობის ქვეყანას არ ემთხვევა, მომხმარებელს სურსათის წარმოშობაზე მცდარი წარმოდგენა შეექმნება. ამდენად, ყველა ასეთ შემთხვევაში პროდუქტის წარმოშობის ქვეყნის მითითება აუცილებელია.

თუმცა თანამედროვე მსოფლიოში სურსათი ხშირად მხოლოდ ერთი ქვეყნის ნაწარმი არ არის. იბადება კითხვა: რა მიზნევა სურსათის წარმოშობის ქვეყნად (country of origin) იმ შემთხვევაში, თუკი სურსათის სხვადასხვა ინგრედიენტი სხვადასხვა ქვეყანაშია წარმოებული, ან თუ მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ერთ ქვეყანაში იქნა მოყვანილი და მეორეში – გადამუშავებული? აქ ზოგადი საერთაშორისო მიდგომა ასეთია: წარმოების ქვეყნად ითვლება ქვეყანა, სადაც სურსათმა საბოლოო პროდუქტის სახე მიღლო¹⁹⁶. თუმცა ევროკავშირის კენონმდებლობა აქ უფრო რთულ მოთხოვნას აყენებს: პროდუქტის წარმოშობის ქვეყნად ითვლება არა უბრალოდ ბოლო დამუშავების ქვეყანა, არამედ ის ქვეყანა, სადაც მოხდა ამ პროდუქტის ბოლო მნიშვნელოვანი, ეკონომიკურად გამართლებული გადამუშავება, ამისთვის აღჭურვილ შესაბამის საწარმოში, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი პროდუქტი ან განხორციელდა მისი წარმოების მნიშვნელოვანი სტადია¹⁹⁷. ამ განმარტების მიხედვით გასაგებია, რომ პროდუქტი, რომელიც შეიქმნა ერთ ქვეყანაში და უბრალოდ დაფასოვდა ან შეიფუთა მეორეში – ამ უკანასკნელში წარმოებულად ვერ ჩაითვლება. თუმცა, მაგალითად, თუკი ერთ ქვეყანაში მოყვანილი ბოსტნეული მეორეში დაკონსერვდა ან სხვა სურსათის შემადგენელი ნაწილი გახდა, საბოლოო პროდუქტის წარმოშობის ქვეყნად ეს მეორე ქვეყანა ჩაითვლება. ამავე დროს, მაგალითად, თაფლი, რომელიც ერთ ქვეყანაში მოგროვდა, მეორეში კი – ლამაზ ქილებში მოთავსდა და ეტიკეტებით შეიმკო, მაინც პირველი ქვეყნის თაფლია.

რამდენიმე ქვეყანაში წაწარმოები პროდუქტებისათვის 1169/2011 რეგულაციამ შემოიტანა დამატებითი მნიშვნელოვანი მოთხოვნა იმის

196 იხ. მაგალითად „კოდექს-ალიმენტარიუსის“ სტანდარტი შეფუთული სურსათის ეტიკეტირებისათვის, CODEX STAN 1-1985, პუნქტი 4.5.2,

197 1169/2011 რეგულაცია „წაწარმოების ქვეყანას“ არ განმარტავს, არამედ უთითებს ევროკავშირის საბაჟო კოდექსის (Council Regulation (EEC) No 2913/92 of 12 October 1992 establishing the Community Customs Code) 23-26-ე მუხლებში მოცემულ განმარტებას.

თაობაზე, რომ მომხმარებელს მიეწოდოს ინფორმაცია არა მხოლოდ საპოლოო გადამუშავების ქვეყნის, არამედ აგრეთვე ამ პროდუქტის ძირითადი ინგრედიენტის ნარმოშობის შესახებ. რეგულაციის მხედვით, თუკი მომხმარებელს აწვდიან ინფორმაციას პროდუქტის საპოლოო ნარმოშობის ქვეყნის თაობაზე, მას აგრეთვე უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ამ პროდუქტის ძირითადი ინგრედიენტის (primary ingredient) ნარმოშობის ქვეყნის თაობაზე (დაშვებულია აგრეთვე, უბრალოდ მიეთითოს, რომ ძირითადი ინგრედიენტის ნარმოშობის ქვეყანა პროდუქტის ნარმოშობის ქვეყნისგან განსხვავებულია, ინგრედიენტის ნარმოშობის ქვეყნის დაკონკრეტების გარეშე). ძირითად ინგრედიენტად მიიჩნევა ისეთი ინგრედიენტი, რომელიც ამ პროდუქტის 50%-ზე მეტს შეადგენს, ან რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება ამ დასახელების პროდუქტთან.

ამ საკითხში ევროპის კანონმდებლობის კიდევ ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ, გარდა პროდუქტის ნარმოშობის ქვეყნისა, ევროპა იცნობს აგრეთვე პროდუქტის ნარმომავლობის ადგილს (place of provenance). 1169/2011 რეგულაციის განმარტებით, ეს არის ნებისმიერი ადგილი, რომელსაც ამ პროდუქტის ნარმომავლობის თაობაზე პროდუქტის ეტიკეტი ან სხვა თანდართული ინფორმაცია უთითებს. ნარმომავლობის ადგილზე ვრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც ნარმოშობის ქვეყანაზე – მომხმარებელს არ უნდა შეექმნას მცდარი ნარმოდგენა მის შესახებ და თუკი მითითებულია პროდუქციის ნარმომავლობა, აგრეთვე უნდა მიეთითოს ძირითადი ინგრედიენტის ნარმომავლობაც, თუკი იგი განსხვავებულია (აგრეთვე დასაშვებია უბრალოდ მიეთითოს ფატი, რომ ძირითადი ინგრედიენტის ნარმომავლობა პროდუქტის ნარმომავლობისგან განსხვავდება).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში პროდუქტის დასახელებაში გეოგრაფიული მითითების უფლება შეიძლება მხოლოდ გარკვეული პირობებით ნარმოებული პროდუქტისთვის იყოს დაშვებული. ეს ეხება იმ დასახელებებს, რომელიც დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნად (Protected Geographical Indication, PGI) ან ნარმოშობის დაცულ აღნიშვნად (Protected Designation of Origin, PDO) არის რეგისტრირებული (იხ. დეტალურად ზემოთ).

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, სურსათის ნარმოშობის შესახებ ინფორმაციის მითითება სავალდებულო არ არის, რამდენიმე ტიპის სურსათისთვის ნარმოშობის მითითება ევროკავშირში სავალდებულოა. ეს პროდუქტებია: საქონლის ხორცი (ახალი და გაყინული, აგრეთვე ფარში), თევზი, კიბოსნაირები და მოლუსკები, ნედლი ხილი

და ბოსტნეული, თაფლი, ზეითუნის ზეთი, ფრინველის ხორცი (იმ-პორტული¹⁹⁸).

საქონლის ხორცთან დაკავშირებით ევროკავშირში მოქმედებს ეტიკეტირების სპეციალური სქემა, ე.წ. Beef labelling scheme¹⁹⁹, რომლის მიხედვითაც ძროხის ხორცზე, აგრეთვე დაჭრილ და დაკეპილ ხორცზე, მიეთითება არა მხოლოდ ის ქვეყანა, სადაც დამზადებულია საბოლოო პროდუქტი (მაგალითად, დაჭრილი ან გატარებული ხორცი), არამედ აგრეთვე ის ქვეყანა, სადაც დაიკლა ცხოველი და ის ქვეყნები, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა. ეს მითითებებია:

- დაიბადა (Born in). თუ ცხოველი დაიბადა, გაიზარდა და დაიკლა ერთ ქვეყანაში, მაშინ ეს ქვეყანა მიეთითება, როგორც ცხოველის წარმოშობის ქვეყანა (Origin). მიეთითება ცხოველის სარეგისტრაციო ნომერიც.
- გაზრდილია/გამოკვებილია/ნასუქია (Raised in/Rearred in/Fattened in)²⁰⁰.
- დაიკლა (Slaughtered in). მიეთითება სასაკლაოს სარეგისტრაციო ნომერიც.
- დაიჭრა (Cutting in). მიეთითება ტან-ხორცის დამამუშავებელი ქარხნის სარეგისტრაციო ნომერიც.
- დაიკება (Minced in) ან მომზადდა (Prepared in).

2014 წლის 13 დეკემბრიდან წარმოშობის ქვეყნის მითითება აგრეთვე სავალდებულო გახდება ღორის, ცხვრის, თხისა და თანამეგობრობაში იმპორტირებული ქამის ხორცის შემთხვევაში²⁰¹.

რაც შეეხება ხილსა და ბოსტნეულს, 543/2011 რეგულაციის²⁰² მიხედვით, ნედლი და გამომშრალი ხილითა და ბოსტნეულით ვაჭ-

198 543/2008 რეგულაცია წარმოშობის ქვეყნის მითითებას მხოლოდ ევროკავშირის გარეთ წარმოებული ფრინველისთვის ითხოვს.

199 ამჟამად ეს სქემა რეგულირდება 1760/2000 რეგულაციით (Regulation (EC) No 1760/2000 of the European Parliament and of the Council of 17 July 2000 establishing a system for the identification and registration of bovine animals and regarding the labelling of beef and beef products and repealing Council Regulation (EC) No 820/97) და 1825/2000 რეგულირდ (Commission Regulation (EC) No 1825/2000 of 25 August 2000 laying down detailed rules for the application of Regulation (EC) No 1760/2000 of the European Parliament and of the Council as regards the labelling of beef and beef products).

200 დასაცვებია არ მიეთითოს ქვეყანა, რომელშიც ცხოველი 30 დღეზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა.

201 1169/2011 რეგულაციის მე-11 დანართის მიხედვით.

202 Commission Implementing Regulation (EU) No 543/2011 of 7 June 2011 laying down detailed rules for the application of Council Regulation (EC) No 1234/2007 in respect of the fruit and vegetables and processed fruit and vegetables sectors.

რობისას დაცული უნდა იყოს ხილ-ბოსტნეულის ზოგადი მარკეტინგული სტანდარტი (იხ, დანართი 3). მისი ერთ-ერთი მოთხოვნაა არის იმ ქვეყნის აუცილებელი მითითება, სადაც ხილი და ბოსტნეული მოყვანილია. ანალოგიური მოთხოვნაა ჩამოყალიბებული 2001/110/EC დირექტივაში თაფლის მიმართ – აუცილებელია თაფლზე მიეთითოს ქვეყანა ან ქვეყნები, სადაც თაფლი მოგროვდა. თუ თაფლი რამდენიმე ქვეყანაში მოგროვილი თაფლის ნარევია, დასაშვებია ცალკეული ქვეყნების ჩამოთვლის ნაცვლად მიეთითოს, პროდუქტი ევროკავშირის ქვეყნების თაფლის ნარევია, ევროკავშირის გარე ქვეყნების, თუ ორივეს.

განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი, მაგალითად, ბუნებრივი მინერალური წყლების ან წყაროს წყლებისათვის. ამ პროდუქტების ეტიკეტზე აუცილებელია მიეთითოს არა მარტო წყაროს ადგილმდებარეობა, არამედ მისი დასახელებაც²⁰³. თუკი პროდუქტის აღწერილობაში (მარკეტინგული მიზნებისთვის) მოხსენიებულია სხვა ადგილი ან მინერალური წყალი, იმ წყაროსა და ადგილის მითითება, საიდანაც რეალურად მოპოვებულია წყალი, შესრულებული უნდა იყოს სულ ცოტა 1,5-ჯერ უფრო დიდი შრიფტით. მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, ერთი და იმავე წყაროდან მოპოვებული წყლის ორი სხვადასხვა სავაჭრო აღწერილობით გაყიდვა იკრძალება.

რაც შეეხება ზეითუნის ზეთს, როგორც ზემოთ აღვწერეთ, საცალო გაყიდვაში დაიშვება ოთხი სახის ზეითუნის ზეთი. აქედან ორზე: „ხელუხლებელ ზეითუნის ზეთზე“ და „ექსტრა ხელუხლებელ ზეითუნის ზეთზე“ წარმოშობის ქვეყნის მითითება სავალდებულოა. დანარჩენ ორზე: „ზეითუნის ზეთზე“ და „ზეთისხილის კოპტონის ზეთზე“ კი წარმოშობის ქვეყნის მითითება იკრძალება.²⁰⁴ „ხელუხლებელი ზეთის“ წარმოშობის მითითებისას, უნდა მიეთითოს არა მხოლოდ ის ქვეყანა, სადაც ზეთი გამოიწურა, არამედ ის ქვეყანაც, სადაც ზეთისხილი მოყვანეს, ასე: „ხელუხლებელი ზეითუნის ზეთი, გამოწურულია [ქვეყანა]-ში, [ქვეყანა]-ში მოყვანილი ზეთისხილის-გან“ (“virgin olive oil obtained in [country] from olives harvested in [country]”). დაიშვება კონკრეტული ქვეყნის მაგივრად მიეთითოს ევროკავშირის წევრი ქვეყანაა თუ არა.

203 2009/54/EC დირექტივის მიხედვით.

204 29/2012 რეგულაცია, მუხლი მე-4.

მენარმის დასახელება და მისამართი

ზოგადად, ისევე როგორც სურსათის წარმოშობის ქვეყნის შემთხვევაში, სურსათის მნარმოებლის მითითება ეტიკეტზე სავალდებულო არ არის. ევროპული კანონმდებლობა ითხოვს, რომ სურსათზე მითითებული იყოს ჩამოთვლილიდან რომელიმე: სურსათის მნარმოებელი, დამფასოებელი, იმპორტიორი, დისტრიბუტორი ან გამყიდველი²⁰⁵. არსებითად ეს არის პირი, რომელიც ამ სურსათზე პასუხსა ავებს (მათ შორის სურსათთან ერთად წარდგენილ ინფორმაციაზე). მითითებული უნდა იყოს ამ პირის დასახელება და მისამართი, სადაც შეიძლება მას ხელისუფლებამ ან მომხმარებელმა პრეტენზია წაუყენოს. ევროკავშირის შემთხვევაში ეს აუცილებლად უნდა იყოს მისამართი ევროკავშირის ტერიტორიაზე. ამდენად, თუკი პროდუქტზე მითითებულია ისეთი მენარმის სახელი, რომელსაც ევროკავშირში წარმომადგენლობა (მისამართი) არ აქვს, დამატებით აუცილებელია მიეთითოს ევროკავშირში არსებული ბიზნესოპერატორი (იმპორტიორი ან დისტრიბუტორი ან მოვაჭრე) და მისი მისამართი.

სხვა სავალდებულო ინფორმაცია

გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათი

სურსათის ეტიკეტირების მარეგულირებელი ძირითადი კანონმდებლობა სურსათის გენმოდიფიცირების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხს არ არეგულირებს. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების, სურსათში მათი გამოყენებისა და ასეთი სურსათის ეტიკეტირების საკითხი ცალკე ნორმატიული დოკუმენტებით რეგულირდება.

ეს რეგულირება დაიწყო 1990 წელს, როდესაც მიიღეს 220/90/EEC დირექტივა გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში გაშვების თაობაზე²⁰⁶. ამ დირექტივის მიხედვით, გენე-

205 2000/13/EEC დირექტივის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-7 ქვეპუნქტი.

206 Council Directive 90/220/EEC of 23 April 1990 on the deliberate release into the environment of genetically modified organisms. 2001 წლიდან იგი ჩაანაცვლა 2001/18/EC დირექტივამ (Directive 2001/18/EC of the European Parliament and of the Council of 12 March 2001 on the deliberate release into the environment of genetically modified organisms and repealing Council Directive 90/220/EEC).

ტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმისგან დამზადებული ან მისი შემცველი პროდუქტი ბაზარზე შეიძლება მხოლოდ საგანგებო ნებართვის საფუძველზე მოხვედრილიყო. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველი სურსათის ეტიკეტირების საკითხი კი 1997-1998 წლიდან დარეგულირდა²⁰⁷ – სავალდებულო გახდა ასეთ სურსათზე გენმოდიფიცირებული ორგანიზმის შემცველობის თაობაზე მითითების განთავსება. კერძოდ, პროდუქტზე უნდა გაკეთებულიყო წარწერა: „გენეტიკურად მოდიფიცირებული სოიო/სიმინდი“ ან შესაბამისი მითითება ინგრედიენტების ჩამონათვალში²⁰⁸. 2000 წელს 1139/98 რეგულაციას დაემატა მითითება გმო-კომპონენტის იმ ზღვრულ ოდენობაზე (1%)²⁰⁹, რომლის არსებობა კვალის სახით პროდუქტში ეტიკეტზე მითითების გარეშე დაიშვებოდა.

2003 წლიდან აღნიშნული საკითხი დარეგულირდა 1829/2003 რეგულაციით²¹⁰, რომელმაც გმო-სურსათთან დაკავშირებული წესები შეიცვალა. შეიცვალა როგორც ამ ორგანიზმების რეგისტრა-

207 სურსათზე გმო მითითების ვალდებულება პირველად დაწესდა „ახალი ტექნოლოგიებით მიღებული სურსათის“ შესახებ (novel food) 1997 წლის რეგულაციით (იხ. ქვემოთ). თუმცა, იმსა გამო, რომ რეგულაცია ვრცელდებოდა მხოლოდ იმ სურსათზე, რომელიც ბაზარზე მისა ამოქმედდებოდა შემდეგ შევიდოდა, მან ვერ მოიცავ 1996 წელს ევროპაში გამოსაყენებლად დაშვებული გენმოდიფიცირებული 40-3-2 (MON-04032-6) სოიო და BT176 (SYN-EV176-9) სიმინდა. ამიტომ 1998 წელს გამოიცა რეგულაცია, რომელმაც კონკრეტულად ამ ორი ორგანიზმისგან დამზადებული პროდუქციის ეტიკეტირების საკითხი მიაგვარა: Council Regulation (EC) No 1139/98 of 26 May 1998 concerning the compulsory indication of the labelling of certain foodstuffs produced from genetically modified organisms of particulars other than those provided for in Directive 79/112/EEC. 2001 წლის 17 აპრილიდან იგი ჩანაცვლა 2001/18/EC დირექტივამ (Directive 2001/18/EC of the European Parliament and of the Council of 12 March 2001 on the deliberate release into the environment of genetically modified organisms and repealing Council Directive 90/220/EEC).

208 დაშვებული იყო აგრეთვე წარწერა „წარმოუბულია გენეტიკურად მოდიფიცირებული სიოოსგან/სიმინდისგან“, თუმცა ამ წარწერას არ ჰქონიდა ის შინაარსი, რაც შემდგომ მას 1829/2003 რეგულაციამ მიანიჭა (იხ. ქვემოთ), ვინაიდა 1998 წლის რეგულაცია ვრცელდებოდა მხოლოდ ისეთ პროდუქტებზე, რომელიც რეალურად შეიცვალა გენეტიკურად სახეცვლილ დნმ-ს ან ცილას.

209 გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველობა პროდუქტში/მასალაში იანგარიშება როგორც გენეტიკურად მოდიფიცირებული დნმ მოლეკულათა რაოდენობის (GM-DNA copy number) შეფარდება, კონკრეტული სახეობის (ტაქსონის) მახასიათებელი დნმ მოლეკულათა რაოდენობისთან (taxon specific DNA copy number), ჰაპლოიდურ გენომზე გადანგრიშებით - ევროკომისის რეკომენდაცია 2004/787/EC (Commission Recommendation of 4 October 2004 on technical guidance for sampling and detection of genetically modified organisms and material produced from genetically modified organisms as or in products in the context of Regulation (EC) No 1830/2003), სექცია V, პუნქტი მე-4.

210 Regulation (EC) No 1829/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 on genetically modified food and feed.

ციის პროცედურა²¹¹, ასევე ეტიკეტირების წესები. კერძოდ, 2003 წლის რეგულაციით გმო-მითითების ვალდებულება გავრცელდა არა მხოლოდ გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგან წარმოებულ პროდუქტებზე²¹². არსებითი აქ ის არის, რომ გმო-წარმოობული პროდუქტი შესაძლოა არ შეიცავდეს გენეტიკურად მოდიფიცირებულ მოლეკულებს (დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას ან ცილას), რაც მის გმო-წარმომავლობის ლაბორატორიულად გამოვლენას შეუძლებელს ხდის. მიუხედავად ამისა, რეგულაციის მოთხოვნით, ამ პროდუქტს გმო-წარწერა მარც უნდა ჰქონდეს! ჩნდება კითხვა: – როგორ უნდა მოხდეს ამ პროდუქტების იდენტიფიცირება? ამისათვის 2003 წელსვე გამოიცა ცალკე რეგულაცია²¹⁴, რომლითაც ჩამოყალიბდა სპეციალ-

211 თუკი ადრე რეგისტრაცია დაინტერესებული პირის მიერ წევრი-მთავრობებისადმი მიმართვის და შემდგომ ამ უკანასკნელთა მიერ საკითხის ევროსტრუქტურებში „გატანის“ საშუალებით ხდებოდა, 2003 წლის მერე პროცედურა უფრო ერთგვაროვანი და ფორმალიზებულია: დაინტერესებულ პირს განცხადება შეკვეს ევროკომისიაში, გენმოდიფიცირებულ ორგანიზმთან დაკავშირებულ რისკებს იხილავს რისკების შეფასების სპეციალიზებული ევროკული ინსტიტუტი - ევროპის სურვალის უზნებლობის უწყება (European Food Safety Authority, ამ ინსტიტუტის ყველა დასკვნა ლია და ხელმისაწვდომია ვებ-ვერდზე <http://www.efsa.europa.eu/>). გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე მიღება სწორედ ამ შეფასების საფუძველზე, ევროკომისის სასურსათო ჯაჭვისა და ცხოველის ჯანმრთელობის კომიტეტის (Committee on the Food Chain and Animal Health) ფარგლებში.

212 გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი განმარტებულია 2001/18/EC დირექტივიში (მუხლი მე-2, პუნქტი მე-2) და აღნიშნავს ორგანიზმს, რომელიც გენეტიკური მასალა შეცვლილია და ეს ცვლილება არ შეიძლება, იყოთ შეჯავარების ან რეკომბინაციის შედეგი. მუტაგენეზის შედეგად მიღებული ორგანიზმები, ან მცვენარების უჯრედების შეწყვის შედეგად მიღებული ისეთი ორგანიზმები, რომელთა შორის გენეტიკური მასალის გაცვლა ტრადიციული სელექციის დროსაც არის შესაძლებელი, გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებად არ მიჩნევა (დანართი I B). გენეტიკურად მოდიფიცირების საშუალებებად მიჩნევა შემდეგი: 1) რეკომბინანტი წუკლეინის მჟავების მიღების მეთოდი, რომელიც მოიცავს ახალ გენეტიკური კომბინაციის/მასალის მიღებას ირგანიზმის გარეთ სინთეზირებული წუკლეინის მჟავების ვირუში, ბაქტერიულ პლაზმიდში ან სხვა გადამტკანიში შეცვლის და შემდგომ მასპინძელ როგორიზმი გადატანის გზით, რომელშიც ეს მასალა ბუნებრივი გზით არ წარმოშობილია და რომელშიც ამ მასალას განგრძობადი გამრავლების უნარი აქვა; 2) მეთოდები, რომელიც მოიცავს ორგანიზმის გარეთ სინთეზირებული გენეტიკური მასალის უშაულო შეკვანის ორგანიზმი ინჟექციის ან ინკასულირების საშუალებით; 3) უჯრედების შეწყვეტა ან ჰიბრიდიზაცია (მათ შორის პროტოპლაზტების შერწყმა), რომლის შედეგადც წარმოიქმნება ცოცხალი უჯრედები გენეტიკური მასალის ახალი კომბინაციით, ისეთი საშუალებებით, რაც ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია (დანართი IA).

213 1829/2003 რეგულაციით გმო-ეტიკეტირებას დაემორჩილა არა მხოლოდ სურსათი, არამედ ცხოველთა საკვებიც.

214 Regulation (EC) No 1830/2003 of the European Parliament and of the Council of 22 September 2003 concerning the traceability and labelling of genetically modified organisms

ური გმო-მიკვლევადობის სისტემა, რომლის მიხედვითაც, ინფორმაცია გმო-წარმომავლობის (და მისი შემცველობის) თაობაზე თან სდევს როგორც პირველად, ასევე ყველა შუალედურ პროდუქტს, რაც საშუალებას აძლევს საბოლოო სურსათის მწარმოებელს, ეტიკეტზე შესაბამისი ინფორმაცია სწორად მიუჰთოთ.

არსებითია, თუ როგორ განიმარტება „გენმოდიფიცირებული ორგანიზმისგან მიღებული პროდუქტი“. რეგულაციაში ხაზგასმულია, რომ იგულისხმება გმო-სგან მიღებული (from GMO) და არა გმო-ს საშუალებით ან დახმარებით მიღებული (with GMO) პროდუქტები. ანუ, თუკი, მაგალითად, გმო-მასალა პროდუქტის წარმოებისას გამოყენებულია გამხსნელად (carriers²¹⁵) ან თუკი სურსათი წარმოებულია ცხოველისგან, რომელსაც გმო-საკვებით კვებავდნენ, ასეთი სურსათის ეტიკეტზე გმო-მითითება საჭირო არ არის²¹⁶.

საბოლოოდ, ევროკავშირში დღეს მოქმედი წესები გმო-ეტიკეტირებასთან დაკავშირებით ასეთია²¹⁷: სურსათი, რომელიც მომხმარებელს მიეწოდება და რომელიც შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმს, ან წარმოებულია ასეთი ორგანიზმისგან, ან შეიცავს ინგრედიენტს, რომელიც ასეთი ორგანიზმისგან წარმოებულია, უნდა იყოს ეტიკეტირებული იმგვარად, რომ მეტად ჩანდეს მითითება: „გენეტიკურად მოდიფიცირებულია“ ან „წარმოებულია/დამზადებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული (ორგანიზმის დასახელება)-სგან“. ეს მითითება შესაძლებელია გაკეთდეს არა ზოგადად პროდუქტის, არამედ კონკრეტულ ინგრედიენტთან მიმართებაში, ინგრედიენტების ჩამონათვალში. ამისათვის ინგრედიენტების ჩამონათვალში, შესაბამისი ინგრედიენტის დასახელების შემდეგ, ფრჩხილებში ან სქოლიოში (იმავე ზომის ასოებით, რომელიც ინგრედიენტების მითითებისთვის გამოიყენება), უნდა მიეთითოს: „გენეტიკურად მოდიფიცირებული“ ან „წარმოებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული [პროდუქტის/ინგრედიენტის დასახელება]-სგან“. თუკი ინგრედიენტი მოხსენიებულია ზოგადი კატეგორიის

and the traceability of food and feed products produced from genetically modified organisms and amending Directive 2001/18/EC. მიკვლევადობის სისტემა ამოქმედდა 2004 წლის 18 აპრილიდან.

215 გამხსნელების/განმაზავებლების თაობაზე უფრო დეტალურად იხ. ამ სერიის პუბლიკაცია სურსათის რეგულირება ევროკავშირში: „სურსათის (არასაკვები) დანამატები“, <http://momxmarebeli.ge/images/file-064657.pdf>.

216 ეს მაგალითები მოყვანილია თავად 1929/2003 რეგულაციაში (პრამბულის მე-16 პუნქტი).

217 რეგულაცია 1829/2003, მუხლი მე-13, პუნქტი 1-ლის მიხედვით.

დასახელებით (იხ. ზემოთ), აუცილებელია კონკრეტული გმო-ორგანიზმის ტიპის მითითებაც, ასე: „შეიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ [ორგანიზმის დასახელება]-ს“ ან „შეიცავს [ინგრედიენტის დასახელება]-ს რომელიც დამზადებულია/წარმოებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული [ორგანიზმის დასახელება]-სგან“. მაგალითად, ასე:

„შეიცავს ლეციტინს, რომელიც დამზადებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული სოიოსგან“.

თუკი სურსათი იყიდება შეფუთვის გარეშე ან 10 სმ²-ზე მცირე ზედაპირის მქონე შეფუთვით, აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს სურსათის წარდგენის ადგილას ან შეფუთვაზე. წარწერა უნდა იყოს შესამჩნევი და წაკითხვადი.

გმო-წარწერა საჭირო არ არის, თუკი გმო-ს ან გმო-სგან წარმოებული მასალის შემცველობა პროდუქტში ან მის ინგრედიენტში არ აღემატება 0,9%-ს და თუკი ამ შემცველობის თავიდან აცილება ტექნიკურად შეუძლებელი იყო (ბიზნეს-ოპერატორს უნდა შეეძლოს ამ ფაქტის დამტკიცება) ან იგი შემთხვევითობის შედეგს წარმოადგენს²¹⁸.

გარდა აღნერილი მოთხოვნებისა, რეგულაცია გმო-პროდუქტებს უყენებს იმავე მოთხოვნებს, რაც, ზოგადად, „ახალი ტექნოლოგიებით მიღებული სურსათისთვის“ (novel food) არის დადგენილი (იხ. ქვე-მოთ). კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი სურსათი განსხვავდება არა-გმო ანალოგისგან შემადგენლობით, კვებითი ღირებულებით, დანიშნულებით, ან მოსახლეობის ცალკეული ჯაფუტების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ან, თუკი ამ სურსათის გამოყენება შეიძლება დაკავშირებული იყოს ეთიკურ ან რელიგიურ დაბრკოლებებთან – ეს ინფორმაცია სურსათის ეტიკეტზე უნდა მიეთითოს²¹⁹. ცხადია, ამ ინფორმაციას სურსათის მწარმოებელი თავისი კერძო მოსაზრებების საფუძველზე არ „თხზავს“ – ეს ინფორმაცია დაინტერესებულ პირს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმის რეგისტრირებისას მოეთხოვება და ეტიკეტზე ამ ინფორმაციის შემცველი

218 მითითება „შესაძლოა შეიცავდეს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმს“ დაშვებული არ არის. თუ ასეთი შემცველობის აღბათობა არსებობს, მენარმებმტკიცებითი ფორმით უნდა მიუთითოს, რომ პროდუქტი/ინგრედიენტი გენეტიკურად მოდიფიცირებულია, ან დამზადებულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმისგან. ამავე დროს, თუკი გმო-შემცველობა არ დადასტურდა (ან დადგენილ 0,9% ზღვარზე დაბალი აღმოჩნდა), მენარმის პასუხისმგებლობა არ დგება [9].

219 რეგულაცია 1829/2003, მუხლი მე-13, პუნქტი მე-2.

კონკრეტული ტექსტის მითითების ვალდებულება რეგისტრაციის პირობებში ფიქსირდება. ამჯერად ევროკავშირში რეგისტრირებულ გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს²²⁰ შორის ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი, რომელსაც ასეთი ინფორმაციის მითითების პირობა ჰქონდეს დადგენილი.

ახალი ტექნოლოგიებით მიღებული სურსათი (Novel foods)

ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნებია დადგენილი ე.წ. ახალი ტექნოლოგიებით მიღებული სურსათისთვის. ეს ცნება ევროკავშირის კანონმდებლობაში 1997 წლიდან გაჩნდა, როდესაც დამტკიცდა 258/97 რეგულაცია ახალი ტექნოლოგიებით მიღებული სურსათის თაობაზე²²¹. თავდაპირველად რეგულაცია ეხებოდა გენ-მოდიფიცირებულ ორგანიზმებსაც. დღეს მოქმედი ვერსიით, იგი ეხება მხოლოდ შემდეგი ტიპის პროდუქტებს:

- სურსათს/ინგრედიენტებს, რომლის პირველადი მოლეკულური სტრუქტურა მოდიფიცირებულია;
- სურსათს/ინგრედიენტებს, რომელიც შედგება ან მიღებულია მიკროორგანიზმებისგან, სოკონისგან ან წყალმცენარეების-გან;
- სურსათს/ინგრედიენტებს, რომელიც შედგება/მიღებულია მცენარეებისგან ან ცხოველებისგან, გარდა იმ სურსათისა/ინგრედიენტებისა, რომელიც მიღებულია გამრავლებისა და გამოყვანის ტრადიციული მეთოდებით და გააჩნია სურსათად უსაფრთხო გამოყენების ისტორია.
- სურსათს/ინგრედიენტებს, რომელიც მიღებულია ახალი (ადრე გამოუყენებული²²²) ტექნოლოგიური პროცესების საშუალებით, რომელიც იწვევს სურსათის/ინგრედიენტის შემადგენლობის ან სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებას, რაც მოქმედებს მათ კვებით ღირებულებაზე, მეტაბოლიზმზე ან მათში არასასურველი ნივთიერებების შემცველობაზე.

220 ევროკავშირში რეგისტრირებული გმო-ორგანიზმების ბაზა ხელმისაწვდომია მისამართებზე http://ec.europa.eu/food/dyna/gm-register/index_en.cfm და <http://gmo-compass.org/>. მსოფლიოს მასშტაბით რეგისტრირებული გმო-ორგანიზმების საინფორმაციო ბაზებია: <http://bch.cbd.int/database/organisms/> და <http://www.fao.org/food-food-safety-quality/gm-foods-platform/browse-information-by/commodity/en/>.

221 Regulation (EC) No 258/97 of the European Parliament and of the Council of 27 January 1997 concerning novel foods and novel food ingredients.

222 იგულისხმება რეგულაციის ამოქმედების თარიღი, 1997 წლის 14 მაისი.

რეგულაციის მიხედვით, ყველა აღნიშნული ტიპის პროდუქტ-მა, ბაზარზე პირველ მოხვედრამდე, ავტორიზაცია უნდა გაიაროს. ამისთვის იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- არ უქმნიდეს საფრთხეს მომხმარებელს;
- არ შეჰყავდეს მომხმარებელი შეცდომაში;
- არ განსხვავდებოდეს იმ სურსათისგან/ინგრედიენტების-გან, რომელსაც იგი ჩაანაცვლებს, იმგვარად, რომ მათი მოხმარება იწვევდეს მომხმარებლის დაზარალებას, კვებითი ღირებულების თვალსაზრისით.

ავტორიზაცია გაიცემა ევროკომისის მიერ, დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის საფუძველზე²²³, აღმასრულებელი გადაწყვეტილების სახით. ამჟამად გაცემულია 58 ასეთი რეგისტრაცია და 3 უარი რეგისტრაციაზე²²⁴. რეგისტრირებული სურსათის/ინგრედიენტების მაგალითებია: კვერცხის გულის ფოსფოლიპიდები, ყვითელი ცხიმების სპრედი ფიტოქროლესტეროლის ეთერების დამატებით, ქინდის თესლის ზეთი, მამლის ბიბილოს ექსტრაქტი, იონჯას ფოთლის ექსტრაქტი, ესპანური სალბის (*Salvia hispanica*) თესლი, პომიდვრისგან მიღებული ლიკოპინი, დაბალენერგეტიკული ცხიმი „სალატრიმი“ (*salatrim*) და სხვა.

258/97 რეგულაცია ადგენს განსაკუთრებულ მოთხოვნებს ამ სურსათის/ინგრედიენტების ეტიკეტირებისადმიც. კერძოდ, იგი ითხოვს, რომ მომხმარებელი ინფორმირებული იყოს:

- სურსათის ისეთ მახსასათებლებზე, რომელიც განსახვავებს²²⁵ ამ სურსათს/ინგრედიენტს არსებული მსგავსი სურსათის-გან/ინგრედიენტისგან, თუკი ეს დაკავშირებულია სურსათის შემადგენლობასთან, კვებით ღირებულებასა ან კვებით ეფექტთან, ან დანიშნულებასთან.

223 დოკუმენტები ეგზავნება თანამეგობრობის ყველა წევრ-მთავრობას, მათ განხილავს ევროკომისის სასურსათო ჯაჭვისა და ცხოველთა ჯანმრთელობის კომიტეტი. პრაქტიკული, ევროკომისა აგრეთვე ითხოვს სურსათის უვნებლობის ევროპული უწყების მოსაზრებას.

224 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-მისამართზე <http://ec.europa.eu/food/food/biotechnology/novelfood/authorisations-en.htm>, თუმცა ნაშრომის მომზადების მომენტისთვის ამ ბაზაზი ჯერ არ იყო დამატებული ინფორმაცია 2013-2014 წლებში გაცემული ავტორიზაციების თაობაზე.

225 რეგულაციის მიხედვით, ახალი სურსათი მიიჩნევა ჩვეულებრივა სურსათის-გან „განსახვავებულად“ (no longer equivalent), თუკი სამეცნიერო შეფასების საფუძველზე ნაჩვენები იქნება, რომ ამ პროდუქტებს შორის განსახვება შესაბამისი მახსასათებლის ჩვეული ვარიაციის ფარგლებში არ ჯდება (258/97 რეგულაცია, მუხლი 8, პუნქტი 1-ლი, ქვეპუნქტი „ა“).

- ამ ახალ სურსათში/ინგრედიენტში ისეთი მასალის არსებობის თაობაზე, რომელიც ჩვეულებრივ (მსგავს) სურსათში არ არის და რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ჯანმრთელობაზე ან დაკავშირებული იყოს ეთიკურ პრობლემებთან.

ასეთი მოთხოვნების შესრულება, ცხადია, იოლი არ არის. თუმცა სიტუაციას ამარტივებს ის გარემოება, რომ ეს ინფორმაცია კონკრეტულად მითითებულია ამ ახალი სურსათის ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში. გარდა ამისა, ავტორიზაციაში, როგორც წესი მითითებულია ისიც, თუ რა დასახელებით უნდა გაიყიდოს პროდუქტი.

მაგალითად, ზემოთ მოხსენიებული პროდუქტის „ყვითელი ცხიმების სპრედი ფიტოქოლესტეროლის ეთერების დამატებით“ ავტორიზაციის გადაწყვეტილებაში²²⁶ მითითებულია, რომ იგი უნდა გაიყიდოს დასახელებით „მარგარინი (ან მცენარეული ცხიმების სპრედი) მცენარეული სტეროლების ეთერებით“ (კონკრეტული მცენარეების მითითებით, რომელთა სტეროლების ეთერსაც შეიცავს პროდუქტი). და აქვე აღნერილია ის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აგრეთვე უნდა განთავსდეს ეტიკეტზე. კერძოდ, პროდუქტის ეტიკეტზე უნდა იყოს მითითება იმის თაობაზე, რომ პროდუქტი განკუთვნილია ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ სისხლში ქოლესტერინის დონის დაწევა; უნდა იყოს მითითება, რომ ადამიანებმა, რომელებიც ქოლესტერინის დამწევ წამლებს იღებენ, ეს პროდუქტი მხოლოდ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ უნდა მოხმარონ; გარდა ამისა, პროდუქტის ეტიკეტზე უნდა იყოს მკაფიო და შესამჩნევი წარწერა იმის თაობაზე, რომ პროდუქტი შესაძლოა არ იყოს სასარგებლო მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისთვის (ორსული ქალებისთვის, მექუდური დედებისა და მცირენლოვანი ბავშვებისთვის); პროდუქტზე უნდა განთავსდეს რჩევა იმის თაობაზე, რომ იგი გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ჯანსაღი დიეტის ფონზე, რომელიც ხილისა და ბოსტნეულის რეგულარულ მოხმარებას მოიცავს (კაროტინოდების დონის შესანარჩუნებლად).

სხვა პროდუქტის – „დაბალკალორიული ცხიმის (salartimis)“ ავტორიზაციის გადაწყვეტილებში მითითებულია, რომ როგორც თავად ამ პროდუქტის, ასევე მისი შემცველი პროდუქტის ეტიკეტზე

226 2000/500/EC: Commission Decision of 24 July 2000 on authorising the placing on the market of ‘yellow fat spreads with added phytosterol esters’ as a novel food or novel food ingredient under Regulation (EC) No 258/97 of the European Parliament and of the Council.

აუცილებელია გაკეთდეს მითითება იმის თაობაზე, რომ ჭარბმა მოხმარებამ შესაძლოა გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავის გაღიზიანება და რომ პროდუქტი არ არის განკუთვნილი ბავშვებისთვის²²⁷.

ამავე დროს, მაგალითად, მამლის ბიბილოს ექსტრაქტის, ან ქინძის თესლის ზეთის თაობაზე ეტიკეტზე საკმარისია განთავსდეს მხოლოდ მათი დასახელება – „მამლის ბიბილოს ექსტრაქტი“²²⁸ და „ქინძის თესლის ზეთი“²²⁹ შესაბამისად, – და არავითარი სხვა დამატებითი ინფორმაციის მითითება (258/97 რეგულაციის ფარგლებში) სავალდებულო აღარ არის.

სხვა სავალდებულო მითითებები

გარდა ზემოთ აღნიერილისა, ზოგიერთი სურსათის ეტიკეტზე უნდა განთავსეს შემდეგი დამატებითი სავალდებულო ინფორმაცია:

- რძის ფხვნილის შეფუთვაზე უნდა მიეთითოს „არ არის განკუთვნილი 12 თვემდე ბავშვთა კვებისთვის“ (not intended as a food for infants under 12 months);²³⁰
- თუ პროდუქტი მომზადებულია ნედლი რძისგან (თერმული დამუშავების გარეშე) ან ხსენისგან, ეს შეფუთვაზე გარკვევით უნდა იყოს მითითებული. უნდა იყოს წარწერა: „დამზადებულია ნედლი რძისგან“ (made with raw milk) და „დამზადებულია ხსენისგან (made with colostrum), შესაბამისად²³¹;“
- ბავშვთა კვების პროდუქტებზე უნდა განთავსდეს შემდეგი მითითებები²³²:
 - გამოყენების ინსტრუქცია²³³ და მითითება იმის თაო-

227 2003/867/EC: Commission Decision of 1 December 2003 authorising the placing on the market of salatrimis as novel food ingredients under Regulation (EC) No 258/97 of the European Parliament and of the Council.

228 2013/705/EU: Commission Implementing Decision of 29 November 2013 authorising the placing on the market of rooster comb extract as a novel food ingredient under Regulation (EC) No 258/97 of the European Parliament and of the Council.

229 2014/155/EU: Commission Implementing Decision of 19 March 2014 authorising the placing on the market of coriander seed oil as a novel food ingredient under Regulation (EC) No 258/97 of the European Parliament and of the Council.

230 2001/114/EC და 2006/125/EC დირექტივების მიხედვით (იხ. ზემოთ).

231 853/2004 რეგულაციის მიხედვით (იხ. ზემოთ).

232 2006/141/EC დირექტივის მიხედვით.

233 დედის რძის შემცვლელ ფხვნილებზე აგრეთვე უნდა განთავსდეს შენახვისა

- ბაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი დაცვა. infant formula-ს შეფუთვაზე – მითითება იმის თაო-ბაზე, რომ პროდუქტი გამოსადეგია ჩვილ ბავშვთა-თვის დედის რძის ჩასანაცვლებლად (ნებისმიერ სხვა პროდუქტებზე ასეთი მითითების გაკეთება იკრძა-ლება!). აქვე უნდა განთავსდეს განმარტება სათაუ-რით: „მნიშვნელოვანი ინფორმაცია“, სადაც აღნიშ-ნული იქნება ძუძუთი კვების სარგებლობა და რჩევა, რომ პროდუქტი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პრო-ცესიონალის რჩევის საფუძველზე.
- follow-on formula-ზე – მითითებები იმის თაობაზე, რომ პროდუქტი განკუთვნილია 6 თვეზე მეტი ასაკის ბავშვებისთვის; ის არ არის გამოსადეგი დედის რძის ჩასანაცვლებლად 6 თვემდე ასაკის ჩვილებისთვის; პროდუქტი არ შეიძლება იყოს ბავშვის ერთადერთი საკვები, არამედ უნდა წარმოადგენდეს მრავალ-ფეროვანი დიეტის ნაწილს. ტიკეტზე აგრეთვე უნდა განთავსდეს დამატებითი განმარტება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა დამ-ატებითი საკვები უნდა მიიღოს ჩვილმა და ზუსტად რა ასაკიდან, კონკრეტული ბავშვის განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი კვალიფი-კაციის სპეციალისტის მიერ უნდა იქნეს მიღებული.
- ბავშვთა კვების სხვა პროდუქტებზე სავალდებულოა მიეთითოს ბავშვის ასაკი, რომლიდანაც შეიძლება ამ პროდუქტის მიღება. თუ ეს ასაკი 6 თვეზე ნა-კლებია²³⁴, აგრეთვე უნდა მიეთითოს ინფორმაცია პროდუქტში გლუტენის არსებობის შესახებ.
- წონის დასაკლები ჩამნაცვლებელი დიეტის პროდუქტებზე უნდა მიეთითოს:²³⁵
 - გამოყენების ინსტრუქცია და მითითება იმის თაო-ბაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი დაცვა.
 - განაცხადი სითხის ადეკვატური რაოდენობით მიღების მნიშვნელობის თაობაზე;
 - თუ სურსათი შეიცავს პოლიოლებს ისეთი ოდენო-

და განადგურების ინსტრუქცია და განმარტება, თუ რა ზიანს მოუტანს ჯანმრთელო-ბას ამ წესების დარღვევას.

²³⁴ 4 თვეზე ნაკლები ასაკის მითითება ამ პროდუქტებზე იკრძალება.

²³⁵ 96/8/EC დირექტივის მიხედვით.

- ბით, რომ მათი დღიური მიღება 20 გრამს აღემატება – ეტიკეტზე უნდა იყოს გაფრთხილება ფალარათის შესაძლო გამოწვევის თაობაზე;
- დიეტის სრული ჩანაცვლების შემთხვევაში – მითითება იმის თაობაზე, რომ პროდუქტი უზრუნველყოფს ადამიანისათვის დღიურად აუცილებელ ყველა ნუ-ტრიენტს და რომ ამ პროდუქტის მიღება 3 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ექიმის რჩევის გარეშე არ შეიძლება.
 - ცალკეული ჩამნაცვლებელი კერძის შემთხვევაში – მითითება იმის თაობაზე, რომ პროდუქტი წარმოადგენს დაბალენერგეტიკული დიეტის მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და ამ დიეტის შემადგენლობაში სხვა პროდუქტებიც უნდა შედიოდეს.
 - სპეციალური სამკურნალო ან რაიმე დაავადებით განპირობებული დიეტისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე უნდა მიეთითოს:²³⁶
 - სათაურით „მნიშვნელოვანი განაცხადი“:
 - » პროდუქტი გამოყენებული უნდა იყოს ექიმის დაკვირვების ქვეშ;
 - » პროდუქტი გამოსადეგია კვების ერთადერთ წყაროდ;
 - » ასაკოვანი ჯგუფი, რომლისთვისაც განკუთვნილია – თუ პროდუქტი შეზღუდული ჯგუფისთვისაა განკუთვნილი;
 - » რა საშიშროებას წარმოადგენს პროდუქტის მოხმარება ჯანსაღი ადამიანებისთვის;
 - მითითება იმის თაობაზე, რომ პროდუქტი არ უნდა იქნეს გამოყენებული პარეტნერალურად²³⁷;
 - მოხმარების და შენახვის ინსტუქცია;
 - სიფრთხილის რა ზომები უნდა იყოს დაცული პროდუქტის მიღებისას;
 - იმ სურსათზე, რომელიც მოიხმარება, როგორც დამატებითი ვიტამინებისა და მინერალების წყარო კვების ნორმალური რაციონის პირობებში (Food supplements), უნდა მიეთითოს:²³⁸

236 1999/21/EC დირექტივის მიხედვით.

237 საკვები ნივთიერებების შევევანა ორგანიზმი ვენოზური სისხლძარღვების საშუალებით.

238 2002/46/EC დირექტივის მიხედვით.

- პროდუქტის რა რაოდენობაა რეკომენდებული დღის განმავლობაში მისაღებად;
- გაფრთხილება რეკომენდებული დოზის გადაჭარ-ბების წინააღმდეგ;
- პროდუქტი არ უნდა იყოს გამოყენებული მრავალ-ფეროვანი რაციონის ჩასანაცვლებლად;
- პროდუქტი ბავშვებისათვის ხელმიუნვდომლად უნდა იყოს შენახული;
- კვერცხის შეფუთვაზე უნდა განთავსდეს შემდეგი ინფორმა-ცია²³⁹:
- მითითება იმის თაობაზე, თუ რა პირობებში მყოფი ქათმებისგან არის კვერცხი მიღებული. ეს შეიძლება იყოს: „ლია ფერმის ქათმებისგან“ (Free-range eggs), „დახურული ფერმის ქათმებისგან“ (barn eggs), „გალიებში მყოფი ქათმებისგან“ (Eggs from caged hens), „გაუმჯობესებულ გალიებში მყოფი ქათმები-სგან“ (Enriched cages) მიღეული კვერცხები ან ორგანული (ბიოლოგიური/ეკოლოგიური) მეურნეობაში წარმოებული კვერცხები. დეტალური მოთხოვნები ქათმების მოშენების მითითებული სისტემებისთვის 1999/74/EC დირექტივით²⁴⁰ არის განვითარებული.²⁴¹
- რჩევა მომხმარებლისთვის, შეძენილი კვერცხი სიგ-რილეში შეინახონ;
- თუ კვერცხი გარეცხილია, ეს უნდა მიეთითოს.²⁴²
- საცალო ვაჭრობის ქსელში გატანილ ზეითუნის ზეთის შეფუთ-ვა/ეტიკეტი უნდა შეიცავდეს შემდეგ განმარტებებს²⁴³:
 - „ხელუხლებელი ზეითუნის ზეთი ექსტრას“ (Extra Virgin olive oil) შემთხვევაში: „უმაღლესი ხარისხის ზეითუნის ზეთი, მიღებულია უშუალოდ ზეთისხ-ილისგან, მხოლოდ მექანიკური საშუალებების გამო-

239 589/2008 რეგულაციის მე-12 მუხლის მიხედვით (იხ. ზემოთ).

240 Council Directive 1999/74/EC of 19 July 1999 laying down minimum standards for the protection of laying hens.

241 ორგანული მეურნეობის და შესაბამისი მითითებების თაობაზე კი იხ. ქვე-მოთ.

242 ზოგადად გასაყიდი კვერცხის გარეცხვა ან განმენდა იკრძალება. გამონაკლის შემთხვევებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ კვერცხის რეცხვა თავის ტერიტორიაზე დაუშვან, თუმცა სხვა ქვეყნებში ასეთი კვერცხი ვერ გავა (589/2008 რეგულაციის მე-3 მუხლი).

243 29/2012 რეგულაციის მიხედვით (იხ. ზემოთ).

- ყენებით“ (superior category olive oil obtained directly from olives and solely by mechanical means);
- „ხელუხლებელი ზეითუნის ზეთის“ (Virgin olive oil) შემთხვევაში: „ზეითუნის ზეთი მიღებულია უშუალოდ ზეთისხილისგან, მხოლოდ მექანიკური საშუალებების გამოყენებით“ (olive oil obtained directly from olives and solely by mechanical means);
 - „ზეითუნის ზეთის“ (Olive oil) შემთხვევაში: „ზეთი შედგება მხოლოდ რაფინირებული ზეითუნის ზეთისა და უშუალოდ ზეთისხილისგან მიღებული ზეთისგან“ (oil comprising exclusively olive oils that have undergone refining and oils obtained directly from olives);
 - „ზეთისხილის კოპტონის ზეთის“ (Olive-pomace oil) შემთხვევაში: „ზეთი შედგება მხოლოდ ზეთისხილის კოპტონის დამუშავების შედეგად მიღებული ზეთისა და უშუალოდ ზეთისხილისგან მიღებული ზეთისგან“ (oil comprising exclusively oils obtained by processing olive pomace and oils obtained directly from olives)²⁴⁴.
- თუ სურსათის შეფერი შეიცავს ე.ნ. „შესაფერი აირებს“²⁴⁵ (packaging gases), რომელიც მის ვარგისიანობის ვადას ზრდის, ეტიკეტზე უნდა მიეთითოს: „მოთავსებულია დამცავ ატმოსფეროში“ (packaged in a protective atmosphere);
 - თუ სურსათი შეიცავს ასპარტამს (E951) ან ასპარტამისა და აცესულფამის მარილის ნარევს (E962) და ეს დანამატები სურსათის შემადგენლობის ჩამონაზვალში მოხსენიებულია მხოლოდ E-ნომრებით, ეტიკეტზე უნდა იყოს ნარნერა: „შეიცავს ასპარტამს (ფენილალანინის წყარო)“. თუ სურსათის შემადგენლობაში ეს დანამატები მოხსენიებულია სრული დასახლებით, მაშინ საკმარისია დამატებით მიეთითოს „შეიცავს

244 დამვებულია უფრო გრძელი განმარტებაც: „ზეთი შედგება მხოლოდ ზეითუნის ზეთის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი პროდუქტის დამუშავების შედეგად მიღებული ზეთისა და უშუალოდ ზეთისხილისგან მიღებული ზეთისგან“ (oil comprising exclusively oils obtained by treating the product obtained after the extraction of olive oil and oils obtained directly from olives). 2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on food additives).

245 „შესაფერი აირებს“ ნარმოადგენს სურსათის დანამატების ფუნქციონალურ კლასს. შესაბამისად, ამ მიზნით მხოლოდ იმ აირების გამოყენება დაიშვება, რომელიც დაშვებულია 1333/2008 რეგულაციით სურსათის დანამატების თაობაზე (Regulation (EC) No 1333/2008 of the European Parliament and of the Council of 16 December 2008 on food additives).

- ფენილალანინის წყაროს ("contains a source of phenylalanine),²⁴⁶
- თუ პროდუქტი შეიცავს 10%-ზე მეტ დამატებულ პოლიოლებს (სურსათის დანამატები E420, E421, E953, E965-968), ეტიკეტზე უნდა იყოს წარწერა: „ჭარბა მომხმარებამ შეიძლება გამოინვიოს ფალარათი“ (excessive consumption may induce laxative effects),²⁴⁷
 - თუ პროდუქტი შეიცავს ჩამოთვლილიდან რომელიმე საღებავს:
 - ყვითელი მზის ჩასვლა, Sunset yellow (E110);
 - ქინოლინისებრი ყვითელი, Quinoline yellow (E104);
 - კარმუაზინი, Carmoisine (E122);
 - ნითელი მომხიბვლელი, Allura red (E129);
 - ტარტრაზინი, Tartrazine (E102);
 - პონსო 4R, ალისფერი 4R, Ponceau 4R (E124).

ეტიკეტზე უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი წარწერა, სადაც მიეთითება საღებავის დასახელება ან E-ნომერი და ფრაზა „შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ბავშვების აქტივობასა და ყურადღებაზე“ (may have an adverse effect on activity and attention in children).²⁴⁸

- მინერალურ წყლების ეტიკეტზე უნდა მიეთითოს, თუ რა დამუშავება გაიარა წყალმა მოპოვების შემდეგ²⁴⁹. ასე, თუკი პროდუქტს გავლილი აქვს ოზონით გამდიდრებული აირით განმენდის პროცედურა, ეტიკეტზე, წყლის მინერალურ შემადგენლობის აღნერასთან ახლოს, უნდა განთავსდეს წარწერა: „წყალმა გაიარა დაშვებული დამუშავება აზონით გამდიდრებული აირით“ (water subjected to an authorised ozone-enriched air oxidation technique)²⁵⁰.

გარდა ამისა, როგორც ტექსტში სხვადასხვა ადგილას აღვწერეთ, ზოგ პროდუქტზე საგალდებულოა გარკვეულ ნივთიერებათა ფაქტიური შემადგენლობის მითითება. ასე, მაგალითად:

246 2014 წლის 13 დეკემბრამდე ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ ასპარტამის პოლიოლების შემცველ დამატებისბლებზე. როგორც ცალკე პროდუქტზე. ამ ვადის შემდეგ კი - ყველა პროდუქტზე.

247 2014 წლის 13 დეკემბრამდე ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ პოლიოლების შემცველ დამატებისბლებზე, როგორც ცალკე პროდუქტზე. ამ ვადის შემდეგ კი - ყველა პროდუქტზე.

248 ეს მოთხოვნა დადგინდია 1333/2008 რეგულაციით.

249 2009/54/EC დირექტივის მე-7 მუხლის 2(c)პუნქტი.

250 2003/40/EC დირექტივის მე-6 მუხლი.

- 1,2%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველ სასმელებზე სავალდებულოა ალკოჰოლის ფაქტობრივი შემცველობის მითითება, მოცულობით პროცენტებში. დადგენილია ამ მაჩვენებლის ცდომილების ფარგლები. სხვადასხვა ტიპის ალკოჰოლური სასმელისთვის იგი ვარირებს 0,3-დან 1,5 მოცულობით პროცენტამდე.
- ხორცის ფარშზე აუცილებელია ცხიმისა და კოლაგენის²⁵¹ შემადგენლობის მითითება;
- შოკოლადზე აუცილებელია კაკაოს ცხიმის შემცველობის მითითება;
- კოფეინის შემცველ პროდუქტებზე (გარდა ჩაისა და ყავისა) – კოფეინის შემადგენლობის მითითება²⁵².
- ზეითუნის ზეთის შემცველ ნარევ ზეთებზე (თუკი მასზე ზეითუნი ან ზეთისხილი რაიმე სახით მითითებულია, გარდა ინგრედიენტების ჩამონათვალისა) – პროდუქტში ზეითუნის ზეთის შემცველობის/წილის მითითება.²⁵³

და სხვა.

ინფორმაცია კვებითი ღირებულების თაობაზე (Nutrition labelling)

მითითებები სურსათის²⁵⁴ კვებითი ღირებულების თაობაზე ევროპულ თანამეგობრობაში 1990 წლიდან რეგულირდება. კერძოდ, 1990 წელს თანამეგობრობის საბჭომ მიიღო 90/496/EEC ღირექტივა,²⁵⁵ რომლის მიხედვითაც, სურსათის კვებითი ღირებულების აღწერა/გაშიფვრა სავალდებულო იყო მხოლოდ იმ სურსათზე, რომლის ეტიკეტზეც ფიგურირებდა ამ სურსათის განსხვავებულ/განსაკუთრებულ კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული რაიმე მითითება/განცხადი (nutrition claim), მაგალითად, „დაბალცხიმიანი“, „შაქრის გა-

251 კოლაგენის წილი ხორცის ცილებში.

252 ძალაშია 2014 წლის 13 დეკემბრიდან.

253 29/2012 რეგულაციის მე-6 მუხლის მიხედვით

254 დიეტური სურსათის შესახებ იხ. ქვემოთ.

255 Council Directive 90/496/EEC of 24 September 1990 on nutrition labelling for food-stuffs.

რეშე“, „ცილების წყარო“ და სხვა. ყველა სხვა სურსათზე²⁵⁶ მისი კვებითი ლირებულების აღწერა სავალდებულო არ იყო, თუმცა, თუკი მენარმეს სურვილი ჰქონდა, შეეძლო ასეთი ინფორმაცია განეთავსებინა. იმისთვის, რომ ინფორმაცია მომხმარებლისთვის დამაბნეველი არ ყოფილიყო, დადგენილ იქნა ის მინიმალური მაჩვენებლები, რომელიც ასეთ ინფორმაციას აუცილებლად უნდა მოეცვა (სწორგარებული დირებულება, ცილის, ცნიმისა და ნახშირწყლების შემცველობა) და ინფორმაციის მიწოდების ფორმა: ენერგია გამოხატული უნდა ყოფილიყო კილოჯოულებში და კილოკალორიებში; ცილის, ცნიმისა და ნახშირწყლების, ასევე მარილისა და მცენარეული ბოჭკოს შემცველობა – გრამებში 100 გრამ (ან 100 მილილიტრ) პროდუქტში, ვიტამინების და მინერალების, აგრეთვე ქოლესტერინის შემცველობა კი – მილიგრამებში 100 გრამ (ან 100 მილილიტრ) პროდუქტში); ინფორმაცია კვებითი ლირებულების შესახებ განთავსებული უნდა ყოფილიყო ერთად და, შეძლებისდაგვარად, ცხრილის სახით; ინფორმაცია უნდა ყოფილიყო იოლად წასაკითხი და გადმოცემული მომხმარებლისთვის გასასვებ ენაზე.

ბუნებრივია, 1990 წლის შემდეგ ამ დირექტივამ ბევრი ცვლილება განიცადა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2011 წელს მოხდა ამ დირექტივის ინკორპორირება 1169/2011 რეგულაციაში, რომლითაც სურსათის კვებითი ლირებულების მითითება სავალდებულო გახდა. თუმცა ეს დებულება **ამოქმედდება მხოლოდ 2016 წლის 13 დეკემბრიდან**. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ თარიღამდე სურსათის კვებითი ლირებულების მითითება ნებაყოფლობითია. არსებობს რამდენიმე კატეგორიის სურსათი, რომლისთვისაც კვებითი ლირებულების მითითება დღესაც სავალდებულოა.

პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის სურსათი, რომელზეც განთავსებულია ჯანმრთელობასთან ან კვებით ლირებულებასთან დაკავშირებული განაცხადები (nutrition or health claims, დეტალები იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, კვებითი ლირებულების მითითება/აღწერა სავალდებულოა ისეთ სურსათზე, რომელსაც დამატებული აქვს ვიტამინები და მინერალები. ამ ორი ტიპის სურსათზე კვებითი ლირებულების მითითება დღეს სავალდებულოა, თუმცა 2014 წლის 13 დეკემბრამდე ამ მითითების წესები რეგუ-

256 გარდა დიეტური სურსათისა.

ლირდება 1924/2006²⁵⁷ და 1925/2006²⁵⁸ რეგულაციებით, 2014 წლის 13 დეკემბრიდან კი – 1169/2011 რეგულაციით²⁵⁹. აგრეთვე დაშვებულია 1169/2011 რეგულაციით დადგენილი წესების გამოყენება 2014 წლის 13 დეკემბრამდეც – ასე რომ, მენარმეებს უკვე შეუძლიათ გადავიდნენ ახალ წესებზე და ძველთან შესაბამისობას მათ არავინ მოსთხოვს.²⁶⁰

გარდა ამისა, არსებობს სურსათი, რომლის კვებითი ლირებულების მითითება სავალდებულოა, მათზე ამ პარამეტრის მითითებას ცალკე წესები არეგულირებს და ეს წესები არც 2014 წლის და არც 2016 წლის ბოლოს არ შეიცვლება. ეს არის: დიეტური სურსათი, კვებითი დანამატები (food supplements) და ბუნებრივი (მინერალური და ნივაროს) წყლები²⁶¹. ამ სამი ტიპის სურსათის კვებითი ლირებულების მითითების წესები ქვემოთ სათითაოდ არის აღნერილი.

ყველა სხვა სურსათზე კვებითი ლირებულების მითითება 2016 წლის 13 დეკემბრამდე წებაყოფლობითა, თუმცა მისი ფორმის არჩევაში მენარმე თავისუფალი არ არის. ანუ, თუკი მენარმე (წებაყოფლობით) აღნერს სურსათის კვებით ლირებულებას, იგი ვალდებულია დადგენილი წესები დაიცვას. იმ პროცესტისთვის, რომელიც ბაზარზე მოხვდება 2014 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით, მას აქვს არჩევანი – დაიცვას 90/496/EEC დირექტივის დღეს მოქმედი (კოდიფიცირებული) ვერსიით დადგენილი წესები²⁶², ან 1169/2011 რეგულაციით დადგენილი წესები. 2014 წლის 13 დეკემბრიდან კი მას ეს არჩევანი აღარ ექნება – ამ თარიღიდან მენარმე ვალდებულია კვებითი ლირებულების წებაყოფლობით მითითებისას მხოლოდ

257 Regulation (EC) No 1924/2006 of the European Parliament and of the Council of 20 December 2006 on nutrition and health claims made on foods.

258 Regulation (EC) No 1925/2006 of the European Parliament and of the Council of 20 December 2006 on the addition of vitamins and minerals and of certain other substances to foods.

259 2014 წლის 13 დეკემბრიდან ამიქმედდება ცვლილებები 1924/2006 და 1925/2006 რეგულაციებში, რომლის მიხედვითაც ამ რეგულაციებით დარეგულირებულ პროცესტზე კვებითი ლირებულების მითითება 1169/2011 რეგულაციის 30-35 -ე მუხლების მოთხოვნებს დაექვემდებარება.

260 ეს ეხება მხოლოდ სურსათის კვებითი ლირებულების მითითებას! ეტიკეტირების სხვა საკითხებში მენარმე ვალდებულია 2014 წლის 13 დეკემბრამდე დაიცვას „ძველი“ (ანუ 2000/13/EC დირექტივის) მოთხოვნები.

261 ცხადია, ბუნებრივი წყლების „კვებით ლირებულებაში“ მხოლოდ მინერალების შემცველობა იგულისხმება.

262 90/496/EEC დირექტივის დღეს მოქმედი (კოდიფიცირებული) ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:01990L0496-20081211&from=EN>.

1169/2011 რეგულაციით დადგენილი წესები დაიცვას²⁶³. ხოლო 2016 წლის 13 დეკემბრიდან კი ეს მითითებები არა წებაყოფლობითი, არამედ სავალდებულო ხდება (გამონაკლისები იხ. ქვემოთ).

ამდენად, უკვე დღეს, პროდუქტის კვებითი ღირებულების მითითებისას (გარდა დიეტური სურსათისა, კვებითი დანამატებისა და მინერალური/წყაროს წყლებისა), მენარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ სურსათის კვებითი ღირებულების მითითების ის წესები, რომელიც 1169/2011 რეგულაციით არის დადგენილი. 2014 წლის 13 დეკემბრიდან კი წესები სავალდებულო ხდება იმ სურსათისთვის, რომელზეც დატანილია მითითებები კვებითი ღირებულების ან ჯანმრთელობისათვის სარგებლობის შესახებ, აგრეთვე სურსათის-თვის, რომელსაც დამატებული აქვს ვიტამინები ან მინერალები და სურსათისთვის, რომლის კვებით ღირებულებას მენარმე წებაყოფლობით უთითებს. 2016 წლის 13 დეკემბრიდან კი ეს წესები სავალდებულო გახდება ყველა სურსათისთვის, გარდა დიეტური სურსათისა, კვებითი დანამატებისა (food supplements), მინერალური/წყაროს წყლებისა და იმ გამონაკლისისა, რომელიც ქვემოთაა ჩამოთვლილი.

კვებითი ღირებულების მითითების „ძველი“ წესები, რომელიც 2014 წლის 13 დეკემბრამდე აგრეთვე ძალაშია, მკითხველის დაბნევის თავიდან ასაცილებლად ამ ბროშურაში აღნერილი არ არის²⁶⁴. აქ ჩვენ მხოლოდ 1169/2011 რეგულაციით დადგენილ წესებს აღვნერთ:

263 2014 წლის 13 დეკემბრიდან 90/496/EEC დირექტივა უქმდება.

264 ამ წესების გაცნობა შესაძლებელია შესაბამისი წორმატიული აქტებიდან. კერძოდ:

• იმ სურსათისთვის, რომელზეც განთავსებულია მითითება/განაცხადი კვებითი ღირებულების ან ჯანმრთელობისთვის სარგებლობის შესახებ, კვებითი ღირებულების აღნერა (2014 წლის 13 დეკემბრამდე) შესაძლებელია განხორციელდეს იმ წესებით, რომელსაც 1924/2006 რეგულაციის მე-7 მუხლი ადგენს (რეგულაციის კოდიფიკირებულ ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:02006R1924-20121121&qid=1401940411118&from=EN>);

• იმ სურსათისთვის, რომელშიც დამატებულია ვიტამინები ან მინერალები, კვებითი ღირებულების აღნერა (2014 წლის 13 დეკემბრამდე) შესაძლებელია განხორციელდეს იმ წესებით, რომელსაც 1925/2006 რეგულაციის მე-7 მუხლი ადგენს (რეგულაციის კოდიფიკირებულ ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32006R1925&qid=1401940583238&from=EN>);

• იმ სურსათისთვის, რომელზეც კვებითი ღირებულება წებაყოფლობით არის მითითებული, ამ ღირებულების აღნერა (2014 წლის 13 დეკემბრამდე) შესაძლებელია განხორციელდეს იმ წესებით, რომელსაც 90/496 დირექტივა ადგენს (დირექტივის კოდიფიკირებული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:01990L0496-20081211&qid=1401940781199&from=EN>).

ამ წესების მიხედვით, პროდუქტის კვებითი ღირებულების აღნერა უნდა მოხდეს ეტიკეტზე „კვებითი ღირებულების დეკლარაციის“ (Nutrition declaration) განთავსების საშუალებით. ეს იმას ნიშნავს, რომ არ დაიშვება პროდუქტზე, მაგალითად, მხოლოდ ცილების ან მხოლოდ ცხიმების, ან მხოლოდ შაქრების შემადგენლობის მითითება – აუცილებელია მიეთითოს „სრული ნაკრები“: ენერგეტიკული ღირებულება, ცხიმები (მათ შორის ნაჯერი ცხიმები), ნახშირნყლები (მათ შორის შაქრები), ცილები და მარილი. „კვებითი ღირებულების დეკლარაციაში“ შემავალი მთელი ინფორმაცია შეფუთვაზე უნდა განთავსდეს ერთად და გამოსახულ იქნეს საკმარისად დიდი შრიფტით (ასო „x“-ის სიმაღლე 1,2 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მცირე ზომის შეფუთვებისთვის დასაშვებია უფრო მცირე შრიფტი²⁶⁵). მენარმის სურვილის შემთხვევაში დასაშვებია კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის ნაწილობრივი განმეორება (მხოლოდ ენერგეტიკული ღირებულების მითითება, ან ენერგეტიკული ღირებულების, ცხიმის, ნაჯერი ცხიმის, შაქრებისა და მარილის მითითება) შეფუთვის „წინა“ მხარეს (სადაც პროდუქტის დასახელებაა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1169/2011 რეგულაციის მიხედვით²⁶⁶, დეკლარაცია კვებითი ღირებულების შესახებ შედგება შემდეგი სავალდებულო ელემენტებისგან: პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება და პროდუქტში ცხიმების²⁶⁷, ნაჯერი ცხიმების, ნახშირნყლების, შაქრების²⁶⁸, ცილისა²⁶⁹ და მარილის მითითება. მთელი ეს ინფორმაცია შეძლებისდაგვარად უნდა განთავსდეს ცხრილის სახით, ასეთი მიმდევრობით:

265 თუკი შეფუთული სურსათის ყველაზე დიდი ზედაპირი 80 სმ²-ზე ნაკლებია, დასაშვებია უფრო მცირე შრიფტის გამოყენება, თუმცა ამ შემთხვევაშიც ასო „x“-ის სიმაღლე 0,9 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუკი შეფუთული სურსათის ყველაზე დიდი ზედაპირი 25 სმ²-ზე ნაკლებია, კვებითი ღირებულების შესახებ დეკლარაციის დატანა სავალდებულო არ არის.

266 90/496/EEC დირექტივის დღეს მოქმედი წესები ამ მხრივ განსხვავდება. იხ. წინა სქოლიომ მითითებული ბმული.

267 ტერმინით „ცხიმი“ 1169/2011 რეგულაციაში აღნიშნება ლპბიდები მთლიანად, ცხიმოვანი მჟავების, მონო-, დი-, ტრი-გლიცერიდებისა და ფოსფოლიპიდების ჩათვლით.

268 მოიცავს სურსათში შემავალ ყველა მონო- და დი-საქარიდებს, გარდა პოლიოლებისა.

269 ცილა იანგარიშება, როგორც კელვალის მეთოდით გამოთვლილი სრული აზოტის რაოდენობა (total Kjeldahl nitrogen), გამრავლებული 6,25-ზე.

ენერგეტიკული ღირებულება
ცხიმი
მათ შორის ნაჯერი ცხიმები
ნახშირწყალი
მათ შორის შაქრები
ცილა
მარილი

შეუფუთავი პროდუქტის კვებითი ღირებულების დეკლარაცია შეიძლება შემცირდეს და მიეთითოს მხოლოდ ენერგეტიკული ღირებულება, ცხიმი, ნაჯერი ცხიმი, შაქრები და მარილი. ალკოჰოლურ სასმელებზე დასაშვებია მიეთითოს მხოლოდ ენერგეტიკული ღირებულება.

პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება გამოხატული უნდა იყოს კილოჯრულებსა და კილოკალორიებში. ენერგეტიკული ღირებულება იანგარიშება პროდუქტის შემადგენლობის მიხედვით, შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით:

- 1 გ ნახშირწყალი (გარდა პოლიოლებისა) = 17 კჯ (4 კკალ)
- 1 გ პოლიოლი²⁷⁰ = 10 კჯ (2,4 კკალ)
- 1 გ ერითრიტოლი²⁷¹ (erythritol) = 0 კჯ (0 კკალ)
- 1 გ ცილა = 17 კჯ (4 კკალ)
- 1 გ ცხიმი = 37 კჯ (9 კკალ)
- 1 გ სალატრიმი (salatrim)²⁷² = 25 კჯ (6 კკალ)
- 1 გ სპირტი (ეთანოლი) = 29 კჯ (7 კკალ)
- 1 გ ორგანული მჟავა = 13 კჯ (3 კკალ)
- 1 გ ბოჭკო = 8 კჯ (2 კკალ)

ნუტრიენტების რაოდენობა გამოხატული უნდა იყოს გრამებში 100 გრამ (ან 100 მლ) პროდუქტში. შეუფუთავ პროდუქტში დაიშვება ნუტრიენტების რაოდენობის მითითება ერთ პორციაზე გადაანგარიშებით. შეფუთულ პროდუქტში ასეთი მითითება მხოლოდ დამატებითი შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში ეტიკეტზე აგრეთვე

270 შაქრის სპირტები. ევროპაში დაშვებული სურსათის დანამატებია (დამატებობლები). დეტალებისთვის იხ. ამ სერიის სტატია „სურსათის რეგულირება ევროკავშირში: სურსათის (არასაკვები) დანამატები“, <http://www.momximarebeli.ge/images/file-677746.pdf>.

271 ერთ-ერთი პოლიოლი, დამატებობელი E968, დაშვებულია ევროკავშირში.

272 დაბალკალორიული ცხიმის შემცვლელი. დაშვებულია ევროკავშირში, როგორც „ასალი ტექნოლოგიით მიღებული სურსათი“ (Novel food). იხ. ზემოთ.

მითითებული უნდა იყოს, თუ რამდენ პორციას შეიცავს შეფუთვა და ეს პორციები იოლად იდენტიფიცირებადი უნდა იყოს. დასაშვებია აგრეთვე დამატებით მიეთითოს, თუ რა პორცენტს შეადგენს პროდუქტის 100 გრამში/100 მილილიტრში ან პორციაში ამ ნუტრიენტის შემცველობა შემდეგ რეფერენცულ ღონეებთან მიმართებაში (ასეთ შემთხვევაში აგრეთვე უნდა გაკეთდეს მითითება „საშუალო ზრდასრული ადამიანის მოხმარების რეფერენცული დონე (Reference intake of an average adult) (8400 კჯ / 2000 კკალ)“:

ენერგეტიკული ღირებულება	8400 კჯ / 2000 კკალ
ცხიმი ჯამური	70 გ
ნაჯერი ცხიმები	20 გ
ნახშირწყლები	260 გ
შაქრები	90 გ
ცილა	50 გ
მარილი	6 გ

მარილის რაოდენობა იანგარიშება პროდუქტში არსებული ნატრიუმის (Na) რაოდენობის გამრავლებით 2,5-ზე. ეს ნატრიუმი შეიძლება პროდუქტში არა მხოლოდ სუფრის მარილის (NaCl), არამედ სხვა მარილების დამატებით იყოს მოხვედრილი²⁷³, მაგალითად, ნატრიუმის ციტრატის, ან ნატრიუმის ნიტრატის, ან ნატრიუმის აცეტატის და სხვა. მიუხედავად ამისა, ვინაიდან „მარილის შეზღუდვა“ სურსათში არსებითად ნატრიუმის იონის რაოდენობის შეზღუდვას ნიშნავს, მომხმარებელთა ადეკვატურად ინფორმირებისათვის, სურსათში მოხვედრილი ნატრიუმი მთლიანად იკრიბება და (კოეფიციენტზე გამრავლების შემდეგ) მიეთითება, როგორც სუფრის მარილის ოდენობა, რომელიც იმავე რაოდენობის ნატრიუმს შეიცავს. დაშვებულია კვებითი დეკლარაციის მახლობლად გაკეთდეს მითითება იმის თაობაზე, რომ პროდუქტი მხოლოდ მასში ბუნებრივად არსებულ მარილს (ანუ ნატრიუმს) შეიცავს.

ნუტრიენტების შემცველობა, როგორც წესი, იანგარიშება სურსათის იმ მდგომარეობისათვის, რომელშიც იგი იყიდება, თუმცა დასაშვებია მიეთითოს მისი შემცველობა საჭმელად გამზადებულ სურსათში, თუკი ეტიკეტზე აგრეთვე მითითებულია დეტალურად გაწერილი მომზადების წესი.

ნუტრიენტების შემცველობის დადგენისას მენარმეს შეუძლია

273 ცხადია, შესაძლებელია აგრეთვე ნატრიუმი ბუნებრივად შედიოდეს სურსათის შემადგენლობაში, რაიმე მარილის დამატების გარეშე.

დაეყრდნოს სურსათის ლაბორატორიულ ანალიზებს, გამოყენებული კომპონენტების ფაქტობრივ რაოდენობაზე დაფუძნებულ გათვლებს, ან ზოგად, მიღებულ მონაცემებს. მომავალში მოსალოდნელია, რომ ევროკომისია გამოსცემს დამატებით მითითებებს ნუტრიენტების შემცველობის (განსაკუთრებით ვიტამინებისა და მინერალების შემცველობის) უფრო ზუსტად გამოსანგარიშებლად.

ზემოთ ჩამოთვლილ ნუტრიენტებზე დამატებით დაშვებულია კვებითი ლირებულების დეკლარაციაში შემდეგი ნუტრიენტების მითითება:

- მონოუჯერი ცხიმები
- პოლიუჯერი ცხიმები
- პოლიოლები²⁷⁴
- სახამებელი
- ბოჭკო²⁷⁵
- ქვემოთ ჩამოთვლილი ვიტამინები და მინერალები, თუკი ისინი პროდუქტში მნიშვნელოვანი ოდენობით არის წარმოდგენილი.

ამ დამატებითი ნუტრიენტების მითითების შემთხვევაში კვებითი ლირებულების ცხრილში ნუტრიენტების განლაგების მიმდევრობა უნდა იყოს ასეთი [21]:

ენერგეტიკული ლირებულება
ცხიმი
მათ შორის: ²⁷⁶
ნაჯერი ცხიმები
მონოუჯერი ცხიმები
პოლიუჯერი ცხიმები
ნახშირწყალი
მათ შორის:
შაქრები
პოლიოლები
სახამებელი

274 ე ორი ან მეტი ჰიდროქსილის ჯგუფის შემცველი სპირტები.

275 იგულისხმება ბუნებრივი და ხელოვნური პოლიმერული ნახშირწყლები, რომელთა გადამუშავების ან შეთვისების უარი ადამიანის ნერილ ნაწლავს არ გააჩნია და რომელიც ან ჩვეული საკვების ნაწილია, ან აღიარებული სამეცნიერო მონაცემების თანახმად, ახასათებს დადგებითი ფიზიოლოგიური მოქმედება.

ბოჭკო
(ცილა
მარილი
ვიტამინები და მინერალები

დაშვებულია²⁷⁷ მხოლოდ შემდეგი ვიტამინებისა და მინერალების მითითება, – და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათი რაოდენობა პროდუქტის 100 გრამში/მილილიტრში²⁷⁸ აღემატება ცხრილში მითითებული „რეფერენტული დონეების“ (Reference Intakes)²⁷⁹ 15 პროცენტს (სასმელებისთვის – 7,5 პროცენტს):

A ვიტამინი (მკგ)	800	კალიუმი (მგ)	2000
D ვიტამინი (მკგ)	5	ქლორიდი (მგ)	800
E ვიტამინი (მგ)	12	კალციუმი (მგ)	800
K ვიტამინი (მკგ)	75	ფოსფორი (მგ)	700
C ვიტამინი (მგ)	80	მაგნიუმი (მგ)	375
თიამინი (მგ)	1,1	რკინა (მგ)	14
რიბოფლავინი (მგ)	1,4	ცინკი (მგ)	10
ნიაცინი (მგ)	16	სპილენდი (მგ)	1
ვიტამინი B ₆ (მგ)	1,4	მანგანუმი (მგ)	2
ფოლიუმის მჟავა (მკგ)	200	ფტორი (მგ)	3,5

276 შესაძლოა მომავალში დაემატოს ტრანს-ცხიმების მითითების შესაძლებლობაც. რეგულაციაში მითითებულია (მუხლი 30-ე, პუნქტი მე-7), რომ 2014 წლის 13 დეკემბრამდე ევროკომისია ჩამოყალიბდება ამ საკითხთან დააკავშირებით (განიხილება ტრანს-ცხიმების აკრძალვის შესაძლებლობაც) და მოამზადებს შესაბამის საკანონმდებლო წინადადებას.

277 იმ სურსათისთვის, რიმელშიც ვიტამინები ან მინერალებია დამატებული, მათ შემცველობის (სრული შემცველობისა, არა მხოლოდ დამატებული ოდენობის) მითითება სავალდებულოა (1925/2006 რეგულაციის მიხედვით).

278 ან პორციაში - თუკი პროდუქტი მხოლოდ ერთი პორციისგან შედგება.

279 ეს დოზები 90/496/EEC დორექტივაში მოხსენიებულია, როგორც „რეკომენდებული დღიური ნორმა“ (Recommended Daily Allowance, RDA), თუმცა 1169/2011 რეგულაცია ამ ტერმინს აღარ იყენებს. ევროკომისიის განმარტებით დოკუმენტში [21] საგანგებოდ მითითებულია, რომ რეკომენდებული დონე დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე (სასკზე, ფიზიკურ დატვირთვაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე), ამიტომ ყოველგვარ რეკომენდაციაზე უარია ნათევამი და ეს არის უბრალოდ ნუტრიენტების საბზო, რეფერენტული დონეები (თუმცა ისინი თავისი მნიშვნელობით ადრინდელი „რეკომენდებულ დონეების“ ტოლია).

ვიტამინი B ₁₂ (მკგ)	2,5	სელენიუმი (მკგ)	55
ბიოტინი (მკგ)	50	ქრომი (მკგ)	40
პანტოტენის მჟავა (მგ)	6	მოლიბდენი (მკგ)	50
		იოდი (მკგ)	150

ამ კომპონენტების შემცველობის მითითებისას გამოყენებული უნდა იყოს ის ერთეულები, რაც ცხრილშია მითითებული – მილი-გრამი ან მიკროგრამი პროდუქტის 100 გრამში (ან 100 მილილიტრში) და დამატებით სავალდებულოა მიეთითოს, თუ რეფერენტული დონის რა პროცენტს შეადგენს პროდუქტის 100 გრამში (100 მილილიტრში) ამ ნივთიერებების შემცველობა.²⁸⁰

ჩამოთვლილი ნუტრიინტების გარდა, სხვა ნუტრიინტების დამატება „კვებითი ლირებულების დეკლარაციისთვის“, როგორც წესი, იკრძალება. გამონაკლისია სურსათი, რომელზეც განთავსებულია განაცხადი კვებითი ლირებულებასთან ან ჯანმრთელობაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით (Nutrition and health claims, დეტალურად იხ. ქვემოთ) – ასეთი განაცხადების შესაბამისი ნუტრიინტები დეკლარაციას უნდა დაემატოს.

როგორც ზემოთ ითქვა, კვებითი ლირებულების მითითება 2016 წლის 13 დეკემბრიდან ყველა პროდუქტზე სავალდებულო გახდება. თუმცა ეს ვალდებულება არ შეეხება შემდეგ პროდუქტებს:

- შეუფუთავ სურსათს;
- მცირე შეფუთვაში მოთავსებულ სურსათს, რომლის ყველაზე დიდი ზედაპირი 25 სმ²-ს არ აღემატება;
- ერთი ინგრედიენტისგან შემდგარ დაუმუშავებელ ან დამუშავებულ პროდუქტებს, თუკი დამუშავება შემოიფარგლებოდა მხოლოდ მომწიფებით;
- სურსათს, რომელიც იწარმოება მცირე მდენობით და უშუალოდ მნარმოებლის მიერ მიეწოდება მომხმარებელს, ან იმ სავაჭრო პუნქტს, რომელიც საბოლოო მომზარებლებს ამარაგებს.
- შემდეგ პროდუქტებს: ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლები²⁸¹, 1,2%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველი სასმელები, მწვანილი, სუნელები, მარილი და მის შემცვლელები, დამატებობლები (როგორც ცალკე პროდუქტი), ყავა და ვარდყაჭაჭა, ჩაი, აგრეთვე ბალახოვანი და ხილის ჩაი, ფერმენტირებული

280 დამატებით შეიძლება მიეთითოს იგივე მაჩვენებელი ერთი პორციისთვის.

281 2009/54/EC დირექტივის მიხედვით.

ძმარი და ძმრის შემცვლელები, სურსათის დანამატები, არო-
მატიზატორები, სურსათის დამუშავების დამხმარე აგენტები
(processing aids), სასურსათო ფერმენტები, უელატინი და ჯემის
შემასქელებელი ნივთიერებები, საფუარი, სალეჭი რეზინა.

როგორც აღნიშნეთ, კვებითი ლირებულების მითითების გან-
საკუთრებული მოთხოვნებია დადგენილი დიეტური სურსათისთვის,
კვების დანამატებისა და ბუნებრივი წყლებისთვის. ისინი შემდეგში
მდგომარეობს:

დიეტურ სურსათზე, უფრო ზუსტად კი – სპეციალური კვები-
თი დანიშნულების სურსათზე (foodstuffs for particular nutritional uses),
სავალდებულოა მისი განსაკუთრებული კვებითი მახასიათებლები²⁸²
მიეთითოს სურსათის დასახელებისთანვე.²⁸³ დამატებით, ეტიკეტზე
უნდა განიმარტოს, სურსათში შემავალი, კერძოდ, რომელი კონკრე-
ტული კომპონენტები ან მისი დამზადებისას გამოყენებული რომ-
ელი სპეციალური პროცესები განაპირობებს ამ სურსათის განსა-
კუთრებულ თვისებებს.

დიეტურ სურსათზე კვებითი ლირებულების მითითება სავალ-
დებულოა. უნდა მიეთითოს ნუტრიენტების შემცველობა და ენერ-
გეტიკული ლირებულება. ეს უკანასკნელი უნდა მიეთითოს როგორც
100 გრამ (100 მლ) პროდუქტში, ასევე მისაღებად რეკომენდებულ
ულუფაში. თუ 100 გრამ (100 მლ) სურსათის ენერგეტიკული ლი-
რებულება 50 კილოჯოულზე (12კვალ) ნაკლებია, მაშინ შეიძლება
უბრალოდ მიეთითოს „ენერგეტიკული ლირებულება ნაკლებია 50 კვა-
(12კვალ)/100გრ (100მლ)“.

ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებზე მიეთითება ნუტრიენტების
(ცილები, ნახშირნყლები, ლიპიდები) შემცველობა და ენერგეტიკული
ლირებულება მოხმარებისთვის მზა პროდუქტში²⁸⁴. ამ პროდუქტე-
ბზე ასევე აუცილებელია მიეთითოს ვიტამინებისა და მინერალების,
აგრეთვე ქლოინის (choline), ინოზიტოლის (inositol) და კარნიტინის
(carnitine) შემცველობა. დაიშვება აგრეთვე მიეთითოს, თუ ვიტამინ-
ებისა და მინერალების ე.წ. რეფერენტული დონეების რა წილს შეად-
გენს 100 მლ პროდუქტში შემავალი ვიტამინებისა და მინერალების
რაოდენობა. ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი
რეფერენტული მნიშვნელობები²⁸⁵:

282 ბავშვთა კვების შემთხვევაში საკმარისია მიეთითოს სურსათის დანიშნულება.

283 2009/39/EC დირექტივის მიხედვით.

284 2006/141/EC დირექტივის მიხედვით.

285 2006/141/EC დირექტივის VII დანართის მიხედვით.

A ვიტამინი (მკგ)	400	კალციუმი (მგ)	550
D ვიტამინი (მკგ)	7	ფოსფორი (მგ)	50
E ვიტამინი (მგ)	5	კალიუმი (მგ)	1000
K ვიტამინი (მკგ)	12	ნატრიუმი (მგ)	400
C ვიტამინი (მგ)	45	ქლორიდი (მგ)	500
თიამინი (მგ)	0,5	რკინა (მგ)	8
რიბოფლავინი (მგ)	0,7	ცინკი (მგ)	5
ნიაცინი (მგ)	7	იოდი (მკგ)	80
ვიტამინი B ₆ (მგ)	0,7	სელენიუმი (მკგ)	20
ფოლიუმის მჟავა (მკგ)	125	სპილენდი (მგ)	0,5
ვიტამინი B ₁₂ (მკგ)	0,8	მაგნიუმი (მგ)	80
პანტოტენის მჟავა (მგ)	3	მანგანუმი (მკგ)	1,2
ბიოტინი (მკგ)	10		

ბავშვთა ფაფებსა და ბავშვთა კვების სხვა პროდუქტებზე (გარდა დედის რძის შემცვლელი პროდუქტებისა) უნდა მიეთითოს კვებითი ლირებულება (მ.შ. მინერალებისა და ვიტამინების შემცველობა) პროდუქტის 100 გრამშიც და რეკომენდებულ ულუფაშიც²⁸⁶. დაიშვება დამატებით მიეთითოს თუ ვიტამინებისა და მინერალების რეფერენტული დონეების რა წილს შეადგენს 100 მლ პროდუქტში ან ულუფაში შემავალი ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობა, თუკი ეს რაოდენობა რეფერენტული მნიშვნელობის 15% ან მეტია. ამ პროდუქტებისთვის მინერალების და ვიტამინების რეფერენტული მნიშვნელობებია²⁸⁷:

A ვიტამინი (მკგ)	400	კალციუმი (მგ)	400
D ვიტამინი (მკგ)	10	რკინა (მგ)	6
C ვიტამინი (მგ)	25	ცინკი (მგ)	4
თიამინი (მგ)	0,5	იოდი (მკგ)	70
რიბოფლავინი (მგ)	0,8	სელენიუმი (მკგ)	10

286 2006/125/EC დირექტივის მიხედვით.

287 2006/125/EC დირექტივის V დანართის მიხედვით.

ნიაცინი (მგ)	9	სპილენძი (მგ)	0,4
ვიტამინი B ₆ (მგ)	0,7		
ფოლიუმის მჟავა (მკგ)	100		
ვიტამინი B ₁₂ (მკგ)	0,7		

წონის დასაკლებ ჩანაცვლებითი დიეტის პროდუქტებზე უნდა მიეთითოს კვებითი ლირებულება (ვიტამინებისა და მინერალების ჩათვლით) თითო ულუფაზე გადაანგარიშებით²⁸⁸. თუ ჩანაცვლებითია არა მთლიანად დიეტა, არამედ კერძი, მასზე უნდა მიეთითოს ვიტამინებისა და მინერალების შემცველობა შესაბამის რეფერენტულ დონესთან მიმართებაში (ეს რეფერენტული დონეები იხ. ზემოთ, დი-ეტური სურსათის აღმნერ განყოფილებაში).

სპეციალური სამკურნალო ან რაიმე დაავადებით განპირობებული დიეტისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე კვებითი ლირებულება (მ.შ მინერალებისა და ვიტამინების შემცველობა) მიეთითება 100 გრ/მლ პროდუქტში²⁸⁹. დამატებით ეს ინფორმაცია შეიძლება აგრეთვე მიეთითოს რეკომენდებული ულუფისთვის, იმ პირობით, რომ შეფუთვაზე ასეთი ულუფების რაოდენობა მითითებულია. დამატებით უნდა მიეთითოს ის მახასიათებლები, რის გამოც ეს პროდუქტი სპეციალური დიეტისთვის, გამოსადეგი – რომელი ნუტრიენტის რაოდენობა არის შემცირებული ან გაზრდილი და კერძოდ, რამდენია იგი. ამ პროდუქტებისთვის დამატებით საგალდებულოა მიეთითოს ოსმოსური კონცენტრაცია (osmolarity/osmolality)²⁹⁰ და მასში შემავალი ცილებისა და ცილის ჰიდროლიზატების წყარო.

კვებითი დანამატები (Food supplements) არის სურსათი, რომელიც მოიხმარება, როგორც დამატებითი ვიტამინებისა და მინერალების დოზირებული²⁹¹ წყარო კვების ნორმალური რაციონის პირობებში. ამ სურსათზე სავალდებულოა მიეთითოს მისი მახასიათებელი ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობა რეკომენდებულ დღიურ ულუფა-

288 96/8/EC დირექტივის მიხედვით.

289 1999/21/EC დირექტივის მიხედვით.

290 ოსმოსური წნევის ნარმომქმნელი იონების მოლარული კონცენტრაცია ხსნა-რის ერთ ლიტრში.

291 ეს პროდუქტები გამოიშვება ტაბლეტების, კაპსულების, ამპულების, ფხვნილის, სანვეთარა ხსნარის, პასტილის ან სხვა რაიმე ისეთი სახით, რომელიც მათი მცირე დოზებით მიღების საშუალებას იძლევა.

ში/დოზაში.²⁹² აქვე მითითებულ უნდა იქნეს, თუ რა წილს შეადგენს ვიტამინების/მინერალების ეს რაოდენობა ზემოთ მოყვანილ საშუალო ზრდასრული ადამიანისთვის რეკომენდებულ დღიურ ნორმაში. ეს მითითება მოცემული უნდა იყოს როგორც ციფრობრივად, ასევე დასაშვებია გრაფიკული სახითაც.

ბუნებრივი მინერალური წყლებისა და წყაროს წყლების²⁹³ ეტიკეტზე ყოველთვის სავალდებულოა მინერალური შემადგენლობის მითითება.²⁹⁴

ნებაყოფლობითი ინფორმაცია

ცხადია, გარდა სავალდებულო ინფორმაციისა, სურსათის შეფუთვაზე მენარმე აგრეთვე განათავსებს სხვა ინფორმაციას, რომელიც მის მარკეტინგულ მიზნებს ემსახურება. კანონმდებლობა ადგენს ძირითად მოთხოვნებს ამ ინფორმაციისადმი. კერძოდ, ინფორმაცია არ უნდა იყოს დამაბნეველი, შეცდომაში შემყვანი და უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულ მონაცემებს. ზოგიერთი ტიპის მითითების გამოყენებას კანონმდებლობა უფრო დეტალურად არეგულირებს.

მითითებები კვებითი ღირებულების განსაკუთრებულ მაჩვენებლებზე ან ჯანმრთელობისთვის სარგებლობაზე (Nutrition and health claims)

ევროკავშირის 2006 წლის 1924/2006 რეგულაცია მკაცრად არეგულირებს მითითებებს/განცხადებებს სურსათის განსაკუთრებულ თვისებებზე კვებითი ღირებულების თვალსაზრისით ან სარგებლობაზე, რომელსაც მოუტანს მომხმარებლის ჯანმრთელობას ამ პროდუქტის მოხმარება. ეს ეხება არა მხოლოდ ეტიკეტზე დატანილ განცხადებებს ან მინიშნებებს (მათ შორის გრაფიკულს), არამედ აგრეთვე პროდუქტის რეკლამასა და წარდგენას.

292 2002/46/EC ღირებების მიხედვით.

293 განმარტებები იხ. ზემოთ.

294 2009/54/EC ღირებების მე-7 მუხლის მე-2(ა) პუნქტი და მე-9 მუხლის მე-4(ც) პუნქტი.

რეგულაცია ეხება ორი ტიპის განაცხადს: კვებით ღირებულებასთან დაკავშირებულ განაცხადსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადს:

- „კვებით ღირებულებასთან დაკავშირებულ განცხადად“ (nutrition claim) მიიჩნევა ნებისმიერი გზაენილი ან წარდგინება, იქნება ეს ტექსტი, ნახატი თუ სიმბოლო, რომელიც აცხადებს, მიანიშნებს ან გულისხმობს, რომ სურსათს გააჩნია მომხმარებლისთვის სასარგებლო თვისება მისი მაღალი/დაბალი (ან გაზრდილი/შემცირებული) ენერგეტიკული ღირებულების ან რომელიმე ნუტრიენტის მაღალი/დაბალი (ან გაზრდილი/შემცირებული) შემცველობის გამო.
- „ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადად“ (health claim) მიიჩნევა ნებისმიერი გზავნილი ან წარდგინება, იქნება ეს ტექსტი, ნახატი თუ სიმბოლო, რომელიც აცხადებს, მიანიშნებს ან გულისხმობს რაიმე კავშირს კონკრეტულ სურსათს, სურსათის კატეგორიას ან სურსათის ინგრედიენტსა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის.

კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული განაცხადებისათვის რეგულაციით დადგენილია გამოყენების კონკრეტული პირობები და მნიშვნელობა – იხ. დანართი 4. ეს მოთხოვნები ადგენს კვებითი ღირებულების თაობაზე განაცხადების შინაარსს, ზუსტი ტექსტი კი განსაზღვრული არ არის – მენარმეს შეუძლია იგი მოარგოს კონკრეტული მომხმარებლის გემოვნებასა და ლექსიკას. თუმცა მან აუცილებლად უნდა დაიცვას შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

- განაცხადი არ უნდა იყოს მცდარი, ორაზროვანი ან შეცდომაში შემყვანი;
- განაცხადი არ უნდა ბადებდეს ეჭვებს რაიმე სხვა სურსათის უვნებლობასთან ან სარგებლიანობასთან დაკავშირებით;
- იგი არ უნდა უბიძგებდეს ან ამართლებდეს სურსათის გადაჭარბებულ მომხმარებას;
- იგი არ უნდა აცხადებდეს, უშვებდეს ან გულისხმობდეს, რომ დაბალისებული და მრავალფეროვანი რაციონი ვერ უზრუნველყოფს ადამიანს საკმარისი ნუტრიენტებით;
- განაცხადი არ უნდა უთითებდეს (ტექსტუალურად ან სურათის ან სიმბოლოს საშუალებით) სხეულის ფუნქციების ისეთ ცვლილებებზე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მომხმარებლის დაშინება ან მისი შიშის გამოყენება.

რაც შეეხება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადებს, რეგულაცია განასხვავებს რამდენიმე ტიპის განაცხადს [10]:

1. განაცხადი, რომელიც აღწერს ამა თუ იმ ნუტრიენტის ან ნივთიერების როლს სხეულის განვითარებასა და ფუნქციონირებაში, ან ფიზიოლოგიური ან ქცევითი ფუნქციების განხორციელებაში. მაგალითად, „კალციუმი ხელს უწყობს ძვლების სიმაგრის შენარჩუნებას“, „ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას“;

2. განაცხადი ბაშვების განვითარებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით (მათ შორის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადები ბავშვთა კვების პროცესზე);

3. განაცხადი იმის თაობაზე, რომ რაიმე სურსათი ან სურსათის კატეგორია მნიშვნელოვნად ამცირებს დაავადების განვითარების რისკ-ფაქტორს (კონკრეტული დაავადება შეიძლება დასახელებული არ იყოს);

4. ზოგადი, დაუკონკრეტებელი განაცხადი, როგორიცაა „სასარგებლოა“, „კარგია თქვენი ჯანმრთელობისათვის“.

1-3 ტიპის განაცხადი საჭიროებს ავტორიზაციას ევროკომისიის მიერ. მე-4 ტიპის განაცხადი კი დაიშვება მხოლოდ რომელიმე შესაბამის ავტორიზებულ განაცხადთან ერთად. განაცხადის ავტორიზაციისთვის დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს რომელიმე წევრი-ქვეყნის მთავრობას და წარადგინოს იმის დასაბუთება, რომ განაცხადი სწორია. დოკუმენტები შემდეგ ეგზავნება ევროკომისიის, რომელიც მათ უგზავნის განსახილველად ევროპის სურსათის უკნებლობის უწყებას (EFSA). როგორც წესი, პირველი ჯგუფის განაცხადი საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ მონაცემებს ეყრდნობა და უფრო იოლი დასამტკიცებელია. მე-2 და მე-3 ჯგუფის განაცხადები კი განსაკუთრებით გულდასმით მონმდება და ხშირია მათი დაწუნება. ავტორიზებული ჯანმრთელობის განაცხადი შეიტანება ერთიან რესტრში და ქვეყნებში. მათი გამოყენება, როგორც წესი, ყველას შეუძლია, თუკი მათთან ერთად მითითებულ წესებს დაიკავს. გამონაკლისია განაცხადები, რომელზეც დაინტერესებულმა მხარემ ინტელექტუალური საკუთრების უფლება დააფიქსირა. ასეთი განაცხადები შეიტანება ცალკე რეესტრში და მათი გამოყენება ბუნებრივია შეზღუდულია.

ამჟამად ევროკავშირში სულ 254 „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი“ (health claim) არის ავტორიზებული²⁹⁵. აქედან 238 განეკუთვნება ზემოთ მითითებულ პირველ ჯგუფს, და მხ-

295 აქედან 4 განაცხადზე აგრეთვე რეგისტრირებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

ოლოდ 19 განაცხადი მიეკუთვნება მე-2 და მე-3 ჯგუფს. როგორც ავტორიზებული განაცხადები, აგრეთვე განაცხადები, რომელსაც ავტორიზაციაზე უარი ეთქვა, ხელმისაწვდომია ინტერნეტში, <http://ec.europa.eu/nuhclaims/> მისამართზე. ავტორიზებული განაცხადის მაგალითია ისეთი საყოველთაოდ ცნობილი განაცხადი, როგორიცაა „აქტივირებული ნახშირი ხელს უწყობს ჭამის შემდეგ ჭარბი მეტე-ორიზმის შემცირებას“. სურსათზე ამ ნარჩერის გამოყენების პირობას ნარმოადგენს სურსათის პორციაში სულ ცოტა 1 გრამი აქტივირებული ნახშირის შემცველობა (ცხადია, აქტივირებული ნახშირის რეალური შემცველობა ეტიკეტზე უნდა მიეთითოს, კვებითი ლირებულების დეკლარაციასთან ახლოს) და მომხმარებელს აგრეთვე უნდა მიეროდოს ინფორმაცია, რომ სასურველი ეფექტი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი 1 გრამ აქტივირებულ ნახშირს მივიღებთ ჭამამდე სულ ცოტა 30 წთ-ით ადრე და კიდევ ერთ გრამს – ჭამის შემდეგ მაშინვე.

მეორე მაგალითია ასევე საკმაოდ ცნობილი განაცხადი იმის თაობაზე, რომ ალფა-ლინოლინის მჟავა (Alpha-linolenic acid, ALA) ხელს უწყობს სისხლში ქოლესტერინის ნორმალური დონის შენარჩუნებას. გაცემული ავტორიზაციის მიხედვით, ამ განაცხადის გამოყენება დაშვება მხოლოდ იმ სურსათზე, რომელიც შეიცავს სულ ცოტა 0,3 გ ალფა-ლინოლინის მჟავას და განაცხადთან ერთად მომხმარებელს აუცილებლად უნდა მიეროდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სასურველი ეფექტი მიიღწევა მხოლოდ ყოველდღიურად 2 გრამი ალფა-ლინოლინის მჟავის მიღების შემთხვევაში (და, ცხადია, კვებითი ლირებულების დეკლარაციას უნდა დაემატოს ალფა-ლინოლინის მჟავის რეალური შემცველობა პროდუქტში).

დამატებით, თუ სურსათის მიღება გარკვეული ჯგუფის მომხმარებლებისთვის არასასურველია ან თუკი ამ სურსათის ჭარბმა მოხმარებამ ადამიანის ჯანმრთელობას შესაძლოა აენოს – შესაბამისი მითითებები აუცილებლად უნდა განთავსდეს ეტიკეტზე (რეკალამაზე, საპრეზენტაციო დაფაზე), სადაც ჯანმრთელობის შესახებ განაცხადია განთავსებული²⁹⁶. წინასწარ შეფუთულ სურსათზე აგრეთვე უნდა განთავსდეს მითითება მრავალფეროვანი და დაბალანსებული დიეტისა და ჯანსაღი ცხოვრების სტილის მნიშვნელობის თაობაზე²⁹⁷.

²⁹⁶ Commission implementing decision of 24 January 2013 adopting guidelines for the implementation of specific conditions for health claims laid down in Article 10 of Regulation (EC) No 1924/2006 of the European Parliament and of the Council.

²⁹⁷ ეს განაცხად უნდა იყოს იმგვარი, რომ მომხმარებლისთვის გასაგები იყოს,

საგულისხმოა, რომ პროდუქტის ბრენდული დასახელებების გამოყენება, რომელიც არსებითად კვებით ღირებულების ან ჯანმრთელობის განაცხადს წარმოადგენს, დაიშვება მხოლოდ შესაბამის ავტორიზებულ განაცხადთან ერთად.

ჩვეულებრივ სურსათზე აკრძალულია შემდეგი შინაარსის ჯანმრთელობის განაცხადები:

- განაცხადი იმის თაობაზე, რომ ამ სურსათის მოხმარების გარეშე ჯანმრთელობას ზიანი მიადგება;
- განაცხადი, რომელიც მიუთითებს წონის დაკარგვის სიჩქარეზე ან რაოდენობაზე²⁹⁸;
- განაცხადი, რომელიც ცალკეული ექიმების ან ასოციაციების რჩევებს შეიცავს, გარდა მედიკოსთა ან კვების, ან ფიტის პროფესიონალთა ეროვნული ასოციაციებისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საქველმოქმედო ორგანიზაციებისა.
- ჯანმრთელობის არავითარი განაცხადი არ დაიშვება 1,2%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველ სასმელებზე.

ამავე დროს იმ სურსათზე, რომელიც სპეციალური სამედიცინო დანიშნულების დიეტისთვის არის განკუთვნილი, მითითება იმ დაავადებისა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, რომლის სამართავადაც/შესამსუბურებლად განკუთვნილია ეს პროდუქტი, არა მხოლოდ დაიშვება, არამედ სავალდებულოც არის²⁹⁹. თუმცა, მაგალითად, იმ სურსათზე, რომელიც მოხმარება, როგორც დამატებითი ვიტამინების და მინერალების ნეარო კვების ნორმალური რაციონის პირობებში (Food supplements), იკრძალება ამ პროდუქტების საშუალებით რაიმე დაავადების პრევენციის ან მორჩენის თაობაზე განაცხადების გაკეთება. აგრეთვე იკრძალება რაიმე ისეთი განაცხადის გაკეთება³⁰⁰, რომელიც გულისხმობს, რომ დაბალნაერებული და მრავალფეროვანი დიეტა არ უზრუნველყოფს ადამიანს მისთვის საჭირო ნუტრიენტებით.

ცალკე რეგულირდება განაცხადები კვებითი ღირებულების

რომ ამ კონკრეტული სურსათის მიღებაშ სარგებელი მხოლოდ მრავალფეროვანი და დაბალნაერებული დიეტისა და ჯანსაღი ცხოვრების სტილის ფონზე შეიძლება მოუტანოს.

298 ამ ტიპის განაცხადები სპეციალურად წონის დასაკლებ დიეტურ სურსათზეც კი არ დაიშვება (96/8/EC დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი).

299 1999/21/EC დირექტივის მიხედვით. დეტალურად გარჩეულია ზემოთ.

300 2002/46/EC დირექტივის მიხედვით.

შესახებ მინერალური წყლებისა და სპეციალური დანიშნულების პროდუქტებისათვის (მ.შ. ბავშვთა კვების პროდუქტებისთვის). დეტალები იხ. მე-4 დანართში. რაც შეეხება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადს, ბავშვთა კვების პროდუქტებზე დაიშვება განაცხადი იმის თაობაზე, რომ პროდუქტს დაბალი აქვს რძის ცილებზე ალერგიის რისკი, თუკი ეს განაცხადი მეცნიერულად დადასტურებულია³⁰¹.

დაბოლოს, გავიმეორებთ: იმ სურსათისთვის, რომელზეც განთავსებულია კვებითი ღირებულების ან ჯანმრთელობის განაცხადები, კვებითი ღირებულების აღწერა სავალდებულოა. თუ ის ნივთიერება ან ნუტრიენტი, რომელსაც განაცხადი ეხება, კვებით დეკლარაციის დაშვებულ შემადგენლობაში არ შედის, მისი შემცველობა უნდა მიეთითოს დეკლარაციის გარეთ, მაგრამ მის ახლომახლოს, მხედველობის იმავე არეში.

ბავშვთა კვება

ევროკავშირის კანონმდებლობით დამატებითი შეზღუდვებია დაწესებული ბავშვთა კვების პროდუქტების შეფუთვაზე ნებაყოფლობით განთავსებულ ინფორმაციაზე. კერძოდ, ამ პროდუქტებზე, აგრეთვე მათ რეკლამირებისას ან წარდგენისას იკრძალება ძუძუთი კვების მნიშვნელობის დამაკნინებელი რაიმე მითითების გაკეთება.³⁰² იკრძალება პროდუქტის დახასიათებისთვის გამოყენებულ იქნეს გამოთქმები: „ადამიანის რძის მსგავსი“, „დედის რძის მსგავსი“, „ადაპტირებული“ (humanised, maternalised, adapted) და მსგავსის გამოყენება. უფრო მეტიც – ამ პროდუქტებზე იკრძალება გამოყენებული იქნეს ჩვილი ბავშვების სურათები, რათა გამოირიცხოს მომზარებლის მიერ ამ პროდუქტების იდეალიზება ბავშვის მიმზიდველი სურათის გამო³⁰³.

301 მეტი დეტალები იხ. 2006/141/EC დირექტივის I და IV დანართებში.

302 2006/141/EC დირექტივის მიხედვით.

303 დაშვება ბავშვის გრაფიკული გამოხატულების გამოყენება პროდუქტის მომზადების ინსტრუქციაში.

პიოპროდუქტი

მომხმარებლისთვის სურსათის თაობაზე მიწოდებული ნებაყოფლობითი ინფორმაციის კიდევ ერთ სახეობას, რომელსაც კანონმდებლობა მკაცრად არეგულირებს, წარმოადგენს მითითება იმის თაობაზე, რომ სურსათი ორგანული (იგივე: ბიოლოგიური, ეკოლოგიური)³⁰⁴ სოფლის მეურნეობის პროდუქტია.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ორგანული წარმოება თანამეგობრობაში 1991 წლიდან რეგულირდება³⁰⁵: დადგენილია ასეთი წარმოების წესები და მათი დაცვის შემონმებისა და დადასტურების პროცედურები. ცხადია, ასეთი მეთოდით მიღებული წაწარმის მარკეტინგისთვის მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს შეეძლოს მისი გარჩევა სხვა პროდუქტისგან. ამიტომ სხვა პროდუქტებზე (ეტიკეტზე, სარეკლამო ან კომერციულ დოკუმენტაციაში) იკრძალება რაიმე ისეთი განაცხადის გაკეთება, რომელიც პროდუქტის შემძენს შეუქმნის შთაბეჭდილებას, რომ პროდუქტი ან მისი ინგრედიენტები ორგანული/ბიოლოგიური/ეკოლოგიური წარმოების გზითაა მიღებული. ასეთ პროდუქტების ეტიკეტზე აკრძალულია ნაწილაკების „ბიო“- და „ეკო“ „ორგანულ“- რაიმე სახით გამოყენება (მათ შორის საფირმო სახელწოდებაში).

აღნიშნული ნაწილაკების გამოყენება დაიშვება მხოლოდ ისეთ სურსათზე, რომელიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისგან შედგება³⁰⁶ და ამ კომპონენტების ჯამური წონის სულ ცოტა 95% ორგანულ/ბიო/ეკო წარმოშობისაა. თუკი პროდუქტის სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის კომპონენტებში არა-ორგანულ/ბიო/ეკო წარმოშობის პროდუქტები 5%-ზე მეტს შეადგენს, ორგანულ/ბიო/ეკო ტერმინების გამოყენება დაიშვება მხოლოდ ინგრედიენტების ჩამონათვალში³⁰⁷. ასეთ შემთხვევებში, ინგრედიენტების

304 ორგანული სოფლის მეურნეობის ალსანიშნავად სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სიტყვის ფუძე გამოიყენება: ინგლისურში - „organ-“, ბერძნულ, ფრანგულ, იტალიურ, პორტუგალიურ, ბულგარულ ენებში - „bio-“; გერმანულ, პოლონურ, რუმინულ და ევროპავმორის სხვა ენებში - „eko-“.

305 Council Regulation (EEC) No 2092/91 of 24 June 1991 on organic production of agricultural products and indications referring thereto on agricultural products and foodstuffs. 2009 წლიდან იგი ჩაანაცვლა 834/2007 რეგულაციამ (Council Regulation (EC) No 834/2007 of 28 June 2007 on organic production and labelling of organic products and repealing Regulation (EEC) No 2092/91).

306 წყალი და მარილი არ მიიღება მხედველობაში.

307 გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ეს არა-ორგანულ/ბიო/ეკო წარმოშობის

ჩამონათვალში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი ინგრედიენტებია ორგანულ/ბიო/ეკო წარმოშობის და რა პროცენტს შეადგენენ ისინი (ჯამურად) სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტების საერთო მასაში. ყველა ეს მითითება ინგრედიენტების ჩამონათვალში უნდა შესრულდეს იმავე შრიფტით, რაც სხვა წარწერები, რაიმე გამოყოფის ან ხაზგასმის გარეშე.

თავად ორგანულ/ბიო/ეკო წარმოშობის პროდუქტებზე სავალ-დებულოა ევროკავშირის შესაბამისი ლოგოს, ე.წ. „ევროკავშირის ფოთლის“ განთავსება (იხ. დანართი 5) და აგრეთვე იმ სასერტიფი-კაციო ორგანოს კოდის მითითება, რომელიც შესაბამის ორგანულ/ბიო/ეკო წარმოებას ზედამხედველობს. დამატებით უნდა მიეთითოს ნედლეულის წარმოშობა: კონკრეტული ქვეყანა ან უბრალოდ ევრო-კავშირის წევრია იგი თუ არა³⁰⁸.

მთის პროდუქტი

კიდევ ერთი ნებაყოფლობითი მითითება, რომლის გამოყენებაც ევროკავშირის კანონმდებლობით რეგულირდება, ეხება მითითებას იმის თაობაზე, რომ სურსათი „მთის პროდუქტია“ (Mountain product). ზემოთ მოხსენიებული 1151/2012 რეგულაციის³⁰⁹ მიხედვით, პროდუქტის ასეთი მოხსენიება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არა მხოლოდ თავად პროდუქტია დამზადებული მთიან რე-გიონში, არამედ გამოყენებული ნედლეულიც, მათ შორის ცხოველ-თა საკვებიც, რომლითაც იკვებებოდნენ ის ცხოველები, რისგანაც დამზადდა პროდუქტი.

ევროკავშირის შემთხვევაში „მთიანი რეგიონი“ (mountain areas) არის ტერიტორია, რომელიც აკმაყოფილებს 1257/1999 რეგულაცი-ის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, ეს არის რეგიონები, რომელშიც მიწათსარგებლობა მნიშვნელოვნად გართულებული და გაძვირებულია, შემდეგი გარემოებების გამო:

- ზღვის დონიდან დიდი სიმაღლით განპირობებული რთული

კომპონენტები ნანადირევს ან თევზაობის პროდუქტს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, ორგანულ/ბიო/ეკო ტერმინოლოგიის გამოყენება დაშვება ინგრედიენტების ჩამონათვალშიც და დასახელებასთანაც.

308 მითითებები კეთდება ასეთი ტექსტით: „EU Agriculture“ ან „Non EU Agriculture“.

309 Regulation (EU) No 1151/2012 of the European Parliament and of the Council of 21 November 2012 on quality schemes for agricultural products and foodstuffs.

- კლიმატური პირობები, რის გამოც მცენარეთა ზრდისა და ვეგეტაციის პერიოდი მნიშვნელოვნად შემცირებულია;
- სიმაღლე ზღვის დონიდან შედარებით ნაკლებია, მაგრამ ტერი-ტორიის დიდი ნაწილზე, მთის ფერდების ზედმეტი დახრი-ლობის გამო, ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება შეუძლებელია და საჭიროა ძალზე ძვირიანი სპე-ციალური მანქანა-დანადგარები;
 - ზემოთ მოხსენიებული ორი გარემოება მოქმედებს ერთდროუ-ლად ისე, რომ თითოეული მათგანის ზეგავლენა მაინცდამაინც მნიშვნელოვანი შესაძლოა არ იყოს, თუმცა მათი ერთობლივი ეფექტი მნიშვნელოვანია.

ევროკავშირის გარეთ მთის რეგიონად ითვლება რეგიონები, რომელთაც ეროვნული კანონმდებლობით აქვს ეს სტატუსი მინიჭე-ბული, ან აკმაყოფილებენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომელიც ზემოთ მითითებულის ანალოგიურია.

სხვა ნებაყოფლობითი მითითებები

როგორც ზემოთ სხვადასხვა ადგილას აღვნიშნეთ, ზოგიერთი პროდუქტისთვის კანონმდებლობა სხვა ნებაყოფლობითი მითითე-ბების გამოყენების პირობებსაც ადგენს. დღესდღეობით ეს ეხება სულ სამი ტიპის პროდუქტს: ფრინველის ხორცს, კვერცხსა და ზეი-თუნის ზეთს.

ფრინველის ხორცზე შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი ნე-ბაყოფლობითი მითითებები, თუკი შესაბამისი პირობები დაცულია³¹⁰:

- მითითება ფრინველის გამოსაკვებად გამოყენებულ საკვებზე: „გამოკვებილია ...% ...-ით“ (fed with ... % of...) დაიშვება მხ-ოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული პროდუქტები შეად-გენდა ფრინველის კვების რაციონის არანაკლებ:

 - 35%-ს მარცვლოვანი საკვების შემთხვევაში (სიმინდ-ისთვის 50%).
 - 5%-ს მწვნე საკვები/ბოსტნეულის ან რძის ნაწარ-მის³¹¹ შემთხვევაში;

³¹⁰ 543/2008 რეგულაციის V დანართის მიხედვით (იხ. ზემოთ).

³¹¹ მითითებული მწვანე საკვები/ბოსტნეული ფრინველის რაციონში წარმოდგე-ნილი უნდა იყოს ფრინველის სუქების მთელი პერიოდის განმავლობაში, რძის ნაწარმი კი – მხოლოდ სუქების პერიოდის დასრულების სტადიაზე.

- მითითება „რკოზე ნასუქი ბატი“ (oats fed goose) შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ფრინველი მატების ბოლო სამი კვირის განმავლობაში დღეში არა ნაკლებ 500 გრამ რკოს იღებდა.
- მითითებები ფრინველების მოშენების პირობებზე (გადაადგილების თავისუფლებასა და შესაძლებლობაზე) შეიძლება იყოს შემდეგი: „გაზრდილია დიდი ფართის დახურულ ფერმაში“ (extensive indoor/barn reared), „გაზრდილია ღია ცის ქვეშ“ (free range), „გაზრდილია ღია ცის ქვეშ, ტრადიციული მეთოდით“ (traditional free range), „გაზრდილია ღია ცის ქვეშ, სრულ თავისუფლებაში“ (free range – total freedom). ამ მითითებების გამოსაყენებლად დაცულ უნდა იქნეს რეგულაციით დადგენილი მინიმალური ფართი თითოეულ ფრინველზე და მინიმალური დრო, რომელიც მან დღის განმავლობაში ღია ცის ქვეშ ან თავისუფალი გადაადგილების პირობებში უნდა გაატაროს.
- ფრინველის დაკვლის ასაკის (age at slaughter) ან სუქების ხანგრძლივობის (length of fattening period) მითითება დაიშვება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ მითითებებთან ერთად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაცულია 543/2008 რეგულაციით დადგენილი დაკვლის მინიმალური ასაკი, სუქების პერიოდის ხანგრძლივობა და პირობები თითოეული ტიპის ფრინველისთვის.

კვერცხის შემთხვევაში დაიშვება შემდეგი ნებაყოფლობითი მითითებები³¹²:

- წარწერა „ახალი“ (Fresh) შეიძლება მიეთითოს A კლასის (იხ. ზემოთ) მითითების მაგივრად;
- წარწერა³¹³: „ექსტრა“ ან „ექსტრა ახალი“ (Extra fresh) დაიშვება A კლასის კვერცხზე, მისი დადებიდან მე-9 დღემდე. ასეთ მითითებას თან უნდა ახლდეს იოლად წასაკითხი მითითება კვერცხის დადების თარიღის და ამ თარიღიდან მე-9 დღის შესახებ;
- დაიშვება შემდეგი მითითებები კვერცხისმდებელი ქათმის კვების თაობაზე: „ქათამი გამოკვებილია მარცვლოვანი კულტურებით“ – თუ მარცვლოვანების საერთო რაოდენობა ქათმის კვების რაციონის სულ ცოტა 60%-ს შეადგენს (წონით). კონკრეტული მარცვლოვანი კულტურის მითითება კი დაიშვება

³¹² 589/2008 რეგულაციის მიხედვით.

³¹³ ექსტრა კლასის კვერცხის საპარტო კამერის სიმაღლე 4 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ბა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მარცვალი ქათმის კვების რაციონის სულ ცოტა 30%-ს შეადგენს. თუ რამდენიმე მარცვლოვანი კულტურა მითითებული, თითოეული მათგანი ქათმის კვების რაციონის სულ ცოტა 5%-ს უნდა შეადგენდეს.

ზეითუნის ზეთზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ნებაყოფლობითი მითითებები, თუკი შესაბამისი პირობები დაცულია³¹⁴:

- „პირველი ცივი გამოწურვა“ (first cold pressing) – ეს წარნერა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ხელუხლებელ ზეითუნის ზეთზე, რომელიც მიღებულია 27°C-ზე დაბალ ტემპერატურის ზეთისხილის მასისგან, პირველი მექანიკური გამოწურვის შედეგად, ტრადიციული გამოწურვის სისტემით, ჰიდრავლიკური პრესის გამოყენებით.
- „ცივი გამოწურვა“ (cold extraction) – ეს წარნერა შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ხელუხლებელ ზეითუნის ზეთზე, რომელიც მიღებულია 27°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე, ზეთისხილის პასტის პერკოლაციის ან ცენტრიფუგაში გატარების საშუალებით;
- მითითებები გემოსა და არომატზე შეიძლება იყოს: ცხარე (pungent), მწიფე ან მწვანე ხილის (fruity: ripe or green), მწარე (bitter), დაბალანსებული (well-balanced), რბილი ზეთის (mild oil). ამ მახასიათებელთან შეიძლება დამატებით გამოყენებულ იქნა ზედსართავები: მძაფრი/ინტენსიური (intense), ზომიერი (medium), სუსტი (light)³¹⁵. ჩამოთვლილი მითითებები შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ხელუხლებელ ზეითუნის ზეთზე, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაკმაყოფილებულია 2568/91 რეგულაციის XII დანართით განერილი, შესაბამისი ორგანოლეპტიკური მოთხოვნები.
- მითითებები ზეთის მჟავიანობის თაობაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავე ხედვის არქში, იმავე ზომის შრიფტით აგრეთვე მითითებულია პროდუქტის ზეჟანგული რიცხვი, ცვილის შემცველობა და ულტრაისფერი სხივების შთანთქმის უნარი. ამ მახასიათებლების გაზომვის მეთოდები აგრეთვე 2568/91 რეგულაციით არის დადგენილი.

თუ პროდუქტი წარმოადგენს სხვადასხვა ზეთის ნარევს, და ზეი-

314 29/2012 რეგულაციის მე-5 მუხლის მიხედვით (იხ. ზემოთ).

315 ჩამონათვალი აღებულია 1308/2013 რეგულაციის IX დანართიდან.

თუნის ზეთი მის ეტიკეტზე მოხსენიებულია სადმე, გარდა ინგრე-
დიენტების ჩამონათვალისა, ან მითითებულია სურათის ან ნახატის
საშუალებით, პროდუქტზე სავალდებულოა განთავსდეს შემდეგი
წარწერა: „[მცენარეული] ზეთებისა და ზეითუნის ზეთის ნარევი“
(Blend of vegetable oils and olive oil), რის შემდეგაც მიეთითება ზეი-
თუნის ზეთის ნილი ნარევში.³¹⁶ თავის მხრივ ზეთისხილის/ზეითუ-
ნის ზეთის ამსახველი სურათების ან ნახატის გამოყენება ასეთი
პროდუქტების ეტიკეტზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ
ზეითუნის ზეთის ნილი ნარევში 50%-ზე მეტია.

316 29/2012 რეგულაციის მე-6 მუხლის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები

1. The Food Labelling Regulations 1996: guidance notes, Food Standards Agency, UK, January 1997, <http://multimedia.food.gov.uk/multimedia/pdfs/Fguidnot1.pdf>
2. General guidelines for implementing the principle of Quantitative Ingredients Declaration (QUID) – Article 7 of Directive 79/112/EEC as amended by Directive 97/4/EC, European Commission, III/5260-rev5/98, 21 December 1998, <http://ec.europa.eu/food/fs/fl/fl02-en.pdf>
3. Guidance notes on nutrition labelling, Food Standards Agency, UK, December 1999, <http://multimedia.food.gov.uk/multimedia/pdfs/nutlabel2.pdf>
4. Food Labelling in the UK: A Guide to the Regulations, Prepared by David Jukes, Department of Food and Nutritional Sciences, The University of Reading, <http://www.reading.ac.uk/foodlaw/label/>
5. The Food Labelling Regulations 1996: guidance notes on Quantitative Ingredients Declaration (QUID), Food Standards Agency, UK, March 2003, <http://multimedia.food.gov.uk/multimedia/pdfs/quid.pdf>
6. Labelling and Composition of Meat Products, Guidance Notes, Food Standards Agency, UK, September 2003, <http://meatcontent.com/compmeat-guid.pdf>
7. Guidelines regarding to article 6 paragraph 10 of directive 2000/13/EC as amended by directive 2003/89/EC, DG SANCO, <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/foodlabelling/guidelines-6-10.pdf>
8. Food standards: labelling, durability and composition, Requirements for products listed under food standards legislation, such as bottled water, milk, fish and meat; table of UK mineral waters; ‘best before’ dates, Department for Environment, Food & Rural Affairs, Government of UK, <https://www.gov.uk/food-standards-labelling-durability-and-composition>

9. Guidance Notes on Reg (EC) No 1829/2003 and Reg (EC) No 1830/2003, Food Standards Agency and Department for Environment, Food and Rural Affairs, UK, August 2007, <http://www.defra.gov.uk/nutrition/guidance/guidance.pdf>

10. Europeqn Regulation (EC) No 1924/2006 on nutrition and health claims made on foods, Food Standards Agency guidance to compliance, UK, April 2008, <http://multimedia.food.gov.uk/multimedia/pdfs/ec-19242006complianceguide.pdf>

11. Clear Food Labelling Guidance Notes, Best Practice Guide, Food Standards Agency, UK, June 2008, <http://multimedia.food.gov.uk/multimedia/pdfs/clearfoodlabelling.pdf>

12. Country of Origin Labelling Guidance, Food Standards Agency, UK, 31 October 2008, <http://multimedia.food.gov.uk/multimedia/pdfs/originlabellingguidance.pdf>

13. Impact Assessment Report accompanying the Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of Regions on Agricultural Product Quality Policy, Commission staff working document, SEC(2009) 670, Brussels, 28.5.2009, <http://ec.europa.eu/smart-regulation/impact/ia-carried-out/docs/ia-2009/sec-2009-0670-en.pdf>

14. Marketing Standards, Annex A(II) of the Impact Assessment Report accompanying the Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of Regions on Agricultural Product Quality Policy, Version: 08-4-09, <http://ec.europa.eu/agriculture/quality/policy/com2009-234/ia-annex-a2-en.pdf>

15. Marketing standards in the fruit and vegetable sector, AND International, Agri 2009 – Eval-07, <http://ec.europa.eu/agriculture/analysis/external/fruitveg-markets/exec-sum-en.pdf>

16. Guidance on the application of date labels to food, Department for Environment, Food and Rural Affairs, UK, September 2011, <http://www.reading.ac.uk/foodlaw/label/dates-defra-guidance-2011.pdf>
17. European Union Marketing Standards for Fresh Horticultural Produce, A Guide for Retailers, Horticultural Marketing Inspection, DEFRA/RPA, UK 2012 <https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment-data/file/299236/EU-Marketing-Standards-A-Guide-for-Retailers.pdf>
18. Overview of changes to food labelling introduced under the new Food Information Regulation, Food Safety Authority of Ireland, July 2012, <http://www.fsai.ie/Overviewofchangestofoodlabellingintroducedunderthenewfoodinformationregulation.html>
19. The Food Information Regulations 2013, Guide to compliance, DEFRA UK, November 2012, <https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment-data/file/82663/consult-fic-guidance-20121116.pdf>
20. Study on the application of rules on voluntary origin labelling of foods and on the mandatory indication of country of origin or place of provenance of meat used as an ingredient, Final Report – Assessment B, Submitted by: Food Chain Evaluation Consortium (FCEC), EC DG SANCO, Brussels, 10 July 2013, <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/foodlabelling/docs/fcec-labelling-part-b-en.pdf> da <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/foodlabelling/docs/fcec-labelling-part-a-en.pdf>
21. Questions and Answers on the application of the Regulation (EU) N° 1169/2011 on the provision of food information to consumers, EC DG SANCO, 31 January 2013, <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/foodlabelling/docs/qanda-application-reg1169-2011-en.pdf>
22. Report for the European Parliament and the Council regarding the mandatory indication of the country of origin or place of provenance for meat used as an ingredient, COM(2013)755, EC DG SANCO, 17 December 2013, <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/foodlabelling/docs/com-2013-755-en.pdf>

23. Origin labelling for meat used as an ingredient: consumers' attitude, feasibility of possible scenarios and impacts, SWD(2013)437, EC DG SAN-CO, 17 December 2013 <http://ec.europa.eu/food/food/labellingnutrition/foodlabelling/docs/com-2013-755-en.pdf>

დანართი 1: ალერგიის გამომწვევი ნივთიერებები

(1169/2011 რეგულაციის მე-2 დანართის მიხედვით)

1. გლუტენის შემცველი ბურღულეული, კერძოდ, ხორბალი (მათ შორის ზანდური (spelt, ποπόνα) და ინგლისური ხორბალი (khorasan wheat)), ჭვავი, ქერი, შერია, ასევე მათი ჰიბრიდული ჯიშები და მათი პროდუქტები, გარდა:

(ა) ხორბლის ბაზაზე დამზადებული გლუკოზის სიროფებისა (მ.შ. დექსტროზა);

(ბ) ხორბლის ბაზაზე დამზადებული მალტოდექსტრინებისა;

(ც) ქერის ბაზაზე დამზადებული გლუკოზის სიროფებისა;

(დ) სპირტების მისაღებად გამოყენებული ბურღულეულისა.

2. კიბოსნაირები და მათი პროდუქტები;

3. კვერცხი და კვერცხის გამოყენები;

4. თევზი და თევზის პროდუქტები, გარდა თევზის უელატინისა, თუკი იგი ვიტამინების ან კაროტინოიდების პრეპარატების გამზადებლად გამოიყენება; აგრეთვე თევზის უელატინის ან თევზის საცურაო ბუშტისგან წარმოებული კოლაგენისა, რომელიც ღვინისა და ლუდის გაწმენდისათვის გამოიყენება;

5. მიწის თხილი და მისი პროდუქტები;

6. სოიო და მისი პროდუქტები, გარდა:

(ა) სრულად რაფინირებული სოიოს ზეთისა და ცხიმისა;

(ბ) სოიოსგან მიღებული ტოკოფეროლებისა;

(ც) სოიოს ზეთებისა, რომელსაც მომროებული აქვს ფიტოსტეროლები და მათი ეთერები;

(დ) სოიოს ზეთის სტეროლებისგან გამოყოფილი სტანოლის ეთერებისა;

7. რძე და მისი პროდუქტები (მათ შორის ლაქტოზა), გარდა:

(ა) სპირტის დისტილატების (მ.შ. ეთილის სპირტის) მისაღებად გამოყენებული შრატისა

(ბ) ლაქტიტოლისა (lactitol);

8. თხილეული, კერძოდ: ნუში (Amygdalus communis L.), თხილი (Corylus avellana), ნიგოზი/კაკალი (Juglans regia), აკაჯუ (cashew, Anacardium occidentale), ჰეკანი (Carya illinoinensis), ბრაზილიური თხილი (Bertholletia excelsa), ფსტა (Pistacia vera), მაკადამია (Macadamia ternifolia), და მათი პროდუქტები, გარდა სპირტების მისაღებად გამოყენებული თხილეულისა.

9. ნიახური და მისი პროდუქტები;

10. მდოგვი და მისი პროდუქტები;
11. ქუნჯუტის/სიმსიმის თესლი (sesame seeds) და მისი პროდუქტები;
12. გოგირდის ორჟანგი და სულფიტები³¹⁷;
13. ხანჭკოლა (ლუპინი) და მისი პროდუქტები;
14. მოლუსკები და მათი პროდუქტები.

³¹⁷ თუ მათი კონცენტრაცია მოხმარებისთვის მზა პროდუქტში აღემატება 10 მგ/კგ-ს ან 10 მგ/ლ-ს, SO_2 -ზე გადაანგარიშებით.

დანართი 2: ინგრედიენტები, რომელთა მოხსენიება დაიშვება კრეპსითი (კატეგორიის) დასახელებით³¹⁸

კატეგორიის აღწერა	დაშვეული დასახელება	დამტებითი მოთხოვნა/პირობა
რაფინირებული ზეთიბი, გარდა ზეთიუნის ზეთისა	„შეცნარეული ზეთი/ცხიმი“ ³¹⁹	მიეთითოს, თუ ცხიმი ჰიდროგენიზებულია ³²⁰
ცხოველური წარმომიბის რაფინირებული ქონი/ცხიმი	„ცხოველური ქონი/ცხიმი“	
სხვადასხვა ბურლულულისგან დამსადებული ჯეკილის ნარცისი	„ჯეკილი“	ჩამოითვალის გამოყენებული ბურლულული, კუბის მიხედვით
სასამებლები, აგრეთვე ფიზიკური ან ფიზიქურების საშუალებით მოდიფიცირებული სასამებლები	„სასამებლები“	თუკი მცენარე, რომლისგანაც სასამებელი მიღებულა, შეცვას გლუტენს, ის უნდა მიეთითოს
თევზის ყველა სახეობა	„თევზი“	თუ სურსათის დასახელება ან წარდგენა არ მიუთითებს საეცვალეურ თევზზე
ყველის ყველა სახეობა	„ყველი“	თუ სურსათის დასახელება ან წარდგენა არ მიუთითებს საეცვალეურ ყველზე
ყველა ტიპის სუნელი	„სუნელები“	თუ სუნელების ჯამური რაოდენობა არ აღემატება სურსათის მასის 2%-ს.
ყველა ტიპის მწვანილი	„მწვანილი“	თუ მწვანილის ჯამური რაოდენობა არ აღემატება სურსათის მასის 2%-ს.
საღაჭი რეზინის ფერის ფუნქციას მქონე ყველა ტიპის ნარცისი	„გუმფისის/კვეის ფუძე“ (gum base)	
ყველა ტიპის ორგაზაბილისგან დამზადებული ფხვნილი/საფნელი	„ორგაზობილის საფნელი“ ("crumbs"/ "rusks")	
ყველა ტიპის საჭროზა	„შაქარი“	
უქსლონ დექსტროზა ან დექსტროზის მინოპიდრატი	„დექსტროზა“	
გლუკოზის სიროფი ან გლუკოზის უნილო სიროფი	„გლუკოზის სიროფი“	
ყველა ტიპის რძის ცილები და მათი ნარცისი	„რძის ცილები“	

318 ცხრილი მომზადებულია 2000/13/EC დირქტივის მე-6 მუხლისა და 1-ლი დანართის, აგრეთვე 1169/2011 რეგულაციის მე-18 მუხლისა და VII დანართის „B“ ნაწილის მიხედვით.

319 ეს წესი მოქმედებს მხოლოდ 2014 წლის 13 დეკემბრამდე. ამ ვადის შემდეგ სავალდებულოა ყველა იმ მცენარის მითითება, რომლის ცხიმიც გამოყენებულია.

320 2014 წლის 13 დეკემბრიდან აუცილებელია დაკონკრეტება - სრულად ჰიდროგენიზებულია, თუ ნაწილობრივ ჰიდროგენიზებულია.

ყველა მეთოდით მიღებული, არეთვე რაფინირებული კავაოს ცხიმი	„კაპაოს ცხიმი“													
ყველა ტიპის ღვინო	„ღვინო“													
ძუძუმწოდებისა და ფრინველების ჩონჩხის კუნთები ³²¹ , თამადვი ან გარემონტველი შემაგრინებელი ქსოვილით და ცხიმით	„[ცხოველი/ფრინველი]-ს ხორცი“	<table border="1"> <tr> <td>ცხიმისა და კოლაგენის შემცველობა³²² და არ აღმატება³²³ შემდეგს:</td> <td>ცხიმი</td> <td>კოლაგენი</td> </tr> <tr> <td>ღორი</td> <td>30%</td> <td>25%</td> </tr> <tr> <td>ფრინველი და კურდლელი</td> <td>15%</td> <td>10%</td> </tr> <tr> <td>ძუძუმწოდები სხვა</td> <td>25%</td> <td>25%</td> </tr> </table>	ცხიმისა და კოლაგენის შემცველობა ³²² და არ აღმატება ³²³ შემდეგს:	ცხიმი	კოლაგენი	ღორი	30%	25%	ფრინველი და კურდლელი	15%	10%	ძუძუმწოდები სხვა	25%	25%
ცხიმისა და კოლაგენის შემცველობა ³²² და არ აღმატება ³²³ შემდეგს:	ცხიმი	კოლაგენი												
ღორი	30%	25%												
ფრინველი და კურდლელი	15%	10%												
ძუძუმწოდები სხვა	25%	25%												
ყველა ტიპის მექანიკურად გამოცალვებული ხორცი	„[ცხოველი/ფრინველი]-ს მექანიკურად გამოცალვებული ხორცი“													

321 ამ განმარტებას არ მიეკუთვნება:

- კუდისა და თავფეხის (თავის და თათის) კუნთები, გარდა საღეჭი კუნ-
თებისა, და შეგნეულობა, გარდა დიაფრაგმისა;
- ე.წ. „მექანიკურად გამოცალვებული ხორცი“ (mechanically separated meat, MSM), ანუ ძვლებზე დარჩენილი ხორცი, რომლის ჩამოფხეკა/გამოცალვება ძვლები-
დან ხორციელდება სპეციალური მექანიკური საშუალებებით, რაც კუნთის ბოჭკოვანი
სტრუქტურის კარგვისა ან შეცვლას იწვევს.

322 იგულისხმება კოლაგენის ნილი ხორცის ცილებში (collagen/meat protein ratio).
კოლაგენის შემცველობა განისაზღვრება ჰიდროქსიპროლინის შემცველობის გამრავ-
ლებით 8-ზე.

323 თუ ცხიმის ან კოლაგენის შემცველობა მითითებულ ზღვრულ მნიშვნელო-
ბებს აღმატება, თუმცა სხვა კრიტერიუმები და კამაყოფილებულია, გადამეტებული
ცხიმისა და კოლაგენის რაოდენობა არ ჩაითვლება ხორცის რაოდენობაში და მიეთითე-
ბა ცალკე, როგორც დამატებული ქონი და შემაერთებელი ქსოვილი.

დანართი 3: ხილის და ბოსტნეულის მარკეტინგული სტანდარტები

1234/2007 რეგულაციის³²⁴ 113^a მუხლის მიხედვით ევროკავშირის ბაზარზე გატანილი ნედლი ხილი და ბოსტნეული უნდა აკმაყოფილებ-დეს მოთხოვნებს, რომელსაც ევროკომისიის მიერ გამოცემული აღ-მასრულებელი რეგულაცია³²⁵ „ზოგად მარკეტინგულ სტანდარტს (General Marketing Standard, GMS) უწოდებს. GMS დაცვა აუცილე-ბელია ყველა ხილსა და ბოსტნეულის გაყიდვისას³²⁶, გარდა შემდეგი პროდუქტებისა: მნარე ნუში, გარჩეული ნუში, გარჩეული თხილი, ნიგოზი, პეკანი (pecan), ფსტა (pistachio), კედარის თესლი (pine nuts), მაკადამია (macadamia) და სხვა თხილეული, ველური სოკო, ზაფრანა, კაპარი (caper), პლანტანის ჩირი და ციტრუსების ჩირი.

ზოგადი მარკეტინგული სტანდარტის მოთხოვნები.

1. ხარისხის მინიმალური მოთხოვნები

პროდუქტი:

- არ არის დაზიანებული
- სალია, არ აქვს გაფუჭების ნიშნები;
- სუფთაა, პრაქტიკულად არ შეიცავს რამე უცხო მასალას;
- პრაქტიკულად არ შეიცავს მწერებს;
- პრაქტიკულად არ გაჩნია მწერებისგან მიყენებული დაზიანება;
- არ გააჩნია რამე უცხო სისველე;
- არ გააჩნია რამე უცხო სუნი ან გემო.

პროდუქტის მდგომარეობა უნდა იყოს იმგვარი, რომ გაუძლოს ტრანსპორტირებას და გადაზიდვას და ჩავიდეს დანიშნულების ადგ-ილას დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

2. სიმწიფის მინიმალური მოთხოვნები

³²⁴ Council Regulation (EC) No 1234/2007 of 22 October 2007 establishing a common organisation of agricultural markets and on specific provisions for certain agricultural products (Single CMO Regulation).

³²⁵ Commission Implementing Regulation (EU) No 543/2011 of 7 June 2011 laying down detailed rules for the application of Council Regulation (EC) No 1234/2007 in respect of the fruit and vegetables and processed fruit and vegetables sectors.

³²⁶ ევროკავშირის კანონმდებლობით ბაზანი და ზეთისხილი ხილ-ბოსტნეულში არ შედის. ისინი ცალკე რეგულირდება.

პროდუქტი უნდა იყოს საკმარისად განვითარებული და მწიფე, მაგრამ არა გადამნიფებული. სიმწიფის და განვითარების დონე უნდა იყოს იმგვარი, რომ პროდუქტი აგრძელებდეს დამწიფებას და შეეძლოს დამაკმაყოფილებელი სიმწიფის მიღწევა.

3. დაშვებული წუნი

თითოეულ პარტიაში დაშვებულია პროდუქციის 10% (რაოდენობით ან წონით) არ აკმაყოფილებდეს ხარისხის მინიმალურ მოთხოვნებს. აქედან მხოლოდ 2% შეიძლება იყოს გაფუჭების/ლპობის ნიშნებით.

4. ეტიკეტირება

A. საიდენტიფიკაციო მონაცემები

შეფუთვაზე მითითებული უნდა იყოს შემფუთავის ან გამომგზავნის დასახელება და მისამართი, შესაძლებელია, ამის ნაცვლად მიეთითოს შემფუთავის/გამომგზავნის ოფიციალური კოდი. თუ პროდუქცია წინასწარ დაფასოებულია, შესაძლებელია, დაეწეროს „შეფუთულია დაკვეთით“ და მიეთითოს გამყიდველის დასახელება და მისამართი, თუმცა ასეთ შემთხვევაში, აგრეთვე მითითებული უნდა იყოს შემფუთავის/გამომგზავნის შიდა კოდი, რომლითაც გამყიდველს შეუძლია ამ შემფუთავის/გამომგზავნის იდენტიფიცირება.

B. წარმოშობა

მითითებული უნდა იყოს წარმოშობის ქვეყნის სრული დასახელება, მიმღები ქვეყნის მომხმარებლებისთვის გასაგებ ენაზე (ან წარმოშობის ქვეყნის ენაზე – თუკი ეს ევროკავშირის წევრი-ქვეყნაა).

შემდეგ ხილსა და ბოსტნეულისათვის დამატებით დადგენილია სპეციალური მარკეტინგული სტანდარტები³²⁷: ვაშლი, მსხალი, ატა-

327 2008 წლამდე ევროკავშირში სპეციალური მარკეტინგული სტანდარტები არსებობდა კიდევ 26 პროდუქტისთვის. ესენია: ბალი/ალუბალი, ჭერამი/გარგარი, ქლიავი, ავოკადო, ნესვი, საზამთრო, თხილი, კაკალი, ბადრიჯანი, ყაბაყი, კიტრი, მწვანე ლობიო, ბარდა, სტაფილო, კომბოსტო, ბრიუსელის კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ისპანაზი, დიდი (წახნაგოვანი) ნიახური, პრასი (leek), ნიორი, ხახვი, სატაცური (asparagus), არდი (chicory), კულტივირებული ქამა სოკო. 1221/2008 რეგულაციით (Commission Regulation (EC) No 1221/2008 of 5 December 2008 amending Regulation (EC) No 1580/2007 laying down implementing rules of Council Regulations (EC) No 2200/96,

მი და ვაშლატამა (ნექტარინი), ციტრუსები, კივი, სუფრის ყურძენი, მარწყვი, პომიდორი, ბულგარული წინაკა, სალათის ფოთოლი.³²⁸

გარდა ამისა, ევროკავშირი ცნობს UNECE-ს მიერ შემუშავებულ მარკეტინგულ სტანდარტებს. მათი დაცვა უტოლდება GMS-ის დაცვას. UNECE-ს მარკეტინგული სტანდარტები შემუშავებული აქვს შემდეგი ნედლი ხილისა და ბოსტნეულისათვის: ვაშლი, მსხალი, ატამი და ვაშლატამა (ნექტარინი), ციტრუსები, ქლიავი, ჭერამი, ბალი/ალუბალი, სუფრის ყურძენი, ლელვი, წაბლი, მანგო, ავოკადო, კივი, ანონა (ანნონა), ანანასი, მარწყვი, სხვა კენკროვნები, საზამთრო, ნესვი, კიტრი, პომიდორი, ყაბაყი, ბადრიჯანი, მწვანე ლობი, ბარდა, მწარე წინაკა, ბულგარული წინაკა, სტაფილო, კარტოფილი, ფესვურა და ტუბერისებრი ბოსტნეული სხვა (ჭარბალი, ბოლოკი, თალღამი, თალღამურა (ბრიოქვა), ვარდაკაჭაჭას ძირი, ოხრახუშის ძირი, ნიახურის ძირი, ძირთეთრა, კოლრაბი), ნიორი, ხახვი, წვრილი ხახვი (სპალლოტს), კომბოსტო, ბრუსელის კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ჩინური კომბოსტო, ბროკოლი, დიდი (წახნაგოვანი) ნიახური, რაბარბის ფოთლები (rhubarb), არტიშოკი (artichokes), სატაცური (asparagus), არდი (Witloof chicory), პრასი (leek), დიდი კამა (fennel), ფოთლოვანი სალათები, ფოთლოვანი ბოსტნეული სხვა (ისპანახი, წიწმატი, ჭარბლის ფოთოლი, ბოლოკის ფოთოლი), კულტივირებული ქამა სოკო, დათვის სოკო (ceps), მიქლიო (chanterelles), ტრუფელი. მშრალი ხილ-ბოსტნეულის მარკეტინგული სტანდარტები კი UNECE-ს შემუშავებული აქვს შემდეგი პროდუქტებისთვის: კაკალი, ნიგოზი, თხილი, თხილის გული, ნუში ნაჭუჭიანი, ნუშის გული, ნუშის გული დამდულრული, ბრაზილიური თხილი (Brazil nut) ნაჭუჭიანი და გარჩეული, აკაჟუ (Cashew) გარჩეული, მაკადამია (Macadamia) ნაჭუჭიანი და გარჩეული, კედარის თესლი (პინე ნუტს), ფსტა ნაჭუჭიანი, ფსტა გარჩეული, ვაშლის ჩირი, მსხლის ჩირი, ატმის ჩირი, ქლიავის ჩირი, ჭერმის (გარგრის) ჩირი, ლელვის ჩირი, ქიშმიში, მანგოს ჩირი, პომიდორის ჩირი, გამხმარი მწარე წინაკა. UNECE სტანდარტები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://www.unece.org/trade/agr/welcome>.

(EC) No 2201/96 and (EC) No 1182/2007 in the fruit and vegetable sector as regards marketing standards) ეს სპეციალური სტანდარტები გაუქმდა. ამჟამად ამ პროდუქტებისთვის საკმარისია GMS დაცვა. (იხ. <http://ec.europa.eu/agriculture/fruit-and-vegetables/marketing-standards/index-en.htm>)

328 ეს 10 პროდუქტი ევროკავშირის ხილ-ბოსტნეულის ბაზრის 75%-ს წარმოადგენს [15].

html³²⁹. ზოგიერთი ამ სტანდარტისთვის OECD-ს³³⁰ აქვს მომზადებული განმარტებითი ბროშურები სურათებით, რაც სტანდარტების გამოყენებას მნიშვნელოვნად აიოლებს. ეს ბროშურები ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.oecd.org/tad/code/oecdfruitandvegetablesstandardsbrochures.htm>.

329 სტანდარტების განმარტებითი ბროშურებს OECD ამზადებს არა მხოლოდ UN-ECE სტანდარტების, არამედ აგრეთვე კოდექს-ალიმენტარიუსის სტანდარტებისთვის. დღეისათვის ასეთი განმარტებითი ბროშურები გამოცემულია შემდეგი პროდუქტებისთვის: ვაშლი, ატამი და ვაშლატამა (ნექტარინი), მისალი, ქლიავი, ჭერამი (გარგარი), ავოკადო, მანგო, ნესვი, საზამთო, ბრონეული, მარწვევი, სუფრის ყურძენი, სატაცური (asparagus), მწანე ლობიო (beans), ბროკოლი, სტაფილო, კიტრი, ციტრუსები, აულტივირებული ქაბი სოკი, თხბლი, კივი, ფოთლოვანი სალათები, ხახვა, კარტოფილი, პომიდორი, არდა (Witloof chicory). დამატებით ასეთი ბროშურები თავად UNECE-ს აქვს მომზადებული 4 ტიპის პროდუქტისთვის: ნედლი მწარე წინაკა, ხმელი მწარე წინაკა, ბულგარული წინაკა და ანანასი. ეს ოთხი ბროშურა ხელმისაწვდომია <http://www.unece.org/trade/agr/veh-gverdze>.

330 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organisation for Economic Co-operation and Development). ჩამოყალიბდა 1960 წელს 20 ქვეყნის მიერ (ავსტრია, აშშ, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დანია, ესპანეთი, თურქეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, კანადა, ლუქსენბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვედთი, შვეიცარია). შემდგომში მას აგრეთვე შეუერთდა ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია, ფინეთი. ორგანიზაციის ვებ-გვერდია <http://www.oecd.org>.

დანართი 4: დაშვებული განაცხადები სურსათის კვებითი ლი- რებულების თაობაზე და მათი გამოყენების პირობები

ცხრილის პირველ და მეორე სვეტში მოყვანილი განაცხადები ან სხვა განაცხადები, რომელთაც მომებარებლის თვალსაზრისით იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლოა გაკეთდეს პროდუქტზე (ეტიკეტზე, რეკლამაზე ან პროდუქტის ნარდენის სხვა საშუალებებზე) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი ამ ცხრილის მე-3 სვეტში მითითებულ პირობებს აკმაყოფილებს.³³¹

დაბალენერგეტიკული	Low energy	პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება არ აღემატება 40 კკალ (170 კგ)/100 გრამზე მყარი სურსათისთვის და 20 კკალ (80 კგ)/100 მილილიტრზე თხევადი სურსათისთვის. შაქრის შემცველებისთვის, რომელიც იყიდება რაღორც ცალკე პროდუქტი, 1 პორციის ³³² ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4 კკალ (17 კგ)
ენერგიის გარეშე	Energy-free	პროდუქტი შეიცავს არა უმეტეს 4 კკალ (17 კგ)/100 მილილიტრზე. შაქრის შემცველებისთვის, რომელიც იყიდება როგორც ცალკე პროდუქტი, 1 პორციის ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 0,4 კკალ (1,7 კგ)
ცხიმის დაბალი შემცველობა	Low fat	ცხიმის შემცველობა პროდუქტში არ აღემატება 3 გრამს/100 გრამზე მყრი სურსათისთვის და 1,5 გრამს /100 მილილიტრზე თხევადი სურსათისთვის (1,8 გრამ/100 მილილიტრზე ნახტვა-ცხიმისტილ რასითვებს)
ცხიმის გარეშე	Fat-free	ცხიმის შემცველობა 100 გრამ (100 მილილიტრ) პროდუქტში არ აღემატება 0,5 გრამს. გარდა დება „X% ცხიმის გარეშე“ უკრძალება.
ნაჯერი ცხიმის დაბალი შემცველობა	Low saturated fat	ნაჯერი ცხიმისა და ტრანს-ცხიმოვანი შეავების ჯამური რაოდენობა პროდუქტში არ აღემატება 1,5 გრამს /100 გრამში მყრი პროდუქტისთვის და 0,75 გრამს/100 მილილიტრში თხევადი პროდუქტისთვის და ორივე შემთხვევაში - ცხიმისა და ტრანს-ცხიმოვანი შეავების წილი პროდუქტს ენერგეტიკულ ღირებულებაში არ აღემატება 10% -ს.
ნაჯერი ცხიმის გარეშე	Saturate fat-free	ნაჯერი ცხიმისა და ტრანს-ცხიმოვანი შეავების ჯამური რაოდენობა პროდუქტში არ აღემატება 0,1 გრამს 100 გრამ (100 მილილიტრ) პროდუქტზე.
შაქრის დაბალი შემცველობა	Low sugars	პროდუქტი შეიცავს არა უმეტეს 5 გ შაქრებს 100

331 1924/2006 რეგულაციის დანართის მიხედვით.

332 პიროციად ითვლება დამატებობლის ისეთი რაოდენობა, რომლის სიტუბო ექვივალენტურია 1 ჩაის კოვზი (ზე) შაქრის (საქართველოს) სიტუბოსი.

		გრამზე - მყარი პროდუქტის შემთხვევაში, და არა უმეტეს 2,5 გ შეკრებს პროდუქტის 100 მილილიტრზე - თისევადი პროდუქტის შემთხვევაში.
შაქრბის გარეშე	Sugar free	პროდუქტის 100 გრამი (100 მილილიტრი) შეიცავს არა უმეტეს 0,5 გ შეკრებს.
შაქრბის დამატების გარეშე	With no added sugars	პროდუქტი არ შეიცავს არავითარ მონა ან დისაქტი ან რიაზე დამატებობულს. თუ სურსათი შეკრებს ბურებუღა შეცდეს, მასზე უნდა იყოს მოთხოვება „ბურბინივად შეიცავს შეკრებს“ (Contains naturally occurring sugars)
მარილის/ნატრიუმის დაბალი შემცველობა	Low sodium/salt	პროდუქტის 100 გრამი (100 მილილიტრი) შეიცავს არა უმეტეს 0,12 გ ნატრიუმს (ან სუფრის მარილის კვავალებულურ იღებისას). ხოლო წყლის შემთხვევაში (არა განებრივი მნიშვნელური წყლებისა) - არა უმეტეს 2 მგ ნატრიუმისა 100 მლ-ზე.
მარილის/ნატრიუმის მაღალი შემცველობა	Very low sodium/salt	პროდუქტის 100 გრამი (100 მილილიტრი) შეიცავს არა უმეტეს 0,04 გ ნატრიუმს (ან სუფრის მარილის კვავალებულურ იღებისას). ნატრიუმულ მინერალურ წყლებზე და სხვა წყლებზე ამ განცხადის გაკვირვება არ დამჭვერა.
ნატრიუმის გარეშე ან მარილის გარეშე	Sodium free or Salt free	პროდუქტის 100 გრამში შეცდას არა უმეტეს 0,005 გ ნატრიუმს (ან სუფრის მარილის კვავალებულურ იღებისას).
არ აქვს დამატებული მარილი	No added sodium/salt	პროდუქტის ან მის ინგრედიენტების არ აქვს დამატებული არა ნატრიუმი და არა სუფრის მარილი და პროდუქტის 100 გრამი (100 მილილიტრი) შეიცავს არა უმეტეს 0,12 გ ნატრიუმს (ან სუფრის მარილის კვავალებულურ იღებისას).
ბოჭკოს წყარო	Source of fibre	პროდუქტი შეიცავს სულ ცოტა 3 გრამ ბიჭვის ყოვლ 100 გრამზე ან 1,5 გრამ ბიჭვის ყოვლ 100 კილოგრამისზე.
ბოჭკოს მაღალი შემცველობა	High fibre	პროდუქტი შეიცავს სულ ცოტა 6 გრამ ბიჭვის ყოვლ 100 გრამზე ან 3 გრამ ბიჭვის ყოვლ 100 კილოგრამისზე.
ცილის წყარო	Source of protein	ცილ უზრუნველყოფს პროდუქტის უზრუნველყოფილი დირექტულების სულ ცოტა 12%-ს.
ცილის მაღალი შემცველობა	High protein	ცილ უზრუნველყოფს პროდუქტის უზრუნველყოფილი დირექტულების სულ ცოტა 20%-ს.
ვიტამინის/მინერალის წყარო	Source	პროდუქტი მინერალი ან ვიტამინი წამოიღებულია სულ ცოტა დღიური რეკორდული ნორმის 15%-ის იღებისთვის.
ვიტამინის/მინერალის მაღალი შემცველობა	High	პროდუქტი მინერალ ან ვიტამინი წამოიღებულია სულ ცოტა დღიური რეკორდული ნორმის 30%-ის იღებისთვის.
შეიცავს ნეტრიენტს/ნივთიერებას	Contains	ვიტამინის/მინერალის შემთხვევაში ეს განცხადდებოდება, რაც წუმაოთ. სხვა ნეტრიენტების/ნივთიერებების შემთხვევაში იგი სურსათში წარმოიდგინილი უნდა იყოს იმ რაოდენობით (და იმ ფორმაში), რომელსაც კვებითი ან ფაზიოლუგიური თვალსაზრისით დადგებთი ეფექტების მოტივა შეუძლია.

გაზრდილი ოღენობით ³³³ [ნუტრიენტის დასახელება]	Increased	პროდუქტი შეიცავს ნუტრიენტს სულ ცოტა 30% მეტი რაოდენობით, კიდრე მსგავსი პროდუქტი და (ვიტამინებისა და მინერალებისთვის) სულ ცოტა დღლური ნორმის 15%-ის ოდენობით.
შემცირებული ოდენობით [ნუტრიენტის დასახელება]	Reduced	პროდუქტი შეიცავს ნუტრიენტს სულ ცოტა 30% ნაკლები რაოდენობით, კიდრე მსგავსი პროდუქტი.
		გამონაკლისი:
		მარილისთვის (ნატრიუმისთვის) დასაშენები 25%-იანი შემცირება, ვიტამინებისთვის/მინერალებისთვის დასაშენები დღლური რეფინირებული ნორმის 10%-ია შემცირება. დამატებათ: ნაჯერი ცხიმებისთვის - ნაჯერი ცხიმებისა და ტრანს-ცხიმების ჯამი პროდუქტში შემცირებულია 30%-ით მსგავს პროდუქტებთან შედარებით, და ტრანს-ცხიმების შემცველობა (წილი) პროდუქტში გაზრდილი არ არის. შარისათვის - პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება არ უნდა აღმატებოდეს მსგავსი პროდუქტის ენერგეტიკულ ღირებულებას ენერგოსისთვის - მითითებული უნდა იყოს ის მასალათაცემი, რომ ხარჯზე არის მიღწეული პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულებას შემცირება.
მჩატე	Light/Lite	ნიშნავს იგივეს რაც „შემცირებული ოღენობა“. განვიხილავ ას უნდახსელეს იმ მაჩვენებლების აღწერას - რის გამოთ არის იგი „მჩატე“.
ნატურალურად/ბუნებრივად	Naturally/Natural	ამ ცხრილში აღწერილი თვისებები პროდუქტს სურნებრივად გააჩნია/ასახათებს
ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავების წყარო	Source of Omega-3 fatty acids	პროდუქტი შეიცავს სულ ცოტა 0,3 გ ალფა-ლინოლეინის მჟავის (alpha-linolenic acid) ან 40 მგ ეკონიასეტრანის მჟავისა (eicosapentaenoic acid, EPA) და დოკონიასეტრანის მჟავის (docosahexaenoic acid, DHA) ჯამს ყოველ 100 გრამზე და ყოველ 100 კკალ-ზე.
ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობა	High Omega-3 fatty acids	პროდუქტი შეიცავს სულ ცოტა 0,6 გ ალფა-ლინოლეინის მჟავის (alpha-linolenic acid) ან 80 მგ ეკონიასეტრანის მჟავისა (eicosapentaenoic acid, EPA) და დოკონიასეტრანის მჟავის (docosahexaenoic acid, DHA) ჯამს ყოველ 100 გრამზე და ყოველ 100 კკალ-ზე.
მონო-უვერი ცხიმების მაღალი	High	პროდუქტში არსებული ცხიმოვანი მჟავების სულ

333 შედარება დაშვება მხოლოდ იმავე კატეგორიის ჩვეულებრივ სურსათთან (რომელსაც არ გააჩნია კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული განაცხადი).

შემცველობა	monounsaturated fat	ღორბა 45% და პროდუქტის გნერგებული ღირებულების 20%-ზე მეტი მონო-უჯერი ცხიმებით მომდინარეობს.
პალი-უჯერი ცხიმების მაღალი შემცველობა	High polyunsaturated fat	პროდუქტი ასებული ცხიმოვანი მუკების სულ ღორბა 45% და პროდუქტის გნერგებული ღირებულების 20%-ზე მეტი პალი-უჯერი ცხიმებით მომდინარეობს.
უჯერი ცხიმების მაღალი შემცველობა	High unsaturated fat	პროდუქტი ასებული ცხიმოვანი მუკების სულ ღორბა 70% და პროდუქტის გნერგებული ღირებულების 20%-ზე მეტი უჯერი ცხიმებით მომდინარეობს.

გლუტენისადმი ალერგიული ადამიანებისთვის განკუთვნილ სურსათზე დაშვებული განაცხადები და მათი გამოყენების პირობები³³⁴:

გლუტენის ასლზე დაბალი შემცველობა	very low gluten	გლუტენის შემცველობა პროდუქტში არ აღემატება 100 მგ/კგ
გლუტენის გარეშე	gluten-free	გლუტენის შემცველობა პროდუქტში არ აღემატება 20 მგ/კგ

ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებზე დაშვებული განაცხადები და მათი გამოყენების პირობები³³⁵:

მშოლოდ ლაქტოზა	Lactose only	პროდუქტში ლაქტოზა წრთავდერთი ნახშირწყალია
ლაქტოზის გარეშე	Lactose free	ლაქტოზის შემცველობა პროდუქტში არ აღემატება 2,5 მგ / 100 კგ (5 მგ / 100 კვალ)
დამტებული აქვთ გრძელჯავანი დოლოუჯერი ცხიმოვანი მუცები	Added LCP	დოლოუჯავენის მუცების წილიცამოყან მუცებით 0,2%-ზე ნაკლები არ არის
დამტებული აქვთ:		თუმცა ეს ნივთიერებები დამტებულია შემდეგი ზღვრების ფარგლებში: ტაურინი, ან ფრუქტო-ოლიგოსაქარიდები, გალაქტო-ოლიგოსაქარიდები, ან ნუკლეოტიდები

ბუნებრივი მინერალური წყლებისთვის დაშვებული განაცხადები და მათი გამოყენების პირობები³³⁶:

მინერალების დაბალი შემცველობა	Low mineral content	მინერალური მარილების ჯამური შემცველობა ³³⁷ არ აღემატება 500 მგ/ლ
მინერალების ძალზე დაბალი შემცველობა	Very low mineral content	მინერალური მარილების ჯამური შემცველობა არ აღემატება 50 მგ/ლ
მდიდარია მინერალური მარილებით	Rich in mineral salts	მინერალური მარილების ჯამური შემცველობა აღემატება 1500 მგ/ლ
შეიცავს ჰიდროკარბონატს	Contains bicarbonate	ჰიდროკარბონატის შემცველობა აღემატება 600 მგ/ლ
შეიცავს სულფატს	Contains sulphate	სულფატის შემცველობა აღემატება 200 მგ/ლ
შეიცავს ჰლორიდს	Contains chloride	ჰლორიდის შემცველობა აღემატება 200 მგ/ლ

334 41/2009 რეგულაციის მიხედვით.

335 2006/141/EC დირექტივის IV დანართის მიხედვით.

336 2009/54/EC დირექტივის III დანართის მიხედვით.

337 აქ და ქვემოთ იგულისხმება მარილების შემცველობა გამოთვლილი მყარი ნარჩენის (fixed residue) საშუალებით.

შეიცავს კალციუმს	Contains calcium	კალციუმის შემცველობა აღემატება 150 მგ/ლ
შეიცავს მაგნეზიუმს	Contains magnesium	მაგნიტუმის შემცველობა აღემატება 50 მგ/ლ
შეიცავს ფluoride	Contains fluoride	ფluoride-ის შემცველობა აღემატება 1 მგ/ლ
შეიცავს რკინას	Contains iron	ორგალუნგინი რკინის შემცველობა აღემატება 1 მგ/ლ
მდავა	Acidic	თავისუფალი ნახშირირგანგის შემცველობა აღემატება 250 მგ/ლ
შეიცავს ნატრიუმს	Contains sodium	ნატრიუმის შემცველობა აღემატება 200 მგ/ლ
გამოსაღებებია დაბალნატრიუმიანი დიეტის სავაჭროების	Suitable for a low-sodium diet	ნატრიუმის შემცველობა არ აღემატება 20 მგ/ლ
გამოსაღებებია ბავთა საკვების მოასაზარებელიად	Suitable for the preparation of infant food	თუ ამ წყლის ამ მიზნით გამოყენება ნებადართულია წყვირ-წყვენის მიურ
შესაძლოა გამოიწვიოს ფალარათი	May be laxative	
შესაძლოა შეიღმძეონ ეფექტი	May be diuretic	

**დანართი 5: რეგისტრირებული ტრადიციული და გეოგრაფიული
დასახელებების და ორგანული წარმოების სიმბოლოები**

წარმოშობის დაცული აღნიშვნა
(Protected Designation of Origin, PDO)



დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა
(Protected Geographical Indication, PGI)



დაცული ტრადიციული ნაწარმი
(Traditional Speciality Guaranteed, TSG)



ორგანული (ეკოლოგიური, ბიოლოგიური)
სოფლის მეურნეობის პროდუქტის ნიშანი



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
თბილისი, დელისის | შესახვევი 5ა
ტელ/ფაქსი: (995 32) 399018
office@csrdg.ge www.csrdg.ge